რწ°:	ა-ნგ-რ-წ°ა-რა	„განადგურება“
რქ°:	ა-ჭგრგ°ა	„მიწავაშლა“
რყ°:	ა-ჟა-რ-ყ°გდ	„გარეული ბარდა“ (ზედმიწ.: კურდლების ლობიო)
ნგ°:	ა-ჟ°გან-გ°ა-შ°	„ცისკარი“ (ზედმიწ.: ცის ჭიშკარი)
ნც°:	ანცოგჟა	„ხვლიკი“ (ფუძის აგებულება ბუნდოვანია)
ნტ°:	ა-ჟ°ლა-ნ-ტ°	„მოგვარე“ (ზედმიწ.: თესლიდან, გვარიდან)
ნწ°:	ა-ნ-წ°ა-რა	„გამოლევა“
ნთ°:	ა-ნ-თ°ა-ლა-რა	„ბრტყელ რამეზე, თევზზე დასხმა“
ლგ°:	ა-ლ-გ°გ-გ°	„ამოზნექილი, გამობურცული“
ლწ°:	ა-გ°-კ-ლ-წ°ა-გა	„მოსაწყენი, აბეზარი“ (ზედმიწ.: გულის გამხვრეტი)
ლქ°:	ა-სტოლ-ქ°გ-რ-შ°	„სუფრა“ (ნეოლითიშია. შდრ. რუს. სтол „მაგიდა“)

§ 6. ორი ლაბიალიზებული თანხმოვნის შემცველი კომპლექსები აფხაზურში

ამ პარაგრაფში განვიხილავთ ორი ლაბიალიზებული თანხმოვნისაგან შემდგარ კომპლექსებს სახელებსა და ზმნებში.

ორწვერა კომპლექსები შედგება როგორც სხვადასხვა, ასევე ერთი და იმავე სახის თანხმოვნებისაგან. ჩვენ მიერ მოპოვებული მასალის მიხედვით ირკვევა, რომ გაორმაგებული თანხმოვნები ძირითადად ზმნურ ფუნქციებში გვხვდება, ხოლო სხვადასხვა ტიპის ლაბიალიზებული თანხმოვნებისაგან შემდგარი კომპლექსები კი სახელებში და მათი რაოდენობა გაცილებით ნაკლებია გაორმაგებული თანხმოვნების მაგალითებთან შედარებით.

ორწვერა კომპლექსები დიფერენცირებულია მათ შემადგენლობაში შემავალი სამეულებისა და წყვილეულების წევრ ლაბიალიზებულ თანხმოვანთა მიხედვით.

ასეთი დიფერენციაციის შედეგად პირველ რიგში გამოიყოფა კომპლექსები, რომელთა ორივე კომპონენტი სამეულის ლაბიალიზებული წევრია. ეს კომპლექსები შემდეგია: ც°დ°, ც°გ°, ც°ჭ°, ც°ჭ°, ც°ჭ°, ჭ°თ°, ჭ°ტ°, ჭ°ჭ°, ტ°ჭ°, წ°გ°. ოვორიულად შესაძლო ყველა კომპლექსიდან მხოლოდ რამდენიმეა რეალიზებული, აქედან პირველ წევრად ც° და ჭ° თანხმოვნების შემცველი კომპლექსები უფრო ხშირია. მაგალითები:

ც°დ°:	ა-ც°-დ°ჭ-ლ-წ-რა	„ვიღაცის წინააღმდეგ გამოსვლა“ (ც°- საზიანო ქვევის ნიშანი) (ლომთათიძე 1947, 411-419; გვანცელაძე 2003, 42).
ც°გ°:	ა-ც°-გ°გ-ჭ-რა	„მდურვა“ (ზედმიწა: ვინმეს საზიანოდ გულის დუღილი)
ც°ჭ°:	ა-ც°ჭ°გრფა	„ზვირთი“ – აც° + ჭ°გ „ზვდ“ + რ (კაუზ. მაწარ.), ხოლო აფარა „ხტუნვას“ ნიშნავს)
	ა-ც°-ჭ°აფ	„გარეული ღორი, ტახი“ (შდრ. ქართ. ქუბი, ა-ც° „ხარი“);
	ა-ც°-ჭ°ა	„მწვერვალი“ (შდრ. ა-ქ°აც° „მწვერვალი“)
	ა-ც°ჭ°ას	„ჯოხი“ (ფუძის აგებულება ბუნდოვანია)
ც°ჭ°:	ა-ც°ჭ°აბ	„ფუტკრის დაავადება“ (ფუძის აგებულება ბუნდოვანია)

ც°ჭ°: ა-ც°-ჭ°ანდა

„ნელთბილი, მოთბო“; კომპლექსი მორფემათა ზღვარზეა, „აყანდა“ თბილს ნიშნავს, ხოლო ც° პრეფიქსია, რომელიც ზმნიზედებსა და ფერის აღმნიშვნელ სახელებს დაერთვის ოდნაობითი ხარისხის გამოსახატად.

ქ°თ°: ა-ძ-ძ-ქ°-თ°ა-გა „სარწყავი“; ამგ „წყალს“ ნიშნავს, ქ° „ზედ“, თ°ა ძირია „დასხმის“ სემანტიკით, -გა ინსტრუმენტალისის მაწარმოებელი.

ა-ძ-ძ-ქ°-თ°ა-რა „მორწყვა“ (ზედმიწ.: „წყლის ზედ დასხმა“)

ქ°ტ°: ა-ქ-ტ°ა-რა „რადაცაზე დაჯდომა“, შდრ. ა-ტ°არა „ჯდომა; დაჯდომა“

ქ°ძ°: ა-ქ-ძ°ა-რა „დაფურთხება, ზედ ფურთხება“

ქ°ც°: ა-ხ-ქ°-ც° „მწვერვალი“; ა-ხ- „თავი“, ქ° „ზედ“ (ლოკატ. პრევერბი), რომელიც მომდინარეობს სიტყვიდან აქ° „სახურავი, კენწერო“ (ლომთათიძე, 1952).

ა-ქ-ც°-აა-რა „ზევიდან შემორანდვა, გადაშალაშინება“.

ტ°ქ°: ა-ხაა-ტ°-ქ°ა „ტკბილეულობა“; შდრ.: ა-ხაა „ტკბილი“, -ტ°(ი) დანიშნულებისა და კუთვნილების მაწარმოებელი სუფიქსი, ხოლო -ქ°ა კი მრავ. რიცხვის აღმნიშვნელი სუფიქსია.

წ°გ°: ა-წ°-გ°გრ „ანკესი, ნემსკავი“ (შდრ. წ° – გრეხის აღმნიშვნელი ძირი და ა-გ°გრ „ნემსი“)

როგორც მოყვანილი მაგალითებიდან ჩანს, აღნიშნული კომპლექსების მეორე კომპონენტად ანუ B პოზიციაში გვხვდება შემდეგი ლაბიალიზებული თანხმოვნები: დ°, თ°, ტ°, ძ°, ც°, გ°, ქ°, კ°, ყ°. რეალიზებულია სამეულის ყველა ლაბიალიზებული წევრი, წ° თანხმოვნის გარდა.

ცალკე გამოიყოფა ისეთი თანხმოვანთკომპლექსები, რომელთა პირველი წევრი სამეულის ლაბიალიზებული თანხმოვანია, ხოლო მეორე კი წყვილეულისა.

ეს კომპლექსები შემდეგია: ქ°ჲ°, ქ°შ°, ქ°ხ°, ტ°ღ°, ტ°ხ°, ც°ღ°, ც°ხ°, ყ°ჲ°, ყ°შ°. ამ სახის კომპლექსებში A პოზიციაში არ გვხვდება დ°, თ°, ძ°, ც°, გ°, წ° და კ° თანხმოვნები. მაგალითები:

ქ°შ°: ა-ქ-შ°ა-რა „მიზანში მოხვედრა; ზედ მორტყმა“ (ზედ მოხვედრა);

ა-გ°-ძ-ქ-შ°ა-რა „სასიამოვნოდ ყოფნა“ (ზედმიწ.: გულის ზედ მოხვედრა);

ა-ქ-შ°ი-რა „დაწყევლა“ (ზედმიწ.: „ზედ წყევლა“, შდრ. ქართ. დააწყევლა)

ქ°ჲ°: ა-ჩ-ძ-ქ-ჲ°-აა-რა „ძალით გასხლტომა, თავის ზედ გამოგლეჯა“

ა-ქ-ჟ-ა-რა „უხეშად მოწყვეტა, მოგლეჯა“ (ზედ. მოწყვეტა)
 ქ°ხ°: ა-ქ-ხ-აშა-რა „ხიფათის, უბედურების მიწევა, წაწევა“ (ზედ მიწევა)
 ტ°ღ°: ა-ტ°ღ-გ-რფსარა „გაზრდა, ზრდა“ (ფუძის აგებულება ბუნდოვანია)
 ყ°ჟ°: ა-ყ-ჟ-ა-რა „მოგლეჯა, მოწყვეტა“
 ყ°შ°: ა-ყ-შ-ა-რა „მოვარდნა, ჩამოცვივნა, მოძრობა“
 ტ°ხ°: ა-ტ-ტ-ხ-ე-რა „გაკვეთილი“ (წა „სწავლის“ ძირია, -ტ° დანიშნულების
 სახელთა მაწარმოებელი სუფიქსი, ა-ხ° „წილი“, „კერძი“ = სწავლის წილი)
 ც°ღ°: ა-ც-ღ-გ-ხა-რა „გაკაწრება, გაფხაჭნა“ (შდრ. ა-ც-ა „კანი, ტყავი, ქერქი“)
 ც°ხ°: ა-ც-ხ-ე-ფსა-რა „რანდვა, გარანდვა“
 ა-ც-ხ-ე-გ-ხ-ხა-რა „პატარად მოსვლა“ (ც° – საზიანო ქცევის პრეფიქსი, ა-ხ-ე-
 ხა-რა „დაპატარავება“)
 ჩვენ მიერ მოპოვებულ მასალაში გამოიყოფა აგრეთვე ისეთი თანხმოვან-
 თკომპლექსები, რომელთა პირველი კომპონენტი წყვილეულის ლაბიალიზებული
 წევრია, ხოლო მეორე კი – სამეულისა. ეს კომპლექსებია: ჟ°ტ°, ჟ°ც°, შ°გ°, შ°ჟ°,
 ჟ°ქ°, ღ°ტ°, ხ°ტ°, ხ°ც°, ხ°წ°. მაგალითები:
 ჟ°ტ°: ა-რ-ჟ-ტ-ტ „სასმელი“. შდრ. ა-ჟ-რა „დალევა“, რ- კაუზატივის მაწარმოებუ-
 ლი პრეფიქსია, -ტ°(ი) – დანიშ. სახელთა მაწარ. სუფიქსი, ე. ი. არგჟ-ტ° „დასალევი-
 ნებელი“
 ტ-ა-ჟ-ტ-ტ „ამდროინდელი, ახლანდელი, ამჟამინდელი“. შდრ.: ტ-ა-ჟ-ტ „ახლა, ამ-
 ჟამად“, -ტ°ი – დანიშნ. სუფიქსი
 ა-ჟ-ტ° „ბაყვი“
 ჟ°ც°: ა-ჟ-ც-ე-მა-ა „ქალამანი“. შდრ.: ა-ჟ° „ქროხა“ + ა-ც-ა „ტყავი“ + აღმა-
 „წელა, ფეხსაცმელი“
 ა-თ-ა-ჟ-ც-ა „ბებრული შესახედაობა“. შდრ.: თა-ჟ° „ბებერი კაცი, ბერიკა-
 ცი“, ა-ც-ა „კანი, ტყავი“ (ზედმიწ.: ბებრული ტყავი)
 ა-ჟ-ც-ა-რა „გადახარშვა“. შდრ.: ა-ჟ-რა „ხარშვა“, -ც-ა – ინტენსიურობის
 სუფიქსი
 შ°გ°: ა-ნგ-შ-გ-ა-ლ „ბელტი, გოროხი. შდრ. ა-ნგ-შ „მიწა“, ა-გ-ა-ლ „გორა“ (მე-
 გრულიდან)
 ა-ნგ-შ-გ-ა-ლ-რა „ბელტნარი“

შოუ: ა-შოუგ „წიგნი; წერილი“. შდრ. ვარიანტი აშოუ, აბაზ. სიცა „წიგნი; წერილი“;

ა-შოუგ-თ-რა „საწიგნე ჩანთა“. -თ-რა სათავსოს აღმნიშვნელი სუფიქსია
ა-შოუგ-ბლ-გ-ც „წიგნის ფურცელი“ (კომპოზიტია, შედგება ორი სიტყვისაგან
ა-შოუგ „წიგნი“ და ა-ბლ-გ-ც „ფოთოლი; ფურცელი“)

ა-შოუგ-პ-პგ „მწერალი“. შდრ.: ა-შოუგ „წიგნი“, ა-პ-რა „წერა“ ზმნის ძირი,
მოქმედის აღმნიშ. სუფიქსი -პგ

ა-ხირა-შოუგ „ავგაროზი, ამულეტი“ (ზედმიწ.: ხოჯას წიგნი)

ა-ჯერ-შოუგ „უბის წიგნაკი“ (ზედმიწ.: ჯიბის წიგნი)

ქა: ა-ხერ-შოუგ „დაფლეთილი“ (რედუქტიკაცია)

ღიგ: ა-ღიგ-ტოგ „ფიცრული“. შდრ.: აღიგ „ფიცრი“, -ტო(ი) დანიშ. სუფიქსი
(← აღიგ + ტოგ, მახვილი გადავიდა ბოლო მარცვალზე, შეა ხმოვანი დაიკარგა)

ხიტ: ა-წერ-ტოგ „დასასრული“. შდრ.: ა-წერ-ტოგ „ძუდი, ბოლო, კიდე“, -ტოგ და-
ნიშნულების სუფიქსი. სუფიქსის დართვამ გამოიწვია სახელის ფუძის ბოლოკი-
დურა ხმოვნის მოკვეცა და თანხმოვანთა შეჯრა.

ხიც: ა-მცა-ხი-ცოა „უბედური“. შდრ.: ამცა „ცეცხლი“, აქედან ამცა-ხი „ცე-
ცხლის წილი“, ცოა არის აციარა „დაძინება“ ზმნის ძირი. მთლიანად სიტყვა ნიშ-
ნავს „ცეცხლდაშრეტილს, ცეცხლი წილდამქრალს, ანუ უბედურს“. არსებობს
ასეთი წყვევლა: უმცახი გციადტ „შენი წილი ცეცხლი დამქრალიყოს“;

ა-ხიც „ქისერი, ყელი“. შდრ. ა-ხი-და „ყელი“, ა-ცოა „განი, ტყაგი“.

ხიწ: ა-ხიწ-გ „ნაყოფის ყუნწი“.

აფხაზურში გვხვდება ისეთი თანხმოვანთკომპლექსებიც, რომელთა ორივე
კომპონენტი წყვილეულის წევრი ლაბიალიზებული თანხმოვანია. ეს კომპლექსე-
ბი შემდეგია: ხიში, ქიში, ხიჟი. თეორიულად დასაშვები ყველა კომბინაციიდან
მხოლოდ სამია რეალიზებული. მაგალითები:

ხიში: ა-ხიში „წამალი; დენთი“;

ა-ჯმახიში „თხის წამალი“; აჩაფვებიში „თოფის წამალი, დენთი“.

ქიში: ა-ქი-შია-ქ-ა „ბეჭი“. შდრ.: ა-ქი-ჟა „მხარი, მკლავი; ნავის ნიჩაბი“, ა-ქ-აქ-ა
„ბრტყელი“, შია ელემენტის რაობა კი სარკვევია.

ხ^ეჭ: ა-ხ^ეჭ-ა-რა „დაბერვა, ქროლა“.

ცალკე უნდა გამოვყოთ თანხმოვანთკომპლექსები, რომელთა მეორე კომპონენტად პ^ე თანხმოვანი გვხვდება. ეს კომპლექსები შემდგებია: თ^ეპ^ე, ც^ეპ^ე, დ^ეპ^ე, ხ^ეპ^ე, ჟ^ეპ^ე. დასახელებული თანხმოვანი სამეულების წევრთაგან მხოლოდ ოთხ თანხმოვანთან კომბინაციაში დასტურდება, ხოლო წყვილეულების წევრთაგან კი – ორთან.

მაგალითები:

თ^ეპ^ე: ა-თ^ე-პ^ე „შელოცვა“ (ზედმიწ.: „თვ-ს თქმა, ანუ სულის შებერვა“)

ა-სე-თ^ე-პ^ე „ქარბუქი“ (ასე „თოვლი“ + ა-თ^ეპ^ე „შემობერილი, დანაბერი“)

დ^ეპ^ე: ა-დ^ე-პ^ე „დიდი მინდორი“ (ადგ „მინდორი“)

ჟ^ეპ^ე: ა-ც^ე-პ^ე „შიშველი“ (შდრ. აც^ე „კანი“, აჟ^ერა „გაპუტვა“)

ა-ც^ე-პ^ე-რა „უდაბნო“

წ^ეპ^ე: ა-პ^ეიწ^ე-პ^ე „უხვად, გულუხვად“;

ა-ჩ^ე-აპ^ე „ცხენით მკერდაობა“

ხ^ეპ^ე: ა-რახ^ე-პ^ე-რ-თა „საბალახო, საძოვარი“ (ა-რახ^ე „საქონელი, პირუტყვი“, ა-პ^ე-რა „ძოვა“, ხოლო –რ-თა სუფიქსი კი ადგილის აღმნიშვნელია).

ჟ^ეპ^ე: ა-ცპა-რა-ჟ^ე-პ^ე-ა-ჯ^ე „მოციქული, მოამბე“. შდრ.: ა-ცპა-რა „შეტყობინება, ამბის შეთვლა“, ა-ჟ^ე „სიტყვა“, ა-პ^ე-რა „თქმა“, -ჯ^ე ადამიანის აღმნიშვნელი სუფიქსია, ანუ შეთვლილი ამბის მთქმელი პირი. საყურადღებოა, რომ ჟ^ე „სიტყვა“ ძირს მოეკვეცა ხმოვანი და შეიქმნა თანხმოვანთკომპლექსი.

ა-ცპა-რა-ჟ^ე-პ^ე-ა-რა „მოციქულობა, მოამბეობა“.

ცალკე უნდა გამოვყოთ ის ერთადერთი თანხმოვანთკომპლექსი, რომლის პირველი წევრი პ^ე თანხმოვანია. ესაა პ^ე კომპლექსი. ჩვენ მიერ მოპოვებულ მასალაში სულ სამი მაგალითი გვხვდება, სადაც პ^ე კომპლექსია რეალიზებული. მაგალითები:

პ^ეწ^ე: ა-პ^ეწ^ე „მკერდი“ (ფუძის აგებულება ბუნდოვანია)

ა-ჩ^ე-აპ^ე „ცხენით მკერდაობა“;

ა-ხაპ^ე-წ^ე „ნიგნივი, ჩალანგარი“ (შდრ. ა-ხაპ^ე „ქვა“, სიტყვის მეორე კომპონენტის რაობა კი სარკვევია).

საგანგებოდ უნდა აღინიშნოს კომპლექსები, რომლებიც გაორმაგებულ თანხმოვნებს წარმოადგენენ, ანუ გვაქვს ე. წ. რედუპლიცირებული ფუძეები.

რედუპლიკაცია ანუ ფუძის გაორკეცება საკმაოდ ცნობილია ყველა ენისათვის, აფხაზურისათვის ძირთა რედუპლიკაცია ერთი ყველაზე უფრო დამახასიათებელი მოვლენაა. ქ. ლომთათიძის დაკვირვებით, აფხაზურში გაორკეცებული გვევლინება უმთავრესად ონომატოპოეტური ლექსიკა, რადგან ხმაბაძვა თითქოს უშუალოდ გადმოსცემს მოვლენისათვის დამახასიათებელ ბგერას და მის ხანგრძლივობა-განმეორებადობას (ვრცლად იხ.: ლომთათიძე, 1940).

ჩვენ მიერ მოპოვებული მასალის მიხედვით აფხაზურში შემდეგი რედუპლიცირებული ლაბიალიზებული თანხმოვნები გვხვდება: ჰ°ჰ°, შ°შ°, ჟ°ჟ°, წ°წ°, ლ°ლ°, ძ°ძ°, გ°გ°, გ°გ°, ც°ც°, ტ°ტ°. გაორმაგებული სახით არ გვხვდება დ°, თ°, ქ°, ყ°, ხ° თანხმოვნები. ჩვენი აზრით, ეს ჯგუფები ნამდვილი კომპლექსები კი არ არის, არამედ შეყოვნებულ-დაგრძელებული თანხმოვნებია.

ა) D^2D^2 მოდელი, რომელშიც გაორმაგებული სახით სპირანტი არის წარმოდგენილი

ა-ლაბ-გ-შ°შ° „ბედშაგი“ (შდრ. ა-ლაბ- „შუბლი“);

ააშ°შ°გ-რა „სუსტი“;

ა-ლაშ°შგ-მ-თა „ბინდი, დაისი“, სადაც ამ- საურთიერთო კატეგორიის პოლიფუნქციური პრეფიქსია, -მ-თა კი დროის აღმნიშვნელი სუფიქსი, ხოლო დარჩენილი ლაშ°შ° სეგმენტი, ჩვენი აზრით, უნდა უკავშირდებოდეს თანხმოვანრედუპლიცირებულ ბრმის აღმნიშვნელ ა-ლა-შ° სიტყვას;

შ°შ°: ა-ჭგ-შ°შ° „წიგნი“ (ფუძის აგებულება ბუნდოვანია);

ა-თგ-შ°შ°ა-რა „ამოვარდნა“ (შდრ. ა-თა-შ°ა-რა „ჩავარდნა“);

ა-წა-შ°შ°ა-რა „შეცბუნება“;

ა-კნგ-შ°შ°ა-რა „შენობიდან სუნის დენა“;

ა-ფსე-ლგ-შ°შ°ა-რა „გულის შეწუხება“;

ა-ლგ-შ°შ°ა-რა „გამოყრა“.

ღ°ღ°: ა-ღღა-ღღ „ძლიერი“ (გადატ. „ბევრი“);

ა-ღღ-ღ-რ-თა „გამყარებული, გამაგრებული ადგილი, სიმაგრე“ (მომდინარეობს სახელიდან „აღღა-ღ“, -რთა ადგილის აღმნიშვნელი სუფიქსია).

ა-გ°ტ-ლ°ლ°ა „მამაცი“ (ზედმიწა: ძლიერი გულის ადამიანი, გულმაგარი).

ღღღ „გლიერ“;

ბ-წალ-ლოპა-რა „დაწოლა, დაჭერა“;

ქვე: ბი-მი-ქვეარა „გლეჯა, დაგლეჯა“, შდრ.: ა-მ-ქ-ა-რა „წარომევა, წაგლეჯა“;

ა-ცე-ჟეჟა-ხა „ნაგლეჯი ქაღალდისა ან ნაჭრისა;

ერ-ლა-ქოქო-უ „გაწეწილი, აბურბგნული“;

პ-წგ-ქ°ქ°ა-რა „ამოძრობა, ამოგლეჯა“;

ა-ქოქოა-ჰოა „სწრაფად“;

ა-ხე-ჭიჭა-რა „წვრილად დამტკრევა“;

ა-თ-იბა-უ-უ-ა-რა „ერთმანეთისთვის ტყავის გაძრობა“;

ა-ფე-ქექა-რა „დახევა“;

ଶ୍ରୀ-ମୁଦ୍ରା-ଜ୍ଞାନୋଦ୍ଧାରା „ଧର୍ମପାତ୍ର“;

ა-ხუ-ჭი-ება-რა „ვედრება, ხვეწნა“;

ა-ციგ-შეშაბ-რა „ფხაჭნა, კაწრვა“;

ა-ჭიჭია-ობ „ყვირილი“ (ქდო. ა-ჭია-ობ „ოქია“);

„კვირის მუნიციპალიტეტი, ქალაქი ცენტრის გადასახლება

„*Одеса*” (1998) — 1. Симоненко (1998) (Симоненко, А. Г., 1998, 1-17).

„**Сърдечната** **жажда** **на** **човека** **е** **жажда** **на** **Бога**, **а** **жажда** **на** **Бога** **е** **жажда** **на** **жаждата** **на** **Бога**.“

Յ-Շ-Շ- ԱՅՑ-Ց-Ց-Ց-Ց „ՍՊԻՇ ԵՎ ԽՈՍՀԵՄԵՑ, ՑԷՒՇ ՅՆ ԽՈՏԵՄԵՑ ,

ა-ვა-ვი-ვი-ვა-ვა „ვევენოვება ;

„მის ძებლა”;

აღ-ბ-პ-ჭ-ა-რა „ფევიერი რამის ძექუჩება”;

ა-კე-ლ-რგ-ჭიჭია-რა „გამოყოფა“;

პ-დგ-ჰიჟია-ლა-რა „შემოხვავება“;

ა-ჩა-ხი-ღ-წა-პა-რა „შეხვევა, გახვევა, შეფუთვა“.

ბ) B^2B^2 მოდელი, რომელშიც რედუქლიცირებულია სამეულის წევრი თანხმოვნები

გ°გ°: ა-წ°გ°გ°გ° „სამანის ქვა“;

ა-გ°გ°პ-ჟ°ა – ხმაურის აღმნიშვნელი სიტყვა (გუგუნი).

ტ°ტ°: ა-ქ°ძ-ტ°-ტ°ი „ძველებური“ (ა-ქ „ძველი“, -ტ°ი – დანიშნულების სახელთა მაწარმოებელი სუფიქსი: ა-ქ-ტ° „ძველი“ → ა-ქ°ძ-ტ°-ტ°ი „ძველებური, ძველისა“).

პ°პ°: ა-პ°პ°ა-რა „თხრა, ჩიჩქნა“;

ა-წ°აპ°პ°პ-ლა-რა „სწრაფად სვლა“;

ა-ვაპ°პ°ა-რა „გაუჩინარება“.

გ) C^2C^2) მოდელი, რომელშიც რედუქლიცირებულია აფრიკატები

ძ°ძ°: ა-წ°გ-ძ°ძ°აა „გამხდარი, მჭლე“ (ზედმიწ.: გამორეცხილი);

ა-ძ°ძ°ა-რა „რეცხვა, დაბანა“;

ა-ძ°ძ°ა-გა „სარეცხი“ (მანქანა);

ა-პაფშ-ძ°ძ°ა-გა „სარცხი“ (ქვევრისა);

ა-ძ°ძ°ა-ტ° „სარეცხი“;

ა-ოჯ-ძ°ძ°აა-რა „ამორეცხვა“;

ა-წ°გ-ძ°ძ°აა-რა „გამობანა“.

ც°ც°: ა-ც°ც°ა-რა „წუწნა“, შდრ. ა-ც°ა-რა „წოვა“;

ა-ც°ც° ॥ აც°გც° „ბურბუშელა“;

წ°წ°: ა-ხე-წ°წ°ა-რა „წვრილად გაჭრა, ჭრა“, შდრ. ა-ხ-წ°ა-რა „მოჭრა“;

ა-წ°ა-ფგ-წ°წ°ა-რა „ქვემოდან ტყდომა, მსხვრევა“, შდრ. ა-ფ-წ°ა-რა „გადატება, მოტება“;

ა-წ°წ°ა „ზარი; ზანზალაკი“ (ხმაბაძება)

ა-წ°წ°პ-ს-რა „დარეკვა, რეკვა“ (ზედმიწ.: ზარის ცემა);

ა-ხე-წ°წ°ა „ზარი“;

ა-წ°წ°ააბეკ „ზარის ხმები“;

ა-რაც°ა-წ°წ°გ „ნახშირმჟავა“ (ზედმიწ.: მჟავე ნახშირი).

როგორც მოცემული მაგალითებიდან ჩანს, რედუპლიკაცია ძირითადად გვაქვს ზედსართავ სახელებში, ზმნებსა და ზმნისართებში. რედუპლიკაცია ზმნებში მაშინ გვხვდება, როცა სუბიექტის ან ობიექტის მრავლობითობაა გამოსახატავი. თუ ზმნას ობიექტი მხოლობით რიცხვში აქვს, მაშინ ჩვეულებრივი, ურედუპლიკაციო სახეობა გამოიყენება. როგორც კი ზმნასთან დაკავშირებული სახელი მრავლობითის გაგებას იძენს, მაშინვე ზმნის ძირი გაორკეცებულად წარმოგვიდგება (კრცლად იხ.: ლომთათიძე, 1940). მაგალითად:

ა-ფ-წ°ა-რა „გაწყვეტა, მოტეხა“, მაგრამ ა-ფგ-წ°წ°ა-რა „მრავალნაწილად დატეხა, დამსხვრევა“;

ა-ხ-წ°ა-რა „გადაკვეთა, გადატეხა“, მაგრამ ა-ხგ-წ°წ°ა-რა „მრავლის წატეხა, წაწყვეტა“.

ასეთ შემთხვევაში (ასეთი მაგალითები ბევრია) თავს იჩენს ე. წ. ორი თანხმოვნის კანონი, როგორც კი ძირისეული თანხმოვანი ორმაგდება, მასა და წინამავალ თანხმოვანს შორის ნეიტრალური ხმოვანი ჩნდება (ამ კანონის შესახებ იხ.: ლომთათიძე, 1976, 41-43).

ზემოთ განხილული შემთხვევების გვერდით გვაქვს გაუორკეცებული სახეობა და მისი რედუპლიკირებული სახეობა, რომელიც აღნიშნავს ახალ ცნებას. არის დიდი რაოდენობა სიტყვებისა, რომლებსაც ურედუპლიკაციო ვარიანტები არ მოეძებნებათ და მხოლოდ ამ ორკეცი სახით გვხვდებიან. ეს არის სიტყვები, რომლებიც აღნიშნავენ სიმრავლეს, მრავალგზისობას, მოვლენის განმეორებადობას. მაგალითად: აძარა „რეცხვა, ბანა“. ცალკე მო ან მო ამ შინაარსით არსად გვხვდება, მისი ორკეცი სახეობა „რეცხვა“ ზმნისათვის იმიტომ ხდება დამახასიათებელი, რომ იგი წარმოდგენილია, როგორც უწყვეტი, ხანგრძლივი პროცესი. ქ. ლომთათიძის აზრით, ასეთივე სიტყვებია: ა-კ°კ°ა-რა, ა-ლ-ა-ჟ°ჟ°ა-რა, ა-დგ-ჰ°ჰ°ა-ლა-რა, ა-ლ-აშ°-შ°გ-მ-თა (ლომთათიძე 1942, 130-131), თუმცა, როგორც ზემოთაც იყო მითითებული, ამ უკანასხელი სიტყვის შემადგენლობაში რედუპლიკაციასთან არ უნდა გვქონდეს საქმე, თუკი ფუძეს გავიაზრებთ, როგორც ა-ლაშ° „ბრმა“ ← ა-(ბ)ლა „თვალი“ + საგარაუდოდ სიბნელის აღმნიშვნელი შე ძირის შემცველს (ასეთი გაგების შემთხვევაში ა-ლაშ° თვალდაბნელებულს შეიძლება ნიშნავდეს).

აფხაზურში ყველაზე გავრცელებულია სიტყვის ძირეული მასალის რედუპლიკაცია. ჩვენ მიერ განხილული ე. წ. მორფოლოგიური დანიშნულების მქონე

რედუპლიკაციის დროს სიტყვის მეორე ნაწილი ორკეცდება. ასეთი გაორმაგების წესი აფხაზურისათვის მეტად დამახასიათებელია და საინტერესოა იმით, რომ სიტყვის მეორე ნაწილის რედუპლიკაციას თითქმის მუდამ განიცდის სიტყვის ძირი.

§ 7. კ თანხმოვნის შემცველი ორწევრა კომპლექსები აფხაზურში

ლარინგალური ლაბიალიზებული სპირანტი კ დამახასიათებელია აფხაზური ენის დიალექტებისა და აშხარულისათვის, რომელიც ჭ ფონემის ბგერობრივად ნაწილობრივ შეცვლილ სახეობას წარმოადგენს. აფხაზურის დიალექტებში კ-ს ახასიათებს პალატალიზაცია. ამის შედეგია ის, რომ მთელ რიგ მაგალითებში კ-ს მეზობლობაში ა ისმის თითქმის გაუმდაუტებული, ე-სკენ გადახრილი: ამჟან → || ამჟან || ამჟენ „გზად“, „გზაზე“; აბაჟ → || აბაჟ || აბეჟ „ძვალი“... (ლომთათიძე 1976, 193).

კ თანხმოვანი გვხვდება ორწევრა თანხმოვანთკომპლექსების როგორც თავკიდურ, ასევე მომდევნო პოზიციებშიც. ისეთ კომპლექსებში, რომლებშიც კ თანხმოვანი დგას მომდევნო პოზიციაში, პირველ კომპონენტად სამეულის წევრთა გამოყენების შემთხვევები ძალზე მცირეა. ჩვენ მიერ მოპოვებული მასალის მოხედვით ასეთი თანხმოვანი მხოლოდ სამია და ისიც თითო მაგალითში გვხვდება: ბ, კ და წ. მაგ:

ა-ცლაბ-კ „მეტოქე“, -კ ადამიანის აღმნიშვნელი სუფიქსია;

ა-ნაპ-ჯ-რა „ხელნაწერი“ (ა-ნაპ „ხელი“, ა-ჯ-რა „წერა“);

ა-წშა „შიგნეული“ (ფუძის აგებულება ბუნდოვანია).

ასევე მცირეა პირველ წევრად სპირანტების გამოყენების შემთხვევებიც. აფხაზურსა და აბაზურ ენებს, ისევე როგორც ქართველურსა და სხვა იბერიულ-კავკასიურ ენებს, ახასიათებს სპირანტთა წყვილეული სისტემა მუდერი და ფშვინ-ვიერი წევრებით. ასეთ წყვილეულ სისტემაში თავისებურებას ქმნის კ ფ სამეული (ლომთათიძე 1976, 175). ამ სამეულიდან კ-ს წინამდებარე პოზიციაში გვხვდება ფ სპირანტი, დანარჩენი წყვილეულებიდან კი – ჭ, ზ, ს, ხ თანხმოვნები. მაგ:

ა-ფჯ „ხუნი“;

ა-მწობ-ჭაბა „ფრთა“;

ა-ზჯ „ჭირი“;

აღ-მაპ-ძახ-კგ „მეწუდე, ხარაზი“;

ა-მუა-ს-კგ „გამვლელი“.

რაც შეეხება სონორებს, ამ სახის კომპლექსებში ოთხივე მათგანი დასტურდება, მაგრამ მეტი სისმირით მ სონორის გამოყენების შემთხვევები ფიქსირდება, იგი ძალზე გავრცელებულია სიტყვის თავკიდურ პოზიციაში, რაც მის გაქვავებულ, პრეფიქსულ ხასიათზე უნდა მიუთითებდეს (ლომთათიძე 1976, 239). ეს კი თავის მხრივ იმის მანიშნებელია, რომ მ-ს შემცველი კომპლექსები მეორეული წარმოშობისაა. მაგ.:

ა-მუა „გზა“

ა-მუა-ბჟა-რა „შუაგზა, ნახევარი გზა“ (ამუა „გზა“, ა-ბჟა „ნახევარი“)

ა-მუა-ს-კგ „გამვლელი“ (ა-მუა-ს-რა „გზის გავლა“, -კ ადამიანის აღმნიშ.

სუფიქსი)

ა-მუა-ნგ-ზა „თანამგზავრი“

ა-მუა-ხ-ა-ს-თა „ბილიკი, საცალფეხო გზა“ (ზედმიწა: გზის მოხრის ადგილი)

ა-ძგ-მუა-ს „მდინარე“ (ა-ძგ „წყალი“, ა-მუა-ს-რა „გზის გავლა“, ზედმიწა:

გზად მავალი წყალი)

ა-ხა-მუა „რკინიგზა“ (აიხა „რკინა“, ა-მუა „გზა“)

ა-მუა-ნ-გა-რა „ტარება“ (ამუა „გზა“, ნ- რამეზე ყოფნის აღმნიშვნელი ფუძე-წინდებული, ა-გა-რა „ტარება“)

ა-გ-ნ-მუა „დაბნეული, გაფანტული“

ც-ა-მუა-ხ „მშვიდი ძილი“

ა-უასარგმუ „კონა“ (ფუძის აგებულება ბუნდოვანია)

ა-ძ-მუა „ლოფა“

ა-ძ-მუა-ბაკ „მოწყენილობა“

ა-ხ-ა-მუა „ბერწი“ (ფუძის აგებულება ბუნდოვანია)

პირველ წევრად რ სონორის გამოყენების შემთხვევები:

ა-ტ-კარ-კარ „ჭოტი“ (შდრ. ა-ტგ „ბუ“, მეორე ნაწილი რედუქციორებული ხმაბაძითი ძირია)

ა-ჟ-ალ-გ-რ-კ-ბა	„ჭაჭის გასაწური“
პ-რკაშ	„ნაკადული“
ა-რ-კ	„ჩირი, ხმელი ხილი“
პა-რ-კა-რა	„გვალვა“
ა-ყარკა-ჯ	„ძალიან მოხუცი“ (ფუძის აგებულება ბუნდოვანია)
პ-დგრკა-უხა	„მეორე ღამეს“
პ-დგრკა-ჩ-ნგ	„მეორე დღეს“
ა-დგრკა-გ	„ხელმეორედ; კვლავ, კიდევ“
ა-ლა-რ-კგნ-ტ-რა	„არევ-დარევა“
ა-რ-კე-რა	„გაყვითლება“
პ-წა-რ-კა-რა	„რაღაცის ქვეშ გაშრობა“
ა-უ-რ-კ	„შებოლილი ხორცი“
ა-რ-კა-რა	„ხმობა, გახმობა“

მაგალითები, რომლებშიც ლპ და ნპ კომპლექსები გვხვდება, შედარებით მცირეა. მაგ.:

ა-გ-გ-ბგლ-ჭე	„გულშემატკივარი“
ა-ლგლპა	„შავი, სქელი კვამლი“ (ფუძის აგებულება ბუნდოვანია)
ა-გ-გ-ლპ-აა-რა	„ამოწერა“
პ-ლპა-ქ	„ჭვარტლი, მური“, შდრ. ა-ლპა „კვამლი, ბოლი“
პგ-ნ-კა-ჟა	„ორმოცი“ (ზედმიწ.: ორჯერ ორ ათი)
ხგ-ნ-კა-ჟა	„სამოცი“ (ზედმიწ.: სამჯერ ორ ათი)

აფხაზურში გარდა ზემოთ მოყვანილი კომპლექსებისა, გვხვდება ისეთი ორწევრა თანხმოვანთკომპლექსებიც, რომლებშიც პ არა მომდევნო, არამედ თანხმოვნის წინა პოზიციაში გვევლინება. ჩვენ მიერ მოპოვებული მასალის მიხედვით, სამეულების წევრთაგან ასეთ პოზიციაში შემდეგი თანხმოვნები დასტურდება: ბ, ბ, ბ°, ჟ, ტ°, ც, ჸ. მაგ.:

პ-ბა „ორი“
 ა-პ-ბა-გ „ორიგე“
 ჟ-ბა-ყა „ორიოდე“
 ა-პ-ბა-ტ°ი „მეორე“
 პ-გან-პ-ტ°ი „ორმხერივი“
 ა-პ-გა-რა „რაიმეს გვერდით ჩატარება, ჩაყვანა“; 2. „მიცემა, ჩუქება“
 ა-პ-კ°აყ „ორწერტილი“
 ა-პ-ყ-ა-რა „ვიღაცის გვერდით სწრაფად ჩავლა (რაიმესი), გვერდით ჩაქროლება“
 ა-პ-ტ°გ 1. „წერითი სამუშაო“; 2. „დასაწერი“ (-ტ° დანიშნულების აღმ.

სუფიქსი

ა-პ-ცა-რა „მარანი“
 ა-პ-ჭბ „ახალი დვინო“
 ა-პ-ჭბ „ორლესული ხმალი“

სპირანტებიდან კ თანხმოვნის მეზობლობაში გვხვდება ზ, ხ, ჟ, ჰ თანხმოვნები. მაგ.:

ა-პ-ზ „სწორი, გლუვი“ (ფუძის აგებულება ბუნდოვანია)
 პ-ხა-ლა1. „ამაღლებულ ადგილას, მაღლობზე“; 2. „გრძელი, გამხდარი“
 ა-პ-ხა-ლა-რა „სწრაფად, იოლად ასვლა მაღლობზე“
 ა-ჩგმაზა-პ-ხა-რა „ავად გახდომა“
 ა-უა-პ-ჭ-ფა-რა „კაციჭამიაობა“, ეს სიტყვა რთული აგებულებისაა: ა-უა-პ
 „ადამიანი“, ა-ჭ „ხორცი“, ა-ფა-რა „ჭამა“. კომპლექსი
 მეორეულია და სიტყვათწარმოების გზით არის მიღებული.
 ა-ჩ-ევ-პ-შა-რა „გაყოფა (ორად)“.

სონორებიდან კ სპირანტის მომდევნო პოზიციაში ნ, რ და ლ თანხმოვნებია რეალიზებული. ჩვენ მიერ მოპოვებული მასალის მიხედვით არა ჩანს ამავე პოზიციაში მ სონორის გამოყენების შემთხვევები. მაგ.:

ა-ჟნგ	„სახლი“	
ა-ჟნა-ბგლ-რა	„შენობის შიგნით წვა (რაიმესი)“	
ა-ჟნა-გა-ლა-რა	„შიგნით შეტანა, შეყვანა“	
ა-ჟნ-ა-გ°-თა	„შუაგული, სახლის, შენობის შუა ადგილი“	
ა-ჟნ-ე-ლგ-რ-გა-ჟ	„დამლაგებელი“	
ა-ჟნ-ე-ხა-გე-ლა	„ორ ან მეტსართულიანი სახლი“	
ა-ჟნ-ე-ხ-ხა-ე-ა	„ქოხი, მიწური“	
ა-ჟნ-ა-ბაბ-რა	„ლპობა“	
ჟრ:	ა-ჟ-რა	1. „გარგი ხარისხის ღვინო“; 2. „წერა“
	ჟ-ჟ-რა	„სირბილი“
	ა-ჟრე	„გრძელი“
	ა-ჩა-თა-ჟ-რა	„ჩაწერა“
ჟლ:	ა-ხ-ბაჟ-ლაშა	„ტვინი“

რაც შეეხება რიცხვით სახელებში არსებულ კ თანხმოვანს, აფხაზურში რაოდენობითი რიცხვითი სახელი განარჩევს ორ გრამატიკულ კლასს – ადამიანისა და არაგონიერთა კლასებს. ადამიანის კლასს გამოხატავს ზოგადობის ა პრეფიქსის გარეშე წარმოდგენილი რიცხვითი სახელის ფუძეზე დართული -კ სუფიქსი. ამიტომ ისეთ რიცხვით სახელებში, როგორებიცაა: ააშ°ჟგ „რვაასი“, ჟგშ°ჟგ „ორასი“, ფშ°ჟგ „ექვსასი“, ხგშ°ჟგ „სამასი“ და სხვ. კ ადამიანის კლასის აღმიშვნელი სუფიქსია და ამდენად კომპლექსი მეორეულია. გამონაკლისია მხოლოდ „ორის“ აღმიშვნელი კ(გ) ძირი, რომელსაც არაგონიერთა კლასში დაერთვის ამ კლასისათვის ნიშანდობლივი –ბა სუფიქსი, ხოლო ადამიანის კლასში კი – თავისებური –ჯა სუფიქსი, რომელიც არცერთ სხვა რიცხვით სახელს არ დაერთვის (ჟ-ბა „ორი რამ“; ჟგ-ჯა „ორი ვინმე“) (გვანცელაძე 2003, 51).

თ ა ვ ი II

სამწევრა კომპლექსები აფხაზურში

§ 1. სონორთაგუიდურიანი სამწევრა კომპლექსები აფხაზურში

ამ ჯგუფში ერთიანდება ისეთი სამწევრა თანხმოვანთკომპლექსების შემცველი სიტყვები, რომელთა პირველი კომპონენტი სონორია. პირველად შევეხებით AB^1B^1 ჯგუფის მაგალითებს, რომლებშიც მეორე და მესამე წევრები სადა ხშული თანხმოვნებია.

ა) ა-გ-ღ-ლ-ფ-ყა	„ამოჭრა, ამოკვეთა“ (შუაგულიდან) (შდრ. ა-ფ-ჟა-რა „გაჭრა“)
ა-დ-ღ-ლ-ფ-ყ-ა-რა	„გარეთ გამოგარდნა“
ა-თა-რ-ბგა-რა	„ჩანგრევა“ ა-ხ-რ-ბგა-ლა-რა „დანგრევა, განადგურება“
ა-ჭ-გ-რ-ბგა-რა	„დამსხვრევა, განადგურება“ (შდრ. ა-ბგა-რა „ნგრევა“)
ა-რ-თბაა-რა	„გაგანივრება“ (შდრ. ა-თბაა „ფართო“)
ა-ქ-გ-რ-პყა-რა	„უხვად მოპკურება“

ა-რ-ბგა-რა „ტეხა“, „განადგურება“ (კაუზატიური ფორმა, რ- მაწარმოებელი)

ა-პ-გნოქა „მეფე, ხელმწიფე“

ამ სიტყვებიდან სამწევრა კომპლექსთა უმრავლესობა რთულფუძიანი წარმონაქმნია, გარდა ა-პ-გნოქა სიტყვისა, რომელიც თურქულიდანაა ნასესხები და თან შემოჰყვა სამწევრიანი ბგერათკომპლექსიც (შდრ. თურქ. პუნთქარ).

ამავე ჯგუფში გამოიყოფა რედუქლიცირებული ძირის მქონე ფუძეებიც.

მაგ.:

ა-ხ-შგრ-ბბგ-ხ „მტვერი; ნამცეცი, ერთი ბეჭო რამ“ (შდრ. ა-ბგბ „მტვერი“)

ა-კა-რ-ტტა „უსუფთაო, უწესრიგო, ფეთხუმი“

ა-კა-რ-ტტა-რა „დანთხევა, დაღვრა“

ა-თა-რ-ტტა-რა „ჩახარშვა“

ა-მ-გ-რ-ტ-ტა-რა	„ქექვა, გაქექვა“
ა-რ-ფ-ფა-რა	„მოტეხა“
ა-კ-ლ-რ-ფ-ფა-რა	„მცირედის გადმოყრა“

მოყვანილ მაგალითებში რედუპლიცირებულია ბ, ფ, ტ თანხმოვნები. ამასთან, კომპლექსები ძირითადად ზმნებში გვხვდება, თუმცა კომპლექსები აღმოჩნდა ნაზმნარ (აკარტტა „უსუფთაო“), ზედსართავ და არსებით სახელებშიც.

აკად. ქ. ლომთათიძე აღნიშნავს, რომ რედუპლიკაციის დროს თავს იჩენს ე. წ. ორი თანხმოვნის კანონი, ანუ ძირეული თანხმოვნის გაორმაგების შემთხვევაში, მასა და წინამავალ თანხმოვანს შორის ნეიტრალური ხმოვანი ჩნდებაო (ლომთათიძე 1976, 41-42), მაგრამ, როგორც ჩანს, ეს კანონი ყოველთვის არ მოქმედებს, ამის ნათელი მაგალითი ზემოთ მოყვანილი სიტყვებია, რომლებშიც სამი თანხმოვნისაგან შემდგარი კომპლექსები გვაქვს. აღსანიშნავია ასევე, რომ ყველა მათგანში წინამავალ სონორ წევრად რ თანხმოვანი გვევლინება, რომელსაც სხვადასხვა გრამატიკული ფუნქცია აქვს (ძირითადად კაუზატივის პრეფიქსია).

ბ) შემდეგ ჯგუფში ერთიანდება AB^1D^1 , AB^1D^4 ტიპის კომპლექსები, რომლებშიც პირველი წევრი სონორია, მეორე – სადა ხშული თანხმოვანი, მესამე კი სადა და ინტენსიური სპირანტი. მაგალითები:

ა-ტ-ღ-გ-რ-ფ-ს-ა-რა	„გაზრდა“ (ფუძის აგებულება ბუნდოვანია)
ა-გ-ა-რ-ფ-ხ-ა-რა	„მოწონებინება“ (შდრ. ა-გ-ა-ფ-ხ-ა-რა „მოწონება“)-
ა-ლ-გ-რ-ბ-ჟ	„ლრუტუნი“ (ზედმიწ.: „ლრუტუნის ხმა“)
ა-გ-ვ-რ-ფ-ჭ-ა-ა-გ-ა	„მგრძნობიარე, ამაღლვებელი“ (ზედმიწ.: „გულის მომებნინებელი, გულის მპოვნელი“)
ა-წ-ა-ბ-გ-რ-გ-ხ-ა-რ-ა	„გამართლება“, „ჭეშმარიტებად ქცვა“
ა-რ-ბ-ზ-ა-რ-ა	„გაცოცხლება“ (კაუზ.; შდრ. ა-ბ-ზ-ა-რ-ა გაცოცხლება“)
პ-რ-ფ-ს-ა-ა-რ-ა	„დალბობა“ (კაუზ.; შდრ. ა-ფ-ს-ა-ა-რ-ა „დასველება“)
პ-რ-ფ-ს-ა-ხ-რ-ა	„სესხება“ (კაუზ.; შდრ. ა-ფ-ს-ა-ხ-რ-ა „სესხება“)
ა-რ-ფ-ხ-ა-რ-ა	„გათბობა“ (კაუზ.; შდრ. ა-ფ-ხ-ა-რ-ა „გათბობა“)
პ-რ-ფ-ხ-ა-შ-ა-რ-ა	„შერცხვენა“ (კაუზ.; შდრ. ა-ფ-ხ-ა-შ-ა-რ-ა „შერცხვენა“)

ა-რ-ბზა-ზა-რა	„კეთილად, ბედნიერად ცხოვრება“ (კაუზ.; ზედმიწა: „ცხოვრებინება“; შდრ. ა-ბზა-ზა-რა „ცხოვრება“)
ა-ნა-ლ-ფსაა-რა	„დაკარგგა“
ა-ლ-ფხა-რა	„გაშუქება“
ა-შა-მხ-დგრდ-ხა	„მუხლის თავი“ (ანატ.)
ა-ფხე-მ-ბზა	„ცოცხალ-მკვდარი“ (ზედმიწა: „მკვდარი-უსიცოცხლო“)

ა-ჭინალ-ბჟა „ნახევარფინალი“ (კომპოზიტია, სიტყვის პირველი ნაწილი ფინალ შემოსულია რუსულიდან, ხოლო აბჟა აფხაზურში ნახევარს ნიშნავს, ორი სიტყვის შეერთების დროს ა-ბჟა სიტყვის წინამავალი ა- პრეფიქსი, სახელთა ზოგადი ფორმის მაწარმოებელი, დაიკარგა და შედეგად სამწევრა თანხმოვანთკომპლექსი მივიღეთ).

ა-ლა-მ-ფხა-შა „უსირცხვილო“ (ზედმიწა: „თვალურცხვი, ურცხვი თვალის მქონე“; შდრ.: ა-ფხა-შა-რა „სირცხვილი“, ა-ლა „თვალი“, მ- – უარყოფის პრეფიქსი).

ა-ლა-ნა-რ-ფშგ-რა	„სანახაობა“
ა-ლ-ფსაა	„მიცვალებული“ (ზედმიწა: „სხვებისაგან გამომკვდარი“)
ა-ლ-ფხა	„მოწყვალება“ (ზედმიწა: „თვალის სითბო“, შდრ. ა-ლა „თვალი“, ა-ფხა „თბილი“, აქ თვალის აღმნიშვნელი ფუძის ბოლოკიდური ა ხმოვნის რედუქციით წარმოიქმნა სამწევრა კომპლექსი)
ა-ლ-ფშაა-რა	„არჩევა, ამორჩევა“
ა-ლარ-ფშარ	„იშვიათი“ (რედუქტიური კაციაა; შდრ. ა-ლარ „დარიბი“)
ა-დგ-გლ-ბჟა-ხა	„ქუნძული“ (კომპოზიტია: ა-დგ-გლ „მიწა“; ა-ბჟა „შუაში, შორის“, -ხა მიმღეობის მაწარმოებელი. იგულისხმება წყლის შუაში ამოყოფილი მიწა“. მიმღეობათა წარმოების შესახებ იხ.: ლომთათიძე, 1979).
ა-დგ-რ-ფხა-ლა-რა	„რისამე განათება“ (კაუზ.)
გ°ა-მ-ფხა-შა-ქ°	„უხალისოდ, განზრახ“
ა-ჩგ-რ-ფხა-რა	„გათბობა“ (ზედმიწა: „თავის გათბობა“)

ა-ც°ა-რ-ფხა-გა	„ტანსაცმელი“ (ზედმიწ.: „კანის გამთბობი“)
ა-გ°ძ-მ-ბზია-რა	„ავადმყოფობა“ (ა-გ°გ \leftarrow ა-გ°ა „გული“ + უარყოფის ბ-პრეფიქსი + ა-ბზირა „სიკარგე“), შდრ. ანტონიმი ა-გ°ა-ბზია-რა „ჯანმრთელობა“, ანუ „გულის სიკარგე“)
ა-რ-კშა-რა	„უკუღმა გადმობრუნება“ (კაუზ.)

მოყვანილ მაგალითებში სამწევრა თანხმოვანთკომპლექსის თავკიდურ პოზიციაში სონორ თანხმოვანთაგან უმეტეს შემთხვევაში რეალიზებულია რ, რომელიც ძირითადად კაუზატივის პრეფიქსია, ხოლო შედარებით ნაკლებად – უარყოფის მ- პრეფიქსი და ლ სონორები. მომდევნო მეორე და მესამე კომპონენტებად სადა ხშულისა და სპირანტის შემდეგი კომბინაციები გვხვდება: ფს, ფხ, ფშ, ბჟ, ბჟა, გხ, ბზ, დხ, კჟ. ე. ი. ხშულთაგან გვაქვს: ბ, ფ, გ, კ, დ. სონორთაგან: ზ, ს, ჟ, ჭ, შ, ხ.

ბაგისმიერ თავკიდურიან კომპლექსებს აკად. ქ. ლომთათიძე ე. წ. „პირვანდელ“ ანუ „მტკიცე“ კომპლექსებს უწოდებს. იგი წერს: „მტკიცე“ კომპლექსებად აფხაზურ-აბაზურში საკმაოდ გავრცელებული გამოდის ბაგისმიერ თავკიდურიანი კომპლექსი (ჩვეულებრივ შეგუებული მომდევნო თანხმოვნის გვარობასთან). ასეთებია: ფს, ფშ, ფშ, ფხ, ფხ, ფჟ, ფჟ, ფჟ, ფჟ, ფთ, ფრ, ბზ, ბჟ, ბჟა, ბლ, ბწ, ბჟ...

მაინც განსაკუთრებით გამოსაყოფია – ფს და აგრეთვე ფშ, ფშ, ფხ, ფხ (ლომთათიძე 1976, 242).

ამ დასკვნის გათვალისწინებით ნათელი ხდება, რომ სამწევრა თანხმოვანთკომპლექსებში წინამავალი სონორის გაჩენა ამგვარ ე. წ. „პირველად“ კომპლექსებთან აშკარად მეორეული მოვლენა უნდა იყოს და სიტყვათწარმოებას უნდა უკავშირდებოდეს.

ჩვენ მიერ მოპოვებულ მასალაში გამოიყოფა ერთი სიტყვა, რომელშიც ორი სამწევრა თანხმოვანთკომპლექსია და ერთმანეთისგან ნეიტრალური სმოვნით არის გათიშული. მაგ.:

ა-შა-მ-ხ-დგრდ-ხა „მუხლისთავი“

ამ კომპლექსთაგან ერთი (მხდ) AD^1B^1 ტიპს, მეორე (რდხ) კი AB^1D^1 ტიპს განეკუთვნება.

გ) მესამე ჯგუფს შეადგენენ AD¹B¹ ტიპის კომპლექსთა შემცველი სიტყვები, რომლებშიც პირველი წევრი სონორია, მეორე – სპირანგი, მესამე კი სადა ხშული. მაგა:

ა-მ-შ-თა	„გათვალვა; თვალნაკრავი, გათვალული“
ა-კგ-რ-ზ-ბა-ხ-ო-ტ	„ბევრის მომსწრე, ბევრის მნახველი“
ა-შა-მ-ხ-თა-რ-ფა	„სამუხლე“
ა-ქ-არ-ს-თა	„ქელი“
ა-რ-ჩაგ-რ-ს-თა	„ნაკეცი“
ა-გ-ღ-ლ-ხ-გა	„ბამბის გამწმენდი დანადგარი“
ა-მჟ-გა-რა	„უსაქმურობა“ (ზედმიწ.: „დღის გაყვანა“)
ა-ვერსტაპ	„დაზგა“ (რუსულიდან)
ა-ჭაპ-ყ-რ-ს-თა	„ნაჭდევი“
ა-ცხა-ლ-ხ-გა	„ხელსაწყო თაფლის გამოსახდელად“
ა-რს-ყ-კ ა-რს-ყ-ა-ყ	„ამდენი“, „ამდენ სანს“
ა-ბა-ნ-ს-ყ-ა-ტ-ი	„იმოდენა“
ა-გ-გრ-ს-თა	„გვირისტი“ (ზედმიწ.: „ნემსის კვალი, ნემსის ნაცემი, ნანემსარი“)
ა-ქ-გნსთა	„ქინძისთავი“ (შდრ. მეგრ. ქინძისთავი“)

სონორთაგან პირველ წევრად რეალიზებულია ყველა, მხოლოდ ნ-ს გამოყენების ერთი შემთხვევა გვაქვს. სადა სპირანგებიდან სამწევრა კომპლექსის მეორე წევრად გვხვდება ზ, ხ, ს, შ; მათგან მეტი სიხშირით ს-ს გამოყენების შემთხვევები ფიქსირდება. სადა ხშულ თანხმოვანთაგან კი: ო, ბ, ყ, ბ. აკად. ქ. ლომთათიძეს სთ, ხთ კომპლექსები ასევე „მტკიცე“, „პირვანდელ“ კომპლექსებად მიაჩნია (ლომთათიძე 1976, 244).

საყურადღებოა, რომ ამ ტიპის კომპლექსები წარმოდგენილია არსებით სახელებში, ზედსართავებში, ზმნიზედებსა და მიმდეობებში. ნასესხებია ორი სიტყვა: ავერსტაპ (რუს.) და აქ-გნსთა (მეგრ. დიალ.).

აქ-გნსთა „ქინძისთავი“ აფხაზურში მეგრულიდან არის შესული. მეგრულში იგივე სიტყვა შემდეგნაირად გამოითქმის: ქინძისთე. მეგრულში არსებულმა ბოლოკიდურმა ქ-მ მოგვცა ა ხმოვანი აფხაზურში. ფუძეში არსებული ორი ი ხმო-

ვანი დაიკარგა, თუმცა შედეგად მიღებული ოთხწევრა თანხმოვანთკომპლექსის დასაძლევად წინამავალსა და მომდევნო სამ თანხმოვანს შორის ნეიტრალური ხმოვანი გაჩნდა. ორსავე შემთხვევაში ეჭვს არ უნდა იწვევდეს ის ფაქტი, რომ გ ხმოვანი სწორედ თანხმოვანთგამყარის ფუნქციას ასრულებს და ის გაუჩინარების შემდგომ არის გაჩენილი. რადგან გ ხმოვანი მხოლოდ ა-სგან მომდინარედ მიიჩნევა (ლომთათიძე 1976, 33).

დ) მეოთხე ჯგუფი AD¹D¹ ტიპის მაგალითებისაგან შედგება, რომლებშიც სონორი თანხმოვნის მომდევნო პოზიციაში ორი სადა სპირანტითაა წარმოდგენილი. მაგა:

ა-ჯგმშ-ხ	„ხახვის ბოლქვი“ (ზედმიწ „ხახვის თავი“)
ა-ჩა-ან-ხშ	„ძუმისი“ (ა-ჩა-ან „ჭაკი ცხენი“, ა-ხშ „რძე“)
ა-ციგმლ-ხა-რა	„შეძულება, შეჯავრება“ (შდრ. ა-ციგმლ-ხარა)

როგორც ვხედავთ, პირველ ადგილას სონორებიდან გვხვდება ზ თანხმოვანი, ნ-ს გამოყენების ერთი მაგალითი ფიქსირდება – აჩანხშ. მ და ნ თანხმოვნები დაერთვის სპირანტებისაგან შემდგარ შხ, ხშ, ღხ კომპლექსებს. როგორც ჩანს, აფხაზურისათვის უცხო არ არის როგორც შხ, ასევე ხშ-ს მიმდევრობა. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ჩვენ მიერ შესწავლილ მასალაში ხ-ს მეზობლობა უშუალოდ სადა ზ ფონემასთან არ დაფიქსირდა, გვაქვს მხოლოდ გემინირებული ჟ ფონემის წინა პოზიციაში. რაც შეეხება ზხ კომპლექსს, იგი აფხაზურისათვის მეტად დამახასიათებელიც კიდ (ლომთათიძე 1976, 244).

დასახელებულ ჯგუფში შედის აგრეთვე მეორე და მესამე პოზიციაში მდგომი რედუქტიცირებული შ, ხ, ჸ და ფ სპირანტების შემცველი კომპლექსები. მაგა:

(რშშ)	ა-რ-შშა	„სწორი, გლუვი“
	ა-ყიგდგ-რ-შშგ	„ამოლესილი ლობიო“
	ა-გიგ-რ-შშა-გა	„დამარბილებელი“
	ა-გა-რ-შშა-რა	„დაუზოგავად ცემა“
(რხხ)	ა-ჭა-ა-რ-ხხა-რა	„დაჭიმვა, გაჭიმვა“

	ა-ხა-რ-ხხა-ლა-რა	„გადაბრუნება, გადატრიალება“
	ა-კუ-ლგ-რ-ხხა-ლარა	„მიჭერა“
(ხხხ)	ა-ფგ-ნ-ხხე-ლა-რა	„შესახვედრად გაქანება“
(რზზ)	ა-ჩა-ხა-რ-ზზა-ლა	„ქედმაღალი, ამპარტავანი“
	ა-ხა-რ-ზზა-ლა-რა	„თავის განდიდება“
(რფფ)	ა-ვა-რ-ფფა-რა	„გვერდიდან შეკრეჭა“
	ა-წგ-რ-ფფა-რა	„მოჭრა“ (ძირში)
	ა-ხგ-რ-ფფა-რა	„გადაჭრა“
	ა-ფგ-რ-ფფა-რა	„გაპობა“

მოყვანილი მაგალითებიდან ჩანს, რომ ამგვარი რედუქციორებული სპირანტების წინა პოზიციაში ყველა შემთხვევაში გვხვდება რ სონორი, რომელიც კაუზატივის პრეფიქსია. გამონაკლისია აფგნხხელარა ზმნა, რომელშიც ნ არის წარმოდგენილი.

ე) გარდა ამგვარი რედუქციორებული ძირებისა, სამწევრა თანხმოვანთკომპლექსებში გვხვდება ლაბიალიზებულ ხშულთა, სპირანტთა და აფრიკატთა გაორმაგების შემთხვევებიც. პირველად განვიხილოთ AB^2B^2 ჯგუფის კომპლექსები. ჩვენ მიერ მოპოვებული მასალის მიხედვით ასეთი კომპლექსი სულ სამია:

კუ-ლ-გ°გ°ა	„ჩანჩალით“
ა-კა-რ-კ°კ°ა-რა	„ჩასხმა“
ა-ფგ-რ-ყ°ყ°ა-რა	„გაფრთხილება“

სამწევრა კომპლექსებში ლაბიალიზებულ აფრიკატთა გაორმაგების შემთხვევებიც მცირება. მაგ:

ა-ცგ-რ-ძ°ძ°ა-ხა	„ნარეცხი წყალი“
ა-ჭგ-ძ-ძ°ძ°ა	„პირუბანელი“ (ა-ჭგ „პირი“, ა-ძ°ძ°ა-რა „რეცხვა, ბანვა“, ძ – უარყოფითი ნაწილაკი)
ა-ლ-ც°ც°აარა	„გამოწუწნა“
ა-ლ-წ°წ°ა-რა	„ოხრა“

რედუპლიცირებულია ძვ., ც° და წ° თანხმოვნები, ხოლო სონორთაგან პირ-ველ კომპონენტად რ, მ, ლ თანხმოვნები გვხვდება.

შედარებით უფრო მეტია სამწევრა კომპლექსებში ლაბიალიზებულ სპი-რანტთა გაორმაგების შემთხვევები. მაგ.:

(რშ°შ°):	ა-ხე-რ-შ°შ°ა-რა	„ჩამოგდება“
	ა-ყ°ტ-დგ-რ-შ°შ°ა	„ხორციანი ლობიო“
	ა-წ°გ-ხ°ა-რ-შ°შ°ა-რა	„პუდის ქნევა, ქიცინი“
(რხ°ხ°):	ა-ჩ-ქ-ლგ-რ-ხ°ა-რა	„თავის ამოყოფა“
	ა-ლ-ხ°ა-რა	„წვეთ-წვეთად დენა“
(რღ°ღ°):	ა-გ°ტ-დგ-რ-ღ°ღ°ა-ღა	„გულზე მიკვრა, მიჭერა“
	ა-წ°ა-რ-ღ°ღ°ა-რა	„ძლიერად დაჭერა, დაწოლა“
(რჸ°ჸ°):	ა-ქ°გ-რ-ჸ°ჸ°ა-რა	„მოყრა“
	ა-რ-ჸ°ჸ°ა-რა	„ვინმესაგან ვისიმე აყვირება“
	ა-ღ°ტ-ლ-ჸ°ჸ°ა-რა	„გამოჩრა, გამოჩენა“

გაორმაგებული გვევლინება შ°, ხ°, ღ° და ჸ° ლაბიალიზებული სპირანტები. მათ წინ, კომპლექსის პირველ წევრად, რ და ლ სონორებია რეალიზებული, მათგან რ-ს გამოყენების შემთხვევები უფრო ხშირია.

3) ცალკე (AC^1C^1) ჯგუფში ერთიანდება რედუპლიცირებული აფრიკატების შემცველი სამწევრა თანხმოვანთკომპლექსები. მაგალითები:

(რჭჭ):	ა-რ-ჭჭა-რა	„გახლება, გაპობა, დახეთქა“
	ა-წ°აა-რ-ჭჭა-რა	„ძლიერი ყინვა“
(ხჭჭ):	ა-ხ-ჭჭა-ლა-რა	„ასახვა“
(ლჭჭ):	ა-კ-ლ-ჭჭა-რა	„რაღაცაში გავლა, გაჭრა“
	ა-გ°ტ-ლ-ჭჭა-რა	„გადმოვარდნა“
	ა-კ-ლ-ჭჭა-რა	„ხერელში გამონათება, გამოჭვირვა“
(რწწ):	ა-ხა-რ-წწა-ლარა	„რაღაცის ერთი მხარის ზემოთ აწევა“
(რჩხ):	ა-ფ-შ-რ-ჩხარა	„ჩაღიმება“

გაორკეცებული გვევლინება ჭ, წ და ჩ აფრიკატები, ხოლო სონორთაგან სამწევრა კომპლექსის თავკიდურად რეალიზებულია რ, ნ და ლ თანხმოვნები.

ზ) სამწევრა თანხმოვანთკომპლექსებში, რომელთა პირველი კომპონენტი სონორია, ხოლო მეორე კი – სადა ხშული თანხმოვანი B^1 ჯგუფისა, მესამე წევრად გვხვდება $D^1, D^2, B^2, C^1, D^3, D^4, C^3$ ჯგუფის თანხმოვნები, მაგრამ არა ყველა მათგანი. მაგალითად:

(AB^1B^2) :	ქრო-ტექსტ-ლა	„საქართველო“ (სიტყვის ფუძეა ქრო, + ა-ტექსტ „ქვეყანა“
	ა-მტექსტ	„საშიში“ (ფუძის წარმომავლობა საძიებელია)
(AB^2B^1) :	ა-რ-ქიფა-რა	„ბრძოლა“
	ა-ხე-რგო-დაა-რა	„მოღრღნა, მოკვნეტა“
(AB^1D^1) :	ა-ზე-ლ-ფხა-რა	„შებრალება, შეწყალება“
(AB^1D^2) :	ა-კერტოხე	„შიდა კუთხე“ (შდრ. მეგრული „კუნთხუ“)
	ა-წიგრტ-ჭა	„ამოღება“
	ა-ბოლგარ-ფჰიგ-ს	„ბულგარელი ქალი“ (ა-ფჰიგს „ქალი“, ა-ბოლგარ „ბულგარელი“, შესაბამისად რფჰი კომპლექსი მეორეულია)
	ა-რ-თშა-რა	„დავიწროება“ (შდრ. ა-თშა „ვიწრო“)
(AB^1C^1) :	ა-თარბწა-რა	„რაღაცის თხოვნა“ (ფუძის აგებულება ბუნდოვანია)
	ა-ყერყ-ჭე-და	„ხორხი“ (შდრ. ა-ყერყ „ხორხი“, ქართ. (იმერ.) ყორყი)
	ა-ხეგლფ-წეს	„ლამურა“ (ზედმიწ.: საღამოს ჩიტი)
	ა-მგრძელ	(ბოტ.) „ძირკვა“ (ფუძის აგებულება ბუნდოვანია)
	ა-ზ-აბ-რ-კ-ძა	„ყველას და ყველაფრის ჩათვლით“
	ა-ზაქან-ფ-წარა	„კანონმდებლობა“

(AB ¹ D ³):	ა-გ°ტ-ბლ-გ	„წიწვიანი“ (ზედმიწ.: ნემს-ფოთოლი)
	ა-წ-წ-რ-ფ-ხ-ა-რა	„ნაყენის დაყენება“
	ა-დ-ტ-ლ-ფ-ხ-ა-რა	„გარეთ გამოხმობა“
	რ-ამფ-ხ-ა-ძა ॥ რ-აფ-ხ-ა-ძა	„პირველად“
	პ-რ-ბლ-გ-ქ-ო-რა	„მიმოყრა“
(AB ¹ D ³):	ა-ფჲ-ა-სა-რ-ჭ-ჭ	„გამხმარი ტყემალი, ტყლაპი“

აქ გამოიყოფა შემდეგი თანხმოვანთკომპლექსები: რთტ°, მტყ°, რქ°ფ, რგ°დ, ლფხ, ნთხ°, რტჭ°, რფჭ°, რჭწ, რყჭ, ლფწ, რკჯ, რკძ, ნფწ, რფხ, ლფხ, მფხ, რბლ°, ლფჲ, რფჲ, ნფჲ.

ამ თანხმოვანთკომპლექსთაგან ე. წ. „პირველადი“ კომპლექსები შემდეგია: ლფ, ფჲ°, ბწ, ფწ, ფხ, ფჲ (ლომთათიძე 1976, 242).

თ) სამწევრა კომპლექსებში მეორე კომპონენტად D¹, D², D³, D⁴ ჯგუფის თანხმოვნებიც არის რეალიზებული. მაგალითად:

(AD ¹ B ²):	ა-თამსკ°აგ° ॥ ა-თამსკ°გგ° „ხის პატარა ჩაქუჩი, გვერი“ (ფუძის აგებულება ბუნდოვანია)
	ა-შა-მ-ხ-ქ-ტ-შ° „დიდი პირსახოცი, სამუხლე პირსახოცი“ (ზედმიწ.: მუხლზე გადაფენილი)
(AD ¹ C ¹):	პ-რ-შცელა-რა „შეჩვევა“ (კაუზ.; შდრ. ა-შცელარა „შეჩვევა“)
	ა-ჩ-ა-ლ-ა-რ-შცელა-რა „რამისადმი შეჩვევა, დაჩვევა“ (კაუზ.)
	ა-ჩ-ა-რ-შცელა-გა „ვარჯიში“ (ზედმიწ.: „თავის შემჩვევინებელი“)
(AD ¹ D ²):	უ-ჲ-ა-ნ-ს-ჲ-ა-ნ „ჭორი“ (ზედმიწ.: „შენ ამბობდი – მე ვამბობდი“)
	პ-ლ-ხ-ჲ „ამომრჩეველი“ (ჲ – ადამიანის კლასის აღმნიშვნელი სუფიქსია)
	პ-ბ-ხ-ჲ-ა-ტ° „არგასაჩენი, არდასაბადებელი“

D¹ ჯგუფის სპირანტთაგან ამ ქვეყნის თანხმოვანთკომპლექსებში გვხვდება ს, შ, ხ თანხმოვნები, სონორებიდან ოთხივე მათგანია რეალიზებული. ე. წ. „პირველად“ კომპლექსს ჰც წარმოადგენს.

სამწევრა თანხმოვანთკომპლექსის მეორე წევრად გვხვდება აგრეთვე ლაბიალიზებული სპირანტები, ხოლო მათ გვერდით მესამე კომპონენტად ჩვენ მიერ მოპოვებული მასალის მიხედვით გამოიყო ლაბიალიზებული ხშული თანხმოვნები. მხოლოდ ერთი შემთხვევა გვაქვს სადა აფრიკატის გამოყენებისა. მაგალითები:

(AD²B²): ა-სალამ-შეყვა „წერილი“ (კომპოზიტია, შედგება ორი სიტყვისაგან: ა-სალამ „სალამი“ და ა-შეყვა „წიგნი“)
 ა-ხ-ა-რ-ჟ-ტ° „რძის პროდუქტები“
 ა-ძე-რ-ჟ-ტ° „სასმელი წყალი“

როგორც მაგალითებიდან ჩანს, სონორებიდან გვხვდება ზ და რ, ლაბიალიზებული სპირანტებიდან – შ, ჭ, ხშულთაგან – ყ, ტ;

ამავე ჯგუფში ერთიანდება ის თანხმოვანთკომპლექსები, რომელთა მეორე წევრი პალატალიზებული სპირანტია, ხოლო მესამე კი – სადა აფრიკატი.

მაგალითები:

(AD³C¹): ა-პარან-ხ-ჩა „მებორნე“
 ა-დ-ჟ-ან-ხ-ჩა „გამყიდველი, ნოქარი“
 ა-უარდგ-ხ-ჩა „მეურმე“

სამივე კომპოზიტურ სიტყვაში პირველი წევრებია ნ თანხმოვნით დასრულებული არსებითი სახელები ა-პარან „ბორანი“, ა-დ-ჟ-ან „დუქანი; მაღაზია“ და ა-უარდგ „ურემი“, მეორე წევრად კი ა-ხ-ჩა ფუძე გამოდის, რომელსაც აქვს „მცველის“ სემანტიკა, მაგრამ ამჟამად იფართოვებს მნიშვნელობას და მოქმედის აღნიშვნასაც იწყებს. სამივე შემთხვევაში სრულიად ახალი ნხ-ჩ კომპლექსი გვაქვს. აკად. ქ. ლომთათიძის გამოკვლევის მიხედვით, ხ-ჩ კომპლექსი „მტკიცე“ კომპლექსების რიცხვს განეკუთვნება.

სამი კომპლექსი გამოვლინდა ისეთი, რომლებშიც მეორე წევრად ინტენსიური სპირანტი გვხვდება. მაგალითები:

(AD⁴D⁴): ა-შა-ა-რა „გაუთოება, გასწორება“

ამ შემთხვევაში გემინირებულია ინტენსიური შა სპირანტი.

(AD⁴B¹): ა-შ-გა-რა „უსაქმურობა“

ამ თანხმოვანთკომპლექსშიც ინტენსიური შა სპირანტი გვაქვს, მსა და გ-ს შუა პოზიციაში.

(AD⁴D²): ა-ქ-ა-რ-შ-ჭ „ნიაღვარი; თავსხმა“

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ინტენსიური შა სპირანტი სონორ თავკიდურიან კომპლექსებში რეალიზებულია როგორც მეორე, ასევე ბოლოკიდურ წევრად (იხ. ზემოთ). ამ შემთხვევაშიც მის წინა პოზიციაში სადა ხშული თანხმოვნები გვხვდება.

ი) ცალკე ჯგუფდება მეორე კომპონენტად C¹ ჯგუფის სადა აფრიკატების კომბინაციები სადა და ლაბიალიზებულ ხშულ და სპირანტ თანხმოვნებთან.

(AC ¹ B ¹): ა-ბგრწყალ	„პირგაპობილი ჯოხი“ (ფუძის წარმომავლობა საძიებელია)
ა-გ°გრ-წ-და	„ძაფი“
ა-გ°გრძგა	„საზიზღარი“ (ფუძის აგებულება ბუნდოვანია)
ა-გ°გ-რ-თგნჩ-გა	„დამამშვიდებელი“ (ზედმიწ.: გულის დამწყნარებელი)
ა-შა-თა-მგ-რ-ძ-გა	„გვარის გამგრძელებელი“ (ზედმიწ.: კვალის არ დამკარგვინებელი)
ა-ჰგრ-ჩბგრ	„ნაგავი“ (ფუძის რედუპლიკაცია)
ა-გგრძგან	„ტყავის განსაკუთრებული თასმები, ქამრები“ (ფუძის აგებულება ბუნდოვანია)
ა-ჩგ-რ-თგნჩ-გა	„დამაწყნარებელი“ (ზედმიწ.: თავის დამწყნარებელი)

ნჩ კომპლექსი ე. წ. „პირველადი“ კომპლექსების რიცხვს განეკუთვნება. ოო-გორც მაგალითებიდან ირკვევა, სონორთაგან გვხვდება რ და ნ, სადა აფრიკატ-თაგან – ჩ, ძ, ხოლო სადა ხშულთაგან გ და ბ თანხმოვნები.

AC¹B²: ა-ჯგნჯ-ტიგ-ლა „სამშობლო“ (ა-ჯგნჯ უკავშირდება მეგრულში არსებულ სიტყვას ჯინჯი, რაც „მირს“ ნიშნავს, ა-ტიგ-ლა „ქვეყანა“. ამდენად იგი ჰიბრიდული კომპოზიტია და შედგენილია ქართველურ-აფხაზურ ფუძეთა შეერთებით).

ზემოთ მოყვანილ მაგალითებში სონორთაგან რეალიზებულია ნ თანხმოვანი, სადა აფრიკატთაგან ჯ, ხოლო ლაბიალიზებულ ხშულთაგან ტ°.

სამწევრა კომპლექსებში სონორისა და სადა აფრიკატის მეზობლობაში სადა სპირანტებიც დასტურდება. მაგალითად:

AC ¹ D ¹ :	ა-ოგნჩ-ხა-რა	„დამშვიდება“
	ა-რ-ძსა-რა	„ცურვა“
	ა-ჩგნჩ-ხა	„საჭმლის ნარჩენი“
	ა-მც-ხა-წა-რა	„ცრუმორწმუნეობა“
	ა-მჩ-ხა-რა	„აღმატებულება“
	ა-გიგ-მ-ჩპა	„მოუთმენელი, გულჩქარი“
	ა-ზგ-მ-ჩპა-რა	„მოუთმენლობა“
	ა-ხ-გმდ ॥ ა-ხ-მგძლ „სირცხვილი, აუგი“ (შესაძლოა,	
		უკავშირდებოდეს ა-ხ-გძ „სახელი“ ფუძეს)

სონორებიდან რეალიზებულია ნ, რ, მ, მათგან მეტი სიხშირით გ სონორი გამოიყენება. სადა აფრიკატთაგან დასტურდება ჩ, ძ, ც თანხმოვნები, ხოლო სადა სპირანტთაგან კი – ხ, ს, ჰ, ლ.

ამავე ჯგუფში გამოიყოფა ასევე AC¹D² ჯგუფის კომპლექსები, რომლებშიც სადა აფრიკატის გვერდით ლაბიალიზებული სპირანტი გვხვდება. მაგალითები:

(AC ¹ D ²):	ა-მცხ° ॥ ა-მგცხ°	„ნამეტი, ნაჭარბი“
	ა-ჩა-რ-ძ-ჟგ	„ხაბაზი“
	ა-მც-ჟა-რა	„ტყუილის თქმა“
	ა-სანძლ°	„საზღვარი“ (შდრ. მეგრული სანძლო)
	ა-ლ-წ-შა-ზ	„შედეგი“

როგორც მოყვანილი მაგალითებიდან ირკვევა, სამწევრა თანხმოვანთკომპლექსის პირველ წევრად ოთხივე სონორია რეალიზებული, სადა აფრიკატაგან – ც, ბ, წ ფონეტები, ხოლო ლაბიალიზებულ სპირანტთაგან – ხ, კ, ჭ, ღ, შ.

ცალკე გამოიყოფა ისეთი სამწევრა თანხმოვანთკომპლექსები, რომელთა მესამე წევრი პალატალიზებული ხშული თანხმოვანია, პირველი და მეორე კი – სონორი და სადა აფრიკატი. მაგ:

(AC ¹ B ³):	ა-ღ-ე-რწკ	„ჭიაყელა“ (შდრ. მეგრ. ღუერწკი „ჭიაყელა“)
	ა-მ-ცქა-რა	„უწმინდურობა“ (ა-ცქა – წმინდა, მ უარყოფის მაწარმოებელი აფიქსია).
	ა-შ-თგ-რ-ცქაარა	„აწმენდა“, „კვალის წაშლა“

აფხაზურში ამ ჯგუფის კომპლექსები სიმრავლით არ გამოირჩევა. სონორებიდან რეალიზებულია მ და რ თანხმოვნები, სადა აფრიკატაგან – წ და ც, ხოლო პალატალიზებულ ხშულ თანხმოვანთაგან – კ და ქ.

აღსანიშნავია, რომ სამწევრა კომპლექსებში სონორისა და აფრიკატის გენერდით, ბოლოკიდურ თანხმოვნად არ გვხვდება პალატალიზებული (ღ, ხ) და ინტენსიური (ჟ, შ) სპირანტები.

მეორე წევრად აფრიკატის გამოყენების შემთხვევები ზემოთ მოყვანილი მაგალითებით არ შემოიფარგლება. ამ პოზიციაში გვხვდება ასევე ლაბიალიზებული (C²) და ინტენსიური (C³) აფრიკატები. მაგალითები:

(AC ² D ²):	ა-ფხ-გრც-ჰა	„უცებ, სწრაფად“
(AC ² C ¹):	ა-ხარწ-ძრობ	„შეკაზმული მაწონი“
(AC ³ D ¹):	ა-ხარწხ-ხარა	„ლპობა, ხრწნა“
(AC ³ B ¹):	ა-მჭ-ყაბა	„ხის დამუშავების ოსტატი“
(AC ³ D ²):	ა-რ-ჩხხარა	„შექება“ (კაუზ.; შდრ. ა-ჩახოა-რა „ქება“)
	ა-მა-რ-ჩხხარა	„წახალისება“
(AC ³ D ¹):	ა-ხგ-რ-ჩხხარა	„თავის ქება“
	ა-მჩხ-ხა-ქ-რა	„მოცულობა“

ამ ჯგუფის კომპლექსებში პირველ კომპონენტად სონორებიდან რეალიზებულია რ, მ, მათგან გ-ს გამოყენების შემთხვევები სულ ორია. ლაბიალიზებულ აფრიკატაგან გვხვდება ც°, წ°, ინტენსიურ აფრიკატაგან – ჩა, ჭა (მეტი სისმით ჩა). ზემოთ განხილულ მაგალითებში ჭარბობს ჩხა, ჩხე კომპლექსები, რომლებიც „მტკიცე“ კომპლექსებია (ლომთათიძე 1976, 243). სულ ორ-ორი მაგალითი გვაქვს ისეთი, რომლებშიც სამწევრა კომპლექსში მეორე წევრად ლაბიალიზებული და პალატალიზებული ხშული თანხმოვნები გვხვდება. მაგ.:

(AB ² D ²):	ა-ლ-ყ-შ-ა-რა	„ამორჩევა“
(AB ² C ³):	ა-ხ-რ-ყ-ჭ-ა-რა	„მოხვრა, მოკვნეტა“
(AB ³ D ²):	ა-თ-გ-რ-ჭ-ჭ-ა	„განზრახ, მიზანმიმართულად“
	ა-ჟ-გ-რ-ჭ-ჭ-ა	„უხეშად“

ამ კომპლექსთაგან, ოუ არ ჩავთვლით სონორ თანხმოვანს, ე. წ. „მტკიცე“, დაუშლელ კომპლექსს თითქოს ყაჭა წარმოადგენს, მაგრამ იგი რეალიზებულია მორფემათა საზღვარზე და ამიტომ ამ კატეგორიას ვერ მიეკუთვნება.

კ) ცალკე ჯგუფს ქმნიან ისეთი სამწევრა თანხმოვანთკომპლექსები, რომელთა პირველი ორი წევრი სონორია, ხოლო მესამე კი B¹, D¹, D², C¹ ჯგუფის თანხმოვნები. ასეთი მაგალითები სიმრავლით არ გამოირჩევა:

(AAB ¹):	ა-დგ-გლ-მპგ-წ-ა-კ-რა	„მიწაომფლობელობა“
	ა-ვაგრ-ნ-რ-გგლა-რა	„ვაგონომშენებლობა“

ორივე სიტყვა ნეოლითიზმია, თანაც ნასესხებ ფუძეებს შეიცავს და მათში შემავალი კომპლექსებიც მეორეული გამოდის.

(AAD ¹):	ჟ-ლ-ა-რ-რ-ზ-ე-ფ-შა	„საერთო სახალხო“
	ა-დგრგან-ნ-შე-ლა	„ტაფაზე დარჩენილი ცხიმი“
(AAD ²):	ა-უ-ალ-მ-შ-ა	„ვალის არ გადამხდელი“
(AAC ¹):	ა-წ-გ-რ-ნ-წ-ა-რა	„დამწნილება“
	ა-დგ-გლ-მჩგ-მ-ხა	„რთულად დასამუშავებელი მიწა“

თითოეული აქ წარმოდგენილი სიტყვა რთული შედგენილობისაა და თანხმოვანკომპლექსები მორფემათა ზღვარზე გვაქვს.

§ 2. სონორბოლოკიდურიანი სამწევრა კომპლექსები აფხაზურში

აფხაზურში საკმაო რაოდენობით გვხვდება სამწევრა თანხმოვანთკომპლექსები, რომელთა ერთ-ერთი წევრი სონორია. სონორი ბგერა დასტურდება როგორც კომპლექსის პირველ, ასევე მეორე და მესამე წევრადაც. ცალკე ჯგუფს ქმნიან ისეთი თანხმოვანთკომპლექსები, რომელთა პირველ და მესამე წევრად სონორი თანხმოვნები გვხვდება, ხოლო შუა პოზიციაში კი სხვა ჯგუფის ფონზე მები. პირველად განვიხილოთ კომპლექსები, რომლებშიც სონორი თანხმოვანი მესამე წევრად არის წარმოდგენილი. აღსანიშნავია, რომ სონორთაგან ასეთ კომპლექსებში მხოლოდ რ თანხმოვანია რეალიზებული.

B¹B¹A ჯგუფის კომპლექსები, რომლებშიც პირველ ორი თანხმოვანი სადაც მულია, მესამე კი სონორი:

B¹B¹A	ა-პ-კ-რა	„გაცოფება; სიგიჟე, სიშმაგე“ (შდრ. ააპკ „ცოფიანი“)
	ა-ფ-კ-რა	„დაბრკოლება, შეფერხება“
	ა-ფსგ-ლ-მგტ-კ-რა	„გაწამება, გატანჯვა“
	ა-ლა-ფფ-რა	„ხელით მარგვლა, გამარგვლა“
	ააფ-თ-რა	„მწყემსების საზამთრო სადგომი ადგილი ბარში“
	მა-პ-კ-რა	„უარყოფა“ (შდრ. მა-პ „არა“, ა-კ-რა „დაჭერა“)
	ა-ბგბ-კ-რა	„დამტვერვა“ (შდრ. ა-ბგბ „მტვერი“, ა-კ-რა „დაჭერა“)
	ა-ციგ-ფფ-რა	„ფხაჭნა“
	ა-ციგიგ-კ-რა	„ცელქობა“
	ა-შა-პ-კ-რა	„გედრება, ლოცვა“ (ზედმიწ.: ფეხის დაკავება“)
	ა-თა-ბბ-რა	„ჩაყვირება, ჩაძახება რამეში“ (შდრ. ა-ბგბ-რა „დრიალი, ლმუილი“)
	ა-ნა-პ-კ-რა	„ხელის მოკიდება“

ა-ჭ-მგდდ-რა	„ელვარება, ბრწყინვა, ბრჭყვიალი“
ა-ბატ-ო-რა	„ზაქის სადგომი“ (ა-ბატ „ზაქი“ მეგრულიდან, -ო-რა ადგილის აღმნიშ სუფიქსია)
პ-ვა-ყყ-რა	„ძლივს შესვლა“
ა-ც-გ-ბბ-რა-ხა	„მთის ყვავილი“

ადლაფფრა, აციგფფრა, ათაბბრა, აჭმგდდრა, პვაყყრა ფორმებში (სიტყვებში) ძირის რედუპლიკაციაა მომხდარი. ეს სიტყვები აღნიშნავენ სიმრავლეს, მრავალგზისობას, მოვლენის განმეორებადობას.

აქვე აღსანიშნავია ისიც, რომ დასახელებულ მაგალითებში ჭარბობს მასდარები, რომლებიც ძირითადად ან რედუპლიკირებულ ზმნურ ძირებს შეიცავენ, ან რთულფუძიანი ერთეულებია (მაგ., ამაპკრა „უარყოფა ← მაპ „არა“ (ნაწილაკი) + „ჭერა“ ზმნის კ ძირი, ზედმიწ. ა-მაპ-კ-რა ნიშნავს „უარის დაკავებას, არას დაჭერას“, ანუ უარყოფას. იმავე ჭერა, დაკავების კ ძირს შეიცავენ მასდარები: ა-ფ-კ-რა „დაბრკოლება, შეფერხება“, ა-ფსგ-ლ-მგტ-კ-რა „გაწამება, გატანჯვა“, ა-ბგბ-კ-რა „დამტვერვა“ (შდრ. ა-ბგბ „მტვერი“), ა-შაპ-კ-რა „გედრება, ლოცვა“, ა-ნაპ-კ-რა „ხელის მოკიდება“ (შდრ. ა-ნაპ „ხელი“).

ბ) B^2B^1A ჯგუფის თანხმოვანთკომპლექსის შემცველი სიტყვები, რომლებშიც პირველი წევრი ლაბიალიზებული ხშული თანხმოვანია, მეორე – სადა ხშული, მესამე კი – სონორი:

ა-ქ-ბლ-აა-რა	„ამოწვა, გადაწვა“ 2. „გახუნება“ (ზედმიწ.: ზემოდან წვა)
აქინაპარა	„ჩამოკიდება“
აგიქირა	„მიზანი“, „სურვილი“

გ) D^1D^1A ჯგუფის კომპლექსთა შემცველი სიტყვები, რომლებშიც პირველი წევრი სადა სპირანტია, მესამე – სონორი:

ა-თა-ჟჟ-რა	„დვრა, დაქცევა“
ა-თა-ხხ-რა	„შერბენა, შევარდნა“
ა-თა-შშ-რა	„ნელ-ნელა შეცოცება, შეხოხება“

ა-ლა-შშ-რა	1. „ჩაწენა“; 2. „ჩარჭობა“; 3. „შესობა“
ა-შშ-რა	„ხელის გადასმა“
ა-ღღ-რა	„ღრენა“
ა-ხხ-რა	„ჭრა, გაჭრა“
ა-ხუ-დგ-შშ-რა	„ჩამოკიდება, ჩამოწვევა“
ა-ხუ-დდ-რა ა-გ-რგ-უუ-რა	„ჩამოდენა“
ა-ცი-წა-ხხ-რა	„წაბორძიკება, ფეხის წამოკგრა“
ა-წუ-უუ-რა	„დინებით გამოსვლა, გამოდენა“
ა-ჯა-ხხ-რა	„შენობაში შერბენა, შევარდნა“
ა-ვა-ხხ-რა	„სწრაფად გაჭენება“
ა-შშ-რა	„დაუთოება“

როგორც ვხედავთ, გამოიყო მთელი რიგი სიტყვებისა, რომლებსაც რედუქტიცირებული ძირი აქვთ. აღსანიშნავია, რომ რედუქტიცირებული გვხვდება დ, ხ, ჟ, ჸ სპირანტები. ამგვარ სიტყვათა უმრავლესობა რთულფუძიანი მასდარებია და თავისი შინაარსით პროცესის განმეორებადობასა და მრავალგზისობას გულისხმობს. რაც შეეხება კომპლექსის მესამე სონორ წევრს, იგი ყველა მაგალითში მასდარის მაწარმოებელი სუფიქსია, შესაბამისად, სამწევრა კომპლექსიც მეორეული წარმოშობისაა.

ამ ქვევეუფში გამოიყო არა მხოლოდ რედუქტიცირებული ძირებისაგან შემდგარი სიტყვები, არამედ სხვადასხვა სადა სპირანტებისაგან შემდგარი კომპლექსებიც. მაგ:

ა-ხ-შ-რა	1. „დაკიდება“; 2. „წასმა, წაცხება“
ა-გ-ხ-რა	„გვერდიდან, კიდიდან ამოღება“
ა-ქ' გ-ხ-რა	„საჩივარი“
ა-ნა-გ-ს-რა	„გასვლა“
ა-გ-ს-რა	„გვერდით ჩავლა“

დ) მეოთხე ჯგუფში ერთიანდება კომპლექსები, რომელთა პირველი წევრი სადა ხშული თანხმოვანია, მეორე – სადა სპირანტი, მესამე – სონორი (B^1D^1A ჯგუფი). ეს ბოლოკიდური სონორი თანხმოვანი სიტყვათა ერთ ნაწილში მასდა-

რის მაწარმოებელი -რა სუფიქსის შემადგენელი ელემენტია, მეორეში – აბსტრაქტულ სახელთა მაწარმოებელი -რა სუფიქსი, მესამეში - კრებითობის მაწარმოებელი -რა სუფიქსი. აქვემ ისეთი სამწევრა კომპლექსებიც, რომლებშიც შედის ლ, ნ, მ სონორებიც.

ა-ჩევ-ფს-რა	„ღირსეული სიკვდილი“
ა-ჭაფშ-რა	„დამატება“
ა-ვა-ფს-რა	„გილაცის გერდით სიკვდილი“
ა-ხიტლა-ფს-რა	„ამოსუნოქვა“
ა-ქ-აფს-რა	„სიგიწროვე“
ა-ყაფშ-რა	„სიწითლე“
ა-გიტ-ლა-ფს-რა	„რამეში სიკვდილი“
ა-თ-შ-რა	„შეფუთვა“
ა-ფ-შ-რა	„მიბმა“
ა-ფს-რა	„სიკვდილი; სანთლის, ცეცხლის ჩაქრობა“
ა-ხა-ბჟ-რა	„თავფუთხიანობა“
ა-რგვებ-რა	„ასხმა“
ა-რ-ყ-ა-ფს-რა	„გაბრტყელება“
ა-ღრა-ფს-რა	„სიკვდილი მუცლადყოფნის დროს“ (ზედმიწ.: „მუცელ-ში ჩაკვდომა“)
ა-კე-დ-ხ-რა	„რაღაცის მოხსნა, ჩამოღება“
ა-კალევ-თ-შ-რა	„მოკალვა“ (ზედმიწ.: კალის გამოვლება)
ა-გიტ-დ-ჟ-ლა-რა	„დაგდება“
ა-ფს-ლაჟ	„ნეზვი“
ა-ფს-ლე	„წავი“

ა-ფს-ლე-მძ-რა „ქვიშრობი“ (აქ ორი სამკომპონენტიანი კომპლექსია, პირველი ფსლი კომპლექსი შედის სიტყვაში აფსლებდ „ქვიშა“, ხოლო მეორე კომპლექსის ბოლოკიდური -რა თანხმოვანი კრებითობის -რა სუფიქსის ფუძეზე დართვის შედეგად მიემატა ბოლო ორ თანხმოვანს და შედეგად სამწევრა კომპლექსი მივიღეთ).

ა-ფსლგ შა	„ტირიფი“
ა-ფხნგ-გა	„მუშტის ოდენა მომრგვალო ქვა, აჯიკის გასალესი“
ა-ფს-ნგ-ჭა	„გვირაცხოვლობა, ახალი კვირა, ქალების აღდგომა“ (ზედმიწა „მკვდრის ლოცვა“: აფსე „მკვდარი“, ა-ნგ-ჭა „ლოცვა“)
ა-ფხ-ნგ-ჭ-ლა-რა	„ვინმესთან სირბილში შეჯიბრება“ ა-ფხ-ნგ-რ-ჭ-ლა-რა
ა-ფს-მაჭ-რა	„გულის წასვლა, გულის შედონება“ (ზედმიწა „სულის სიცოტავე“ ← აფსე „სული + ამაჭ „ცოტა“, -რა მასდ. მაწ. სუფიქსი).

როგორც მოყვანილი მაგალითებიდან ჩანს, სამწევრა თანხმოვანთკომპლექსის პირველ წევრად მეტწილად ფ თანხმოვანი გვევლინება, ხოლო მეორე წევრად კი ხშირია შემთხვევები სპირანტთაგან შ, ს-ს გამოყენებისა, შედარებით ნაკლები – ხ და უ სპირანტებისა.

ე) მეხუთე ჯგუფს შეადგენენ D^1B^1A ჯგუფის თანხმოვანთკომპლექსები, რომელთა პირველი წევრი სადა სპირანტია, მეორე – სადა ხშირი თანხმოვანი, მესამე კი – სონორი. მაგალითები:

ა-მუშ-პ-რა	„გამიზეზება (ჭრილობისა)“ (შდრ. ქართ. მიზეზი და გამიზეზება)
ა-შ-პ-ლა-ფშ-რა ა-შ-თა-ფშ-რა	„თვალთვალი“ „ობიექტი“
ა-ხ-ფრ-აა-რა	„ზედ გადაფრენა“
ა-ხ-ბლ-აა-ხგ	„ნამწვი“, ა-ხ-ბლ-აა-რა „ზემოდან წვა, მოწვა“
ა-შ-თ-რა ა-ნა-შ-თ-რა	„გაგზავნა“
ა-წეს-თ-რა	„ბუდე“ (ა-წეს „ჩიტი“, -თრა – ადგილის აღმნიშ. სუფიქსი)
ა-ჩგ-ს-თ-რა	„სასადილო“ (ა-ჩგ-ს „ჭამადი, საჭმელი“ + -თ-რა)
ა-ბაგბჟ-თ-რა	„საბარგული“ (ა-ბაგბჟ „ბარგი“ + -თ-რა)
ა-ჩა-ა-ზ-კ-რა	„მოზადება რამისათვის; თავის გადადება, შეწირვა“
ა-ჩგ-ლა-შ-თ-რა	„ჩამოსვლა“

ა-ყე-ბ-თ-რა	„ბატების სადგომი ადგილი“ (ა-ყე „ბატი“ + -თრა)
ა-ხ-თ-რა	„ტყავის ტომარა ტყვიების შესანახად“ (ა-ხ „ტყვია“ + -თრა)
ა-რ-გაზ-კ-რა	„გამონაბოლქვით მოწამლვა“ (კაუზ.) (ა-გაზ „გაზი“ + კ „ჭერა“ + მასდ. -რა)
ა-მხეგლდგზ-კ-რა	„დამაგნიტება“ (ა-მხეგლდგზ „მაგნიტი“ + კ „ჭერა“ + -რა მასდ.)
ა-ფსპაგსთრა	„სირსველი“. როგორც ცნობილია, ფჰ და ჳს კომპლექსები ამ ენისათვის შეუთავსებელი არ არის, მაგრამ ფჰს-ს შემთხვევაში კომპლექსი მარტივდება ფ-ს გაუჩინარების ხარჯზე (ლომთათიძე 1976, 241). როგორც ჩანს ფსპა-ს შემთხვევაში ასე არ მოხდა, რადგან ენისათვის თანხმოვანთა ასეთი თანმიმდევრობა უფრო ბუნებრივი აღმოჩნდა.
ა-შ-თ-რა	„შთამომავლობა“
ა-გ°-ხა-შთ-რა	„გულმავიწყობა“
ა-ძე-შ-თ-რა	„მდინარის კალაპოტი“ (ამგ „წყალი“ + ა-შ-თა „ქვალი“ + -რა აბსტრაქტ. მარ.)
ა-ხ-კ-რა ა-ლა-ხ-კ-რა	„დაბრმავება“
ა-ჟ-კ-რა	„გასუქება“ (ზედმიწ.: ხორცის მოკიდება)
ა-ლ-ბაა-შ-თ-რა	„ქვემოთ ჩამოშვება“
ა-ლ-აზ-კ-რა	„ძალ-დონის გამოლევა, გამოცლა“
ა-ლელ-კ-რა	„ძალზე გახმობა“

მოყვანილი მაგალითებიდან ირკვევა, რომ სპირანტთაგან სამწევრა კომპლექსებში მეტი სიხშირით რეალიზებულია შ, ჟ, ხ, ს სპირანტები, შედარებით ნაკლებად ზ, ხოლო ლ-ს რეალიზაციის მხოლოდ ერთი შემთხვევა გვაქვს – ალელკრა.

ვ) ცალკე ჯგუფად უნდა გამოიყოს ლაბიალიზებული თანხმოვნის შემცველი სამწევრა კომპლექსები. ჩვენ მიერ მოპოვებული მასალის მიხედვით ირკვევა,

რომ სამი წევრისგან შემდგარ კომპლექსებში ლაბიალიზებული თანხმოვანი რეალიზებულია კომპლექსის როგორც პირველ, ასევე მეორე კომპონენტად, არის მაგალითები, რომლებშიც პირველი ორი კომპონენტი ლაბიალიზებული თანხმოვანია. პირველად განვიხილავთ D^2B^1A ქვეჯგუფს, რომელშიც პირველი წევრი ლაბიალიზებული სპირანტია, მეორე – სადა ხშული, მესამე – სონორი. მაგ:

ა-ხ-შ-ო-თ-რა „წაქცევა, აყირავება; დამხობა“

ა-ხ-აა-ხ-ო-თ-რა || ა-ხ-პ-ა-ხ-ო-თ-რა „ვაჭრობა“. არსებობს ნეიტრალური ხმოვნით გათიშული ვარიანტებიც: ახ-აა-ხ-გ-თ-რა და ახ-პ-ა-ხ-გ-თ-რა.

ა-შ-ო-თ-რა „ყვავილობა“ (ა-შ-ო „ყვავილი“)

ა-ფექ-თ-რექ || ა-ფექ-თ-რექ „ბავშვის ფაფა“ ← ქართ. ფუშრუქი „ფაფის ნაირსახეობა“. აფხაზურში ორწევრა კომპლექსი თ თანხმოვნის განვითარების გამო სამწევრად იქცა.

ა-ცცეშ-ო-თ-რა „საფერფლე“ (ა-ცცეშ „ფერფლი“ + -თ-რა)

მოყვანილ მაგალითებში ლაბიალიზებულ სპირანტთაგან სადა ხშულ თანხმოვანთან მეზობლობაში რეალიზებულია შ-, ხ-, ჟ- თანხმოვნები.

ბ) სულ რამდენიმე მაგალითია D^2D^1A ქვეჯგუფისა, რომელშიც პირველი წევრი ლაბიალიზებული სპირანტია, მეორე – სადა სპირანტი, მესამე კი – სონორი. მაგ:

ა-ჩხ-ჟ-ხ-ო-თ-რა „ცხენიდან გადმოსმა“

ა-შ-შ-ო-თ-რა „დაბნელება“

ა-ლ-ო-ხ-ო-თ-რა || ა-ლ-ო-გ-ხ-ო-თ-რა „გახერხვა, დახერხვა“

როგორც ვხედავთ, ამ ქვეჯგუფში სპირანტთან მეზობლობაში არ არის რეალიზებული ჟ-, სამაგიეროდ გვაქვს ლაბიალიზებული ღ-.

თ) B^2D^1A ქვეყნის მიერ გადასცვლით კომპონენტი ლაბიალიზებული ხშული თანხმოვანია, მეორე – სადა სპირანტი, მესამე – სონორი. მაგ.:

ა-ქ-ს-რა	„გადასცვლა“
ა-ქ-წ-რა	„წაქცევა, ძირს დაცემა“
ა-ქ-ხ-რა	„ზემოდან გადახსნა“

როგორც ვხედავთ, ლაბიალიზებული ხშულებიდან მხოლოდ ქ° თანხმოვანია რეალიზებული. სამივე სიტყვაში ეს ფონემა ფუძული წინდებულის ფუნქციითაა გამოყენებული და ზემოდან მოქმედებას აღნიშნავს. სპირანტთაგან გვხვდება ს, ჟ და ხ თანხმოვნები.

ჩვენ მიერ გამოკვლეულ მასალაში თითო-ოროლა მაგალითია, რომლებშიც ლაბიალიზებული ქ° და გ° თანხმოვნები აფრიკატების მეზობლობაში გვხვდება. ესენია:

ა-ქ-ჩ-რა	„განადგურება“
ა-ქ-წ-რა	„მიტოვება, დატოვება; აყრა, სხვაგან გადასახლება“
ა-გ-ჩ-რა	„დაბეჭავება, გასაცოდავება“.

ასევე ერთი შემთხვევა გვაქვს, სადაც ლაბიალიზებულ სპირანტთან სადა აფრიკატია წარმოდგენილი: ა-ქ-ჩმაზა-რა „ძროხის ავადმყოფობა“. ეს სიტყვა კომპოზიტია, ორი სიტყვისაგან შედგება: ა-ქ° „ძროხა“ და ჩერქეზული წარმომავლობის ა-ჩგმაზარა „ავადმყოფობა“. მათი შეერთების დროს მეორე სიტყვას ზოგადობის ა- პრეფიქსი ჩამოშორდა და შედეგად სამწევრა კომპლექსი მივიღეთ (შდრ. ცალკე აღებული ა-ჩგმაზარა || ა-ჩმაზარა „ავადმყოფობა“ ვარიანტები“)

ი) არსებობს ისეთი სამწევრა თანხმოვანთკომპლექსები, რომელთა მეორე წევრიც ლაბიალიზებული თანხმოვანია. ლაბიალიზებულ თანხმოვანთაგან ხშულ ლაბიალიზებულთა გამოყენების სამი შემთხვევა გვაქვს, ხოლო ლაბიალიზებული სპირანტისა კი – ოთხი მაგ.:

ა-შ-ტ-რა	„ამძუგნება“
ა-ლ-ტ-რა	„გაუმჯობესება, გამოკეთება“
ა-ჩ-გ-ა-ჩ-გ-რა	„თლა“ (რედუქცია)

რაც შეეხება მეორე წევრად ლაბიალიზებული სპირანტის არსებობას, ასეთი შემთხვევა ჩვენ მიერ შესწავლილი მასალის მიხედვით, როგორც აღინიშნა, ოთხია:

ა-ხ-ხ-რა	„სინანული“
ა-ფშ-მა	„მასპინძელი“
ა-ჟ-ჟ-რგ	„ყურძნის ბურახი“
ა-ფჟ-რა ა-ფგჟ-რა	„ყნოსვა“

ვ) არის სამწევრა თანხმოვანთკომპლექსები, რომელთა პირველ ორ კომპონენტად ლაბიალიზებული თანხმოვნები გვხვდება, მათი დისტრიბუცია შემდეგნაირია: D^2B^2A , C^2D^2A , C^2B^2A , B^2B^2A , D^2D^2A , B^2D^2A . როგორც ვხედავთ, ლაბიალიზებული აფრიკატი ოდენ პირველ წევრად გვხვდება, ხოლო ლაბიალიზებული ხშულები და სპირანტები დასტურდება როგორც პირველ, ასევე მეორე კომპონენტადაც. ზემოთჩამოთვლილ ჯგუფთაგან შედარებით მეტია D^2B^2A კომპლექსის არსებობის შემთხვევები. მაგ..:

ა-ცცეშ-ტ-რა	„დაფერფლვა“ (ა-ცცე „ფერფლი“)
ა-ხაპ-ტ-რა	„გაქვავება“ (ახაპ „ქვა“, -ტ გარდაქცევითობის მაწ. სუფ., -რა – მასდარის სუფიქსი)
ა-უა-ჟ-ტ-რა	„კაცად, ადამიანად ქცევა“ (აუა-ჟ „ადამიანი“, -ტ გარდაქცევითობის სუფიქსი, -რა – მასდარის სუფიქსი)
ა-ბაანდა-ჟ-ტ-რა	„დაპატიმრება“ (ა-ბაანდაჟ „პატიმარი, ტუსაღი“). უკელა ამ რთულფუძიან სიტყვაში მეორე კომპონენტია ტ ძირი, რომელიც ნასახელარ გარდამავალ ზმნათა მაწარმოებელია და მის წინ დრო-კილოთა ფორმებში სუბიექტის ნიშანი იკავებს ადგილს. მაგ.: დ-უაჟ-სტ-იტ „მე იგი ადამიანად ვაქციე“ (გვანცელადე, 2003)
(C^2B^2) ა-ლა-ც-ყ-რა	„დახამხამება“ (თვალისა)
ა-ც-ტ-რა	„ძროხის დაგრილება“
(B^2B^2) ა-კ-კ-რა ა-კ-კ-რა „პენტა, წეწვა, ძენტვა“	
(D^2D^2) ა-შ-შ-რა ა-შ-შ-რა „სტენა“ (ხმაბაძვითი რედუქლიკაცია)	

ა-თა-ზე-გვ-რა „შიგნიდან ხმის გამოცემა, ყვირილი“.

როგორც მოყვანილი მაგალითებიდან ჩანს, რედუპლიცირებული ძირი გაქვს ორ სიტყვაში. როგორც ზემოთაც ითქვა, აგად. ქ. ლომთათიძეს თავის საგანგებო ნაშრომში რედუპლიკაციის შესახებ აღნიშნული აქვს, რომ გაორკეცუბულად გვევლინება უმთავრესად ონომატოპოეტური ლექსიკა, რადგან ხმაბაძვა თითქოს უშუალოდ გადმოსცემს მოვლენისათვის დამახასიათებელ ბგერას. სწორედ ამის მაგალითია აშ-შირა „სტენა“. ა-კ-კ-რა-ს შემთხვევაში კ° ორკეცი სახით იმიტომ გვხვდება, რომ „პენტვა, წეწვა“ ზმნა გულისხმობს ხანგრძლივ, უწყვეტ პროცესს. ყველა ამ მაგალითში მესამე სონორ წევრად რ თანხმოვნია წარმოდგენილი, როგორც მასდარის მაწარმოებლის თანხმოვნითი ნაწილი.

ლ) ცალკე აღნიშვნის დირსია სამწევრა თანხმოვნანთკომპლექსებში პირველ წევრად აფრიკატების გამოყენების შემთხვევები. შედარებით ხშირია პირველ კომპონენტად სადა და ინტენსიურ აფრიკატთა არსებობის შემთხვევები, შედარებით ნაკლებია ლაბიალიზებული აფრიკატის გამოყენება იმავე პოზიციაში. პირველად განვიხილოთ C¹D¹A და C¹B¹A ჯგუფების შემცველი მაგალითები, რომლებშიც პირველი წევრი სადა აფრიკატია, მეორე – სადა საირანტი (ხშული), მესამე კი – სონორი. მაგ.:

C¹D¹A: ა-ც-ხ-რაა-რა || ა-ც-ხგ-რაა-რა „დახმარება“

ა-ჭე-წ-ხ-რა „პირიდან გამოღება“ (ა-ჭე „პირი“, ა-წ-ხ-რა „ამოღება“

ა-წ-ს-რა „ვისიმე, რისამე ქვეშ გავლა“

ა-რაც-ა-წ-ხ-რა „ქვანახშირის ამოღება“ (ა-რაც-ა „ნახშირი“ + ა-წ-ხ-რა „ამოღება“)

ა-ხა-ც-ხ-რაა-რა „საკუთარ თავზე ზრუნვა“ (ა-ხა || ა-ხგ „თავი“ + ა-ც-ხ-რაა-რა „დახმარება“)

ა-მ-პე-წ-ხ-რა „გამოგლეჯა, წართმევა“ (ხელიდან) (ა-ნა-პე || → ამპე „ხელი“ + ა-წ-ხ-რა „ამოღება; გამორთმევა“)

ა-ღე-წ-ს-რა „გამოზამთრება“

ა-ზ-ა-წ-ხ-რა „გამორთმევა“

ა-წ-შ-რა	„ხელის შეშლა“
ა-წ-ხ-რა	„გამოძრობა, გამოთრევა“
ა-წ-ხ-რა	„წართმევა“

ამ მაგალითებიდან ერთ ნაწილში შედის რთულფუძიანი ა-წ-ხ-რა „ამოღება; გამორთმევა“ ზმნა, რომელიც შეიცავს მეორეულ სამწევრა თანხმოვანთკომპლექსს.

როგორც მოცემული მაგალითებიდან ჩანს, სადა აფრიკატებიდან პირველ კომპონენტად სამწევრა თანხმოვანთკომპლექსებში რეალიზებულია წ, ც, თანხმოვნები. სადა სპირანტებიდან წ და ც აფრიკატების მეზობლობაში გვხვდება ს, შ და ხ თანხმოვნები.

ა-წ-ფრ-აა-რა	„ნელ-ნელა აფრენა“ (შდრ. ა-ფრ-რა ა-ფრგ-რა „ფრენა“)
ა-წ-ფრგ-რ-თა	„აფრენის ადგილი“
ა-ძ-თ-რა ა-ძგ-თ-რა	„დნობა, გალდობა“ (შდრ. ა-ძგ „წყალი“)
ა-ღ-ძბ-რა	„ერთმანეთთან დავა“
ა-ც-კ-ლა-ს-რა	„ჩქმეტა, ბწყენა“
ა-ფსგძ-კ-რა	„თევზის ჭერა“ (ა-ფსგძ „თევზი“ + ა-კ-რა „დაჭერა“)

ზემოთ მოყვანილ მაგალითებში სადა აფრიკატებიდან წ, ძ და ც თანხმოვნებია რეალიზებული, ხოლო სადა ხშულებიდან კი – ფ, თ, ბ, კ თანხმოვნები.

როგორც ჩანს, სადა აფრიკატების თანხმოვანთკომპლექსებში არსებობის თვალსაზრისით, აფხაზურში გარკვეული შეზღუდვები გვაქვს, რადგან იმავე პოზიციაში არ გვხვდება ჯ, ჩ, ჟ თანხმოვნები.

მ) ერთმანეთის მეზობლად სადა აფრიკატების რეალიზების მაგალითები ჩვენ მიერ მოპოვებული მასალის მიხედვით სამია. მაგ:

ა-წ-წ-რა ა-წგ-წ-რა	„ამოსვლა“
ა-ჭჭ-რა	„ძაფის დახვევა“
ა-კვ-ძ-რა	„მეჭურჭლეობა“ (ა-კვ – ქართ. კვით + ა-ძ-რა „შეწვა; გამოცხობა; გამოწვა“)

6) გარდა სადა აფრიკატებისა, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, პირველ კომპონენტად ინტენსიური აფრიკატებიც გვხვდება და ასე იქმნება თანხმოვანკომპლექსთა C^3B^1A ჯგუფი. მაგ:

ა-ჭ-თ-რა || ა-ჭგ-თ-რა „დაძახება“

ა-ჩა-თ-რა „საჯინიბო“ (შდრ. ა-ჩაგ „ცხენი“, -თ-რა –

ადგილის აღმნიშ. სუფიქსია)

ა-ჩა-კ-ნა-ჰა-რა „თავის ჩამოხრჩობა“ (ზედმიწ.: თავის ჩამოკიდება)

ა-ჩაფნე-ჰა-რა „საყვედური“

ბოლო სამ მაგალითში ჩა- უკუქცევითი მოქმედების მაწარმოებელი პრეფიქსია (გვანცელაძე 2003, 48). ამდენად, სამწევრა კომპლექსი მეორეულია.

როგორც მაგალითებიდან ჩანს, სამწევრა კომპლექსის პირველ კომპონენტად აფრიკატაგან გვაქვს ჩა და ჭა თანხმოვნები, ჯა არ არის რეალიზებული. რაც შეეხება ინტენსიური აფრიკატის მეზობლობას სპირანტთან, ასეთი სულ ორი მაგალითი გვაქვს. ესენია:

ა-ჩა-შ-რა „თვითმკვლელობა“

ა-ჭ-შ-რა „სახეზე, პირზე წასმა, წაცხება“

აქაც აფრიკატაგან ჩა და ჭა ფონემები გვხვდება. ინტენსიური ჯა თანხმოვნის კომპლექსში გამოუყენებლობის მიზეზი უნდა იყოს ამ ფონემის შემცველ ძირთა დიდი სიმცირე. ამას მოწმობს ის ფაქტი, რომ, მაგალითად, ვ. კასლანძიას ორტომეულ ლექსიკონში (კასლანძია 2005, 680) ჯა ფონემაზე სულ ოცდაექვსი ლექსიკური ერთეულია შეტანილი.

ო) C^2D^1A ჯგუფში, რომელშიც პირველ კომპონენტად ლაბიალიზებული აფრიკატია, მხოლოდ ერთი მაგალითი გვხვდება. ესაა ა-ცისლაბ || ა-ციგსლაბ „ჭივჭავი“.

პ) გამოიყოფა B^1D^4A ჯგუფი, რომელშიც პირველი წევრი სადა ხშული თანხმოვანია, მეორე – ინტენსიური სპირანტი, მესამე კი – სონორი. მაგ.:

ა-ნა-ხია-ფშ-რა	, „შეხედვა, დახედვა“
ა-ფშ-ლაპუ-ა	, „სიმინდის ტარო“ (ა-ფშ „სიმინდი“ + ა-ლაპუ-ა „ტარო“)
ა-ჭაბ-ფშ-რა	, „პირისახეში ცქერა“
ა-ლა-ფშ-რა	, „არჩევა, ამორჩევა“
აღ-ფშ-რა	, „მსგავსება“

ამ ჯგუფის მაგალითებში სადა ხშულ თანხმოვანთაგან ფ გვხვდება შა-ს წინა პოზიციაში. საყურადღებოა, რომ დასახელებულ სიტყვათაგან, ტაროს აღმნიშვნელი სიტყვის გარდა, ყველა შეიცავს ცქერის, ყურების აღმნიშვნელ ფშა ძირს, რომელსაც მოსდევს მასდარის ან აბსტრაქტულ სახელთა მაწარმოებელი-რა სუფიქსი.

ე) აფრიკატები აფხაზურში სამწევრა კომპლექსების მეორე კომპონენტადაც გვხვდება. მაგალითები დაგვავით სადა, ინტენსიური და ლაბიალიზებული აფრიკატების მეორე წევრად გამოყენების სიხშირის მიხედვით.

B^1C^3A ჯგუფში პირველი წევრი სადა ხშული თანხმოვანია, მეორე – ინტენსიური აფრიკატი, მესამე კი – სონორი. მაგ:

ა-ფჩ-რა	, „ტყდომა“
ა-ც°-ფჩ-რა	, „სირცხვილი“ (ა-ც°ა „კანი, ტყავი“ + ა-ფჩ-რა „გატეხა; ტყდომა“, ე. ი. სირცხვილი აფხაზთა წარმოდგენით ტყავის, კანის გატეხაა)
ა-თა-ფჩ-რა ა-წ°-ა-ფჩ-რა	, „ჩატყდომა“
ა-ხჩ-რა	, „დასუსტება, დაუძლურება“
ეს-ჩ-ნე	, „ყოველდღე“

პირველ სამ სიტყვაში ა-ფ-ჩ-რა „გატეხა; ტყდომა“ ფუძეა გამოყენებული, რომელიც, თავის მხრივ, მეორეულ ორწევრა თანხმოვანთკომპლექსს შეიცავს (შდრ. ი-ფგ-ხ-ჩ-იტ „გავტეხე, დავამტვრიე“). საინტერესოა, რომ იგივე ა-ფ-ჩ-რა

სიტყვა რედუპლიკაციის დროს შ თანხმოვნის შემდეგ ნეიტრალურ ხმოვანს ჩაირთავს: ა-ფუ-ჩაჩ-რა „მრავლის გატეხა, დამსხვრევა; წვრილად დატეხა“, რაც ძალზე საყურადღებოა. ალბათ იმიტომ ხდება ასე, რომ ენა თაგს არიდებს ოთხწევრა კომპლექსის წარმოქმნას.

ეს-ჩა-ნგ „ყოველდღე“ ფორმაში ეს- ელემენტი „ყოველის“ აღმნიშვნელია (შდრ.: ეს-მინუთ „ყოველ წუთს“, ეს-სათ „ყოველ საათში“ და ა.შ.).

როგორც მოყვანილი მაგალითებიდან ჩანს, ინტენსიურ აფრიკატოაგან მხოლოდ ჩა თანხმოვანია რეალიზებული.

B¹C¹A ჯგუფში ორი მაგალითია:

ა-დ-წ-რა „გვერდზე გადგომა“

ა-კ-დ-წ-რა „რისამე რამისაგან მოვარდნა, მოძრობა“

D¹C¹A ჯგუფი შედგება კომპლექსებისაგან, რომლებშიც პირველი წევრი სადა სპირანტი თანხმოვანია. მაგ.:

ა-ნა-ვ-წ-რა „გავლა“

ა-ვ-წ-რაა-რა „ოდნავ გამოღება“

ა-ხჩ-ნგზა „მომცრო მორი, ძელი; ხის სკამლობინის სასოფლალი“

სადა აფრიკატოაგან წ და ჩ თანხმოვნები გვხვდება სამწევრა კომპლექსის მეორე კომპონენტად. სადა ხშული თანხმოვნებიდან წ-ს წინა პოზიციაში დასტურდება დ, ხოლო სპირანტოაგან კი – ვ და ხ.

ერთადერთი მაგალითი, რომელშიც მეორე წევრად ლაბიალიზებული აფრიკატია, შემდეგია: ა-თ-წ-რაა-რა „გამოჟონვა“. ამ შემთხვევაში თ სადა ხშულის გვერდით წ ლაბიალიზებული აფრიკატი გვაქვს.

ზემოთ მოყვანილ ყველა მაგალითში, გარდა თითო-ოროლა შემთხვევისა, მესამე კომპონენტად სონორთაგან რ არის რეალიზებული. უმეტეს შემთხვევაში იგი მასდარის, აბსტრაქტულობის ან კრებითობის მაწარმოებლის ნაწილია და ამდენად კომპლექსიც მორფემათა შეჯრის შედეგად არის მიღებული. მესამე წევრად გვხვდება ლ, მ და ხ სონორები, მაგრამ მათი გამოყენება ძალზე შეზღუდულია და სულ რამდენიმე მაგალითით შემოიფარგლება.

ამ ქვეჯუფში ჩვენ განვიხილეთ ისეთი სამწევრა თანხმოვანთკომპლექსები, რომელთა მესამე კომპონენტიც სონორი გახლავთ. თუმცა მასალის შესწავლისას გამოიყო ისეთი შემთხვევები, როცა კომპლექსში გვაქვს არა ერთი, არამედ ორი სონორი.

D²AA ჯგუფი:

ა-ჭრგპრ-რა „აწყვეტა, აგლეჯა“

ა-თგ-პრ-რა „გადმოგარდნა, დავარდნა“

მაგალითებში, რომლებშიც ორი რ-ს წინ კ სპირანტი გვხვდება, სულ ორია. სპირანტთაგან ამგვარ კომპლექსებში სხვა თანხმოვნები არ დასტურდება.

როდესაც სამწევრა თანხმოვანთკომპლექსებზე ვსაუბრობთ, აუცილებლად უნდა აღვნიშნოთ, რომ ზოგიერთ ამგვარ კომპლექსს მოეპოვება ნეიტრალური ხმოვნით გათიშული ვარიანტები, ისინი პარალელურად იხმარება. ჩვენ მიერ შესწავლილი მასალის მიხედვით ამგვარი ფორმები შემდეგია:

პ-ხ-აა-ხ-თ-რა || ა-ხ-აა-ხ-გ-თ-რა || ა-ხ-ჰ-ა-ხ-გ-თ-რა „ვაჭრობა“

ა-ლ-ხ-რა || ა-ლ-გ-ხ-რა „გახეხვა, დახეხვა“

ა-ფ-პ-რა || ა-ფგპ-რა „ენოსგა“

ა-კ-კ-რა || ა-კ-გ-კ-რა „პენტვა, წეწვა, ძენძვა“

ა-შ-შ-რა || ა-შ-გ-შ-რა „სტვენა“

პ-წ-წ-რა || პ-წ-გ-წ-რა „ქვემოდან ამოსვლა“

ა-ც-სლაბ || ა-ც-გ-სლაბ „ჭივჭავი“

ა-ჭ-თ-რა || ა-ჭ-ა-თ-რა „დაძახება“

ეველა ამ მაგალითში სამწევრა კომპლექსის პირველი თანახმოვნური ელემენტი მომდევნო ორისაგან ნეიტრალური ხმოვნით არის გათიშული. აღსანიშნავია, რომ გ ხმოვნის ერთ-ერთი ძირითადი ფუნქცია თანხმოვანთგაყრაა.

როგორც აკად. ქ. ლომთათიძემ დაადგინა, აფხაზურ-აბაზურ ძირთა და ფორმანტთათვის დამახასიათებელია CV ტიპი, ანუ ღია ტიპის მარცვალი. ამ ღია ტიპის მარცვალთა შეჯრა სიტყვათა და ფორმათა წარმოებისას ერთი მთავარი

მახვილის ქვეშ იწვევს ხმოვანთა რედუქციას და თანხმოვანთა შეყრას. მაგრამ ეს თანხმოვანთა შეჯრა ერთნაირად ასატანი არ არის ყველა კომპლექსში და ამ დროს თავს იჩენს სწორედ გ თანხმოვანი (ლომთათიძე 1976, 41). აფხაზურში ბეჭრი სიტყვაა ისეთი, რომლებიც გ ხმოვნის გარეშე არ გვხვდება, მაგრამ, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, არსებობს პარალელური ფორმებიც. აკად. ქ. ლომთათიძე აღნიშნავს, რომ გ ხმოვანი, ჩვეულებრივ, თავს იჩენს ორი თანხმოვნის შემდეგ მესამის ზღვარზე (ლომთათიძე 1976, 41). ანუ გვაქვს CCVC ტიპი თანხმოვანთა დისტრიბუციისა. ამის მაგალითები შემდეგია:

ა-ცხრაა-რა || ა-ცხერაა-რა „დახმარება“, ამ სიტყვაში გ ხმოვანი ხ-სა და რ-ს შორის ჩნდება. ასევე:

ა-ფგრ-რა || ა-ფრგ-რა „ფრენა“, რომელშიც გ ხმოვანი თავს იჩენს როგორც ფ-სა და რ-ს, ასევე ძირისეულ რ-სა და მასდარულ რ-ს შორის.

მაგრამ ზემოთ განხილულ მაგალითებში გ ხმოვანი გვხვდება არა ორი თანხმოვნის შემდეგ მესამის ზღვარზე, არამედ პირველისა და მომდევნო ორი თანხმოვნის მიჯნაზე. როგორც მოგეხსენებათ, აფხაზური სიტყვის ძირი ამოსავალში მარტივი იყო და ენა სწორედ გ ხმოვნის მეშვეობით გაურბის ფონეტიკური პროცესების შედეგად წარმოქმნილ თანხმოვანთკომპლექსებს. თუმცა ეს, როგორც დავინახეთ, ყოველთვის ასე არ არის. აფხაზური, ერთი მხრივ, გაურბის თანხმოვანთშეყრას, მეორე მხრივ კი, ჩვენი დაკვირვებით, იგი ნაკლებად ეგუება სიტყვაფორმაში მარცვალთა სიმრავლეს. მახვილის ძლიერი ზემოქმედება იწვევს ხმოვნის რედუქციას და, შესაბამისად, სიტყვაში მარცვალთა რაოდენობა მცირდება. ე.ი. ენა ამ გზით არეგულირებს მარცვალთა რაოდენობას (საკითხი დეტალურ კვლევას მოითხოვს).

აქვე უნდა აღვნიშნოთ ისიც, რომ დამოუკიდებლად არსებული სიტყვის აუსლაურში არსებული გ ხმოვანი კომპოზიტში იკარგება და შედეგად თანხმოვანთკომპლექსს ვიღებთ. გ ხმოვანი აფხაზურში ხშირად დგას სიტყვის ბოლოს, ოდონდ უნდა აღინიშნოს, რომ იგი ამ პოზიციაში, ჩვეულებრივ მახვილიანია. მაგ.: ამგ „წყალი“, ათმგ „პედელი“, აჯგმგ „ხახვი“ და სხვ.

ზოგიერთ სიტყვაში, როგორებიცაა: ფგბზგდანგ „პარგალ“, პახტიგ „შესაქრი“, პფხთგ „მდიერი“ ძირითადი მახვილის გვერდით თავს იჩენს თანამახვილი.

სწორედ ეს თანამახვილი ახასიათებს ზემოთ მოყვანილ ბოლო ლია მარცვლის ნეიტრალურ ხმოვანს, რაც ხდება საფუძველი მისი შენარჩუნებისა. როგორც კი ეს თანამახვილი კიდევ უფრო შესუსტდება ბოლო ლია მარცვლის გ-ზე, იგი მყისვე გაუჩინარდება. მაგ.: აბახტი „საკერავი, შესაკერი რამ“ სიტყვაში გ ხმოვანზე თანამახვილის შესუსტებით მივიღეთ აბახტი ვარიანტი (ლომთათიძე 1976, 112).

ჩვენ მიერ განხილულ მასალაში გამოიყოფა რამდენიმე კომპოზიტი, რომლებშიც შემავალი პირველი სიტყვის ბოლოკიდური გ ხმოვანი რედუცირებულია. მაგ.:

- | | |
|-------------------|--|
| ა-ჟ-პ-რა | „გასუქება“, მიღებულია: აჟ „ხორცი“ + ა-პ-რა „ჭერა“
ანუ ხორცის ჭერა, ხორცის მოკიდება, გასუქება.
ორი სიტყვის შეერთებისას ა ხმოვანი ამოვარდა, მახვილი გადავიდა წინამავალ ხმოვანზე, რამაც ორი ხმოვნის რედუქცია გამოიწვია. |
| ა-ბაანდა-ჟ-ტ-ო-რა | „დაპატიმრება“ (ა-ბაანდა-ჟ „პატიმარი“, -ტ გარდაქცევითობის სუფიქსია, -რა კი – მასდარისა). |

აქაც იგივე პროცესი გვაქვს, მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ ოდენ გ ხმოვნის გაუჩინარება ხდება, ანუ: CVCC → CCC. ეს იმით აისხება, რომ სიტყვათა შეერთებისას მახვილის გადანაცვლება ხდება წინა ან უკანა ხმოვანზე და უმახვილოდ დარჩენილი გ ხმოვანი იკარგება.

აკად. ქ. ლომთათიძე თავის ნაშრომში აღნიშნავს: „უმახვილო გ მეტად დაუდეგარი ბგერაა და ზოგიერთ მკვლევარს იგი არ შეაქვს ხმოვანთა სისტემაში, მაგრამ ეს ვითარება გამოწვეულია არა გ ხმოვნის „ფონემურობა-არაფონემურობით“, არამედ ინტენსიური მახვილის მოქმედებით, რომელიც მთლიანად „ანგრევს“ ფუძეთა ამოსავალ ხმოვნურ სახეს: იწვევს ფუძეთა შეკუმშვას და, ბუნებრივია, თუ პირველ რიგში უმახვილო ხმოვანს ამოაგდებს“ (ლომთათიძე 1976, 40).

2) მეორე წევრად სონორის შემცველი სამწევრა თანხმოვანთკომპლექსები აფხაზურში

ჩვენ მიერ შესწავლილ მასალაში ცალკე ჯგუფს ქმნიან ისეთი სამწევრა თანხმოვანთკომპლექსები, რომელთა მეორე წევრი სონორია. მაგალითები იყოვა სხვადასხვა ჯგუფის თანხმოვანთა დისტრიბუციის მიხედვით და აქ მეტად საინტერესო სურათი გლინდება. საქმე ის გახლავთ, რომ ამგვარ კომპლექსებში თანხმოვანთა დისტრიბუცია საკმაოდ შეზღუდულია. კერძოდ, პირველ კომპონენტად საერთოდ არ გვხვდება B^1 , B^2 და B^3 ჯგუფის ხშული თანხმოვნები. სპირანტოაგან პირველ პოზიციაში სადა და ლაბიალიზებული თანხმოვნებია რეალიზებული, აფრიკატაგან კი მხოლოდ C^1 ჯგუფის თანხმოვნები. მაგალითები:

$D^1AD^1:$	ა-ჟ-რ-ჟა	„ქიშმიში“ (ზედმიწევნით: ხმელი ყურძენი)
$D^1AD^2:$	ა-წე-ს-მჟა-ს	„მიმომფრენი ფრინველი“ (ა-წე-ს „ფრინველი, ჩიტი“, ა-მჟა-ს-რა „გზად გავლა“)

შედარებით მეტია პირველ კომპონენტად ლაბიალიზებული სპირანტის გამოყენების შემთხვევები.

$D^2AB^2:$	ა-ჭ-ო-რ-ჟიგ	„დაგორგლილი ყველი“
$D^2AD^2:$	ა-ჭ-ო-რ-ჟა	„შებოლილი ყველი“ (ზედმიწა: გამხმარი ყველი)
$D^2AC^1:$	ა-ჟნ-ცა-რა	„გამორეკვა, გამოდევნა შენობიდან“ (ა-ჟნ „სახლი, შენობა“, ა-ცა-რა „წასვლა“).
$D^4AC^2:$	ა-ჯარ შ-რ-წიგ	„დამწნილებული ნიორი“ (ა-ჯარ შ „ნიორი“, ა-რ-წ-რა „დამწნილება“)

ამ ჯგუფის კომპლექსები მცირე რაოდენობითაა ენაში, D^3 ჯგუფის თანხმონები კი პირველ კომპონენტად საერთოდ არ დასტურდება.

ჩვენ მიერ შესწავლილ მასალაში გამოიყო ისეთი სამწევრა თანხმოვანთკომპლექსებიც, რომელთა პირველი წევრი C^1 ჯგუფის სადა აფრიკატია, მეორე – სონორი, მესამე კი – D^1 და B^1 ჯგუფის თანხმოვნები. მაგ:

C ¹ AD ¹ :	ა-ჭ-გ-ნ-ხ-ა-ჯ	„ახალმოსახლე“ (სიტყვა კომპოზიტია: აჭ-გ „ახალი“, ა-ნ-ხ-ა-ჯ „მცხოვრები, მოსახლე“);
	ა-ჭ-გ-მ-ჯ	„ახალი ცხოვრების გზა“ (ახევე კომპოზიტია: ა-ჭ-გ „ახალი“, ა-მ-ჯ „გზა“);
C ¹ AB ¹ :	ა-ჭ-გ-რ-გ-გ-ლ-ა-რ-ა	„ახალმშენებლობა“ (ა-ჭ-გ „ახალი“, ა-რ- გ-გ-ლ-ა-რ-ა „დაყენება; აშენება“);

საყურადღებოა, რომ ყველა ეს სიტყვა კომპოზიტი და ნეოლითიზმია. მათში შემავალი პირველი ფუძე არის ა-ჭ-გ, რომლის მომდევნო ფუძეებთან შეერთებითაც თანხმოვანთკომპლექსებს ვიდებთ. ამდენად, ზემოთმოყვანილი სამწევრა თანხმოვანთკომპლექსები სრულიად ახალი მეორეული წარმოშობისაა.

ამ ჯგუფის თანხმოვანთკომპლექსებში, რომელთა მეორე კომპონენტიც სონორია, პირველ წევრად არ გვხვდება B¹, B², B³, C², C³, D³ ჯგუფის თანხმოვნები.

§ 3. ორი სონორის შემცველი სამწევრა კომპლექსები აფხაზურში

ჩვენ თანმიმდევრობით განვიხილეთ ისეთი სამწევრა თანხმოვანთკომპლექსები, რომლებშიც სონორი თანხმოვანი ჯერ ბოლოკიდურ, ხოლო შემდეგ თავკიდურ კომპონენტად იყო რეალიზებული. მაგრამ ცალკე გამოიყოფა ისეთი სამწევრა კომპლექსებიც, რომლებშიც სონორი თანხმოვნები ერთდროულად პირველ და მესამე წევრად გვხვდება, ხოლო მათ შორის, ანუ კომპლექსის მეორე წევრად ხშული, სპირანგი და აფრიკატი თანხმოვნებია წარმოდგენილი. პირველად განვიხილოთ AB¹A ჯგუფის კომპლექსთა შემცველი სიტყვები. მაგ:

ა-რ-პ-რა	„მიწის ჩიჩქნა“
ა-ნა-რ-კ-რა	„ჩაბარება, გადაცემა“
ა-ფგ-რ-ტლ-ა-რ-ა	„გახსნა, შეხსნა“
ა-სა-რ-თ-რ-ა	„საბატკნე“
ა-ნ-კ-რ-ა	„ხელის ჩაჭიდება, ჩავლება“
ა-ლას-კ-ანდ-რ-ა ა-ლას-კ-ანტ-რ-ა	„ძალიან მსუბუქი“
ა-ნგ-შ-გ-ნ-თ-რ-ა	„საფლავი, სამარე“

ა-ბუნტ-რა	„აჯანყება“ (შდრ. რუს. ნუნტ, -რა მასდ. მაწ. სუფიქსი)
ა-ბანდრგქ°	„კოჭი“ (ფუძის აგებულება ბუნდოვანია)
ა-წერწენდრა	„მარწევი“ (შდრ. მეგრ. წერწენდრა წიწიმდარა)
ა-საპენ-თ-რა	„სასაპნე“
ა-ყოგნდ-ყოგნდ-რა ა-ყოგნდ-შოგნდ-რა	„დუდუნი, ბუზდუნი“ (ფუძის რედუქციაცია. -რა მასდ. მაწ. სუფ.)
ა-დგრფ-რა	„უსწორმასწორო აღმართი“
ა-რ-თ-რა	„მომწიფება“
ა-პაზგრ-თ-რა	„ჩოხის მასრის ჩასაგები ჯიბეები, საქილე“ (შდრ. თურქ. პაზგრ „მზა“)
ა-ხ-ძგ-რ-კ-რა	„მოვარაყება“ (ზედმიწ.: ოქროს წყლის დაჭერინება)
ა-წერ-რ-ტლა-რა	1. „ნაკერის მორდვევა“; 2. „ხარის გამოხსნა უდლი-დან,,
ა-რ-ტლა-რა	„დარღვევა“
ა-ხ-ა-რ-კ-რა	„დაწყება“
ა-შოართლევ	„სახვევი, გრაგნილი“ (ფუძის წარმომავლობა არკვე-ვია)
ა-შაქარ-თ-რა	„საშაქრე“ (ა-შაქარ „შაქარი“ ნასესხებია ქართულის მეშვეობით)
ა-რთმაყ	„ჩანთა“ (ნასესხებია თურქულიდან)
ა-რ-ბლა-ყ-ა-რა	„მიმართულების შეცვლა“
ა-გ-ა-ა-რ-ტ-რა	„გულახდილობა“
ა-ბარდ-რა	„ბუჩქებით დაფარული ბარდნალი ადგილი“ (შდრ. ქართ. ბარდი)
ა-კაკალ-კ-რა	„საუზმობა“ (შდრ. მეგრ. კაკალუა „საუზმობა, წახემ-სება“)
ა-ჩალტ-რა	„ფარცხვა“ (შდრ. ქართ. ჩელტი)
ა-ლ-დრ-აა-რა ა-ლ-დგრ-აა-რა	„ამოცნობა, ცნობა“
ა-ციგ-მ-ზგ-მ-კ-რა	„უძილობა“
ა-შამთლაჭ°	„ბორკილი“

ა-გაჩამ-კ-რა „შეკრთომა“, „დაბნევა“
 ა-ყარყ-მგჯ ॥ ა-ყარყ-მგჯ „ხვანჩი, ხორხის მაღლობი“
 (შდრ. იმერ. ყორები „ხორხი“)

მოუვანილი მაგალითებიდან ჩანს, რომ სამწევრა კომპლექსებში მეორე კომპონენტად გვხვდება შემდეგი სადა ხშული თანხმოვნები: პ, კ, ტ, ო, ფ, დ, ბ, ყ. მათგან ყ-ს გამოყენების მხოლოდ ერთი შემთხვევა ფიქსირდება, აყერყმჯ სიტყვაში და აქაც მორფემათა ზღვარზე (შდრ. ა-ყარყ „ხორხი“). რაც შეეხება სონორებს, თავკიდურ წევრად მეტი სიხშირით რ სონორი გამოიყენება (უპირატესად კაუზატივის პრეფიქსად), შედარებით ნაკლებია ნ-ს გამოყენების შემთხვევები, ხოლო ლ და მ თანხმოვნები თითო-ოროლა მაგალითში გვაქვს. კომპლექსის მესამე ანუ ბოლო წევრადაც რ თანხმოვანი გვევლინება, იგი ამ შემთხვევაში ან მასდარის მაწარმოებელია, ან ადგილის აღმნიშვნელი სუფიქსის ნაწილი (-თ-რა). ოთხი შემთხვევა გვაქვს ბოლო წევრად ლ თანხმოვნის არსებობისა და ერთი მ-სი – ნასესხებ „ართმაჟ“ სიტყვაში.

ამ ჯგუფის კომპლექსებში მეორე წევრად ლაბიალიზებული და პალატალიზებული ხშული თანხმოვნებიც გვხვდება, მაგრამ მათი რაოდენობა შედარებით ნაკლებია. მაგ.:

(AB ² A):	ა-ჩატ-ლა-რ-ყ-ო-რა	„თავის დახრა“
	ა-იდეალ-ტ-ო-რა	„იდეალიზება“ (ა-იდეალ-იდეალი, -ტ-ო – გარდამავალ ნასახელარ ზმნათა მაწარმოებელი, -რა – მასდ. მაწ. სუფიქსი).
	ა-რ-თ-ო-რა	„დამატება, გავსება“
	ა-ყაპრტ-ო-რა	„სახსარი, სადრეკი, ოდრიკალი“
	ა-ზაკან-ტ-ო-რა	„დაკანონება“ (შდრ. რუს. закон, -ტ-ო გარდამავალ ნასახელარ ზმნათა მაწარმოებელი სუფიქსი, -რა – მასდარისა).
	ა-მოგმ-ტ-ო-რა	„დაობლება“ (შდრ. ოურქ. ეთგმ „ობოლი“)
	ა-რ-ყ-ო-რა	„ამოვსება, ჩახერგვა“
	ა-ლარ-ტ-ო-რა	„ვინმეს გალარიბება“ (ა-ლარ „დარიბი“, -ტ-ო – დანიშნ. სუფიქსი, -რა – მასდ. მაწ. სუფიქსი).

როგორც მოყვანილი მაგალითებიდან ჩანს, B^2 ჯგუფის თანხმოვნებიდან მეორე წევრად რეალიზებულია თა, ტა და ყა თანხმოვნები. პირველ კომპონენტად სონორთაგან გვხვდება რ, ნ, მ, ხოლო მესამე წევრად კი ოდენ რ სონორი, როგორც მასდარის მაწარმოებელი სუფიქსის ნაწილი.

B^3 ჯგუფის თანხმოვანთა მეორე წევრად გამოყენების შემთხვევები სულ ოთხია:

(AB ³ A):	ა-თგრკ-რა	„წამოშვერა, გამოზნექა“
	ა-ცგრკ-რა	„კოჭლობა“
	ა-ნა-ლ-კ-რა	„გამოყოფა“
	ა-დგრგ-ლა	„ხის ვედრო“ (შდრ. ქართ. დერგილა, დერგი). კომპლექსი წარმოქმნილია ქართული თ ხმოვნის რედუქციის შედეგად.

პალატალიზებულ ხშულთაგან ამ პოზიციაში კ და გ თანხმოვნები გვხვდება, სონორთაგან – ლ და რ.

ბ) ამ ქვეჯგუფში განვიხილავთ სადა სპირანტის შემცველ სამწევრა თანხმოვანთკომპლექსებს. მაგალითები:

(AD ¹ A):	ა-რ-ხ-რა	„თიბვა“
	ა-გ-გ-ლ-ხ-რა	„ამოღება“ (შუაგულიდან)
	ა-ზ-კ-ლ-ს-რა	„გამოსვლა“ (შდრ. ალსრა „გავლა“)
	ა-ნ-ე-გ-გ-მ-ს-რგ-და	„უკლებლივ, გვერდის აუვლელად“
	ა-ნ-ჭ-რა	„გათბობა“
	ა-რ-ჭ-რა	„დათრობა“
	ა-ლ-ხ-რა	„ამორჩევა“
	ა-დ-გ-ლ-ქ-რა	„შენობიდან გარეთ გამოშვება, გამოყრა“
	ა-რ-ს-რა	„დარჭობა“
	ა-ნა-პ-მ-ხ-რა	„ხელის ჩამორთმევა“ (ა-ნა-პ „ხელი“, ა-მ-ხ-რა „გამორთმევა; წართმევა“);
	ა-მ-წ-ა-რ-ს-რა	„მოტაცება“
	ა-ნა-ლ-ჭ-რა	„შეშლა“

ა-მ-ს-რა	„დაფიცება“
ა-პ-ა-ტ-გ-ლ-ხ-რა	„მბრძანებლობა“
ა-ც-გ-მდ-რა ა-ც-გ-მგლ-რა	„სიძულვილი“
ა-ხ-ტ-რ-ს-რა	„შეხება“
ა-გ-ვ-ლ-ს-რა	„მწუხარება, ურვა“ (ა-გ-ვ „გული“, ა-ლ-ს-რა „შიგ გავლა“)
ა-მხ-ნე-ზა	„ყანაში მომუშავე“
ა-შა-მ-ხ-ნე-შლარა	„დაჩოქება“

როგორც მოყვანილი მაგალითებიდან ჩანს, სადა სპირანტებიდან სამწევრა კომპლექსებში რეალიზებულია ხ, ჟ, ს, ჟ, ღ თანხმოვნები, მათგან ჟ მხოლოდ ერთ სიტყვაში გვაქვს – ადგლერა. პირველ წევრად ოთხივე სონორი გვხვდება, მათგან უფრო ხშირად – ბ და ლ, შედარებით ნაკლებად რ და ნ თანხმოვნები. ბოლოკიდურ წევრად ყველგან რ სონორია რეალიზებულია, გარდა ორი შემთხვევისა, სადაც ნ თანხმოვნი გვაქვს: ამხნება და აშამხნე შლარა.

გარდა სადა სპირანტისა, სამწევრა კომპლექსის მეორე წევრად, ლაბიალიზებული სპირანტიც გვხვდება. მაგალითები:

(AD²A): ა-თ-ა-რ-ხ-ნ-პ-ო-რა „ჩაბრუნება, გადაბრუნება“

ა-გ-ვ-დგ-რ-შ-ლ-ა-რა „გადაგდება“

ა-ხ-ტ-შ-ლ-ა-რა „წამოსხმა, მოგდება“

ა-რ-ჟ-ლ-ა-რა „დალევინება“ (რ- კაუზატივის მაწ. პრეფიქსია, -რა – მასდარის მაწ. სუფიქსი, ჟ- „დალევის“ აღმნიშვნელი ძირი)

ა-თ-ა-რ-ხ-ლ-ა-რა „მოღუშვა, შეჭმუხვა“

ა-ქ-ტ-რ-შ-ლ-ა-რა „კემსვა“

ა-ხ-ნ-პ-ო-რა „დაბრუნება“

ა-ძ-რ-ჯ-რ-ა || ა-ძ-რ-ჯ-რ-ა „სმენა“ ამ სიტყვის ვარიანტები გვიჩვენებს, რომ ენა ცდილობს, თავიდან აიცილოს სამი თანხმოვნის თავმოყრა და დაიცვას ორი თანხმოვნის წესი, რასაც ზოგჯერ აღწევს კიდევ.

ა-თპ-რ-შ-ო-რა	„ჩაგდება“
ა-კვ-წ-რა-რ-შ-ო-რა	„ამოდლიავება“
ა-ძე-რ-ქ-ო-რა	„წრთობა, გამოწრთობა“ (ზედმიწ.: „წყლის დალევინება“)
ა-რ-ჟ-რ-ა	„გაჭენება“
ა-გ-ო-კ-რ-შ-ო-რა	„სიმშვიდე“
ა-გ-ო-ხ-ნ-ნ-ჟ-ო-რა	„პირდებინება, გულისრევა“
ა-ცგნხ-ო-რ-ა	„სამაგიერო, სანაცვლო“
ა-ჩ-ა-ლ-ა-რ-ხ-ო-რ-ა	„მონაწილეობის მიღება“
ა-ხ-ე-რ-ხ-ო-რ-ა	„დასჯა“
ა-ჩჩა-რ-ხ-ო-რ-ა	„ქვეყნის სასაცილოდ გახდომა“

D² ჯგუფის სპირანტთაგან სამწევრა თანხმოვანთკომპლექსების მეორე კომპონენტი შემდეგი თანხმოვები გვხვდება: ჰ°, შ°, ჟ°, ხ°, ჟ. პირველ კომპონენტი სონორთაგან რ და ნ არის რეალიზებული, მათგან ნ მხოლოდ სამ მაგალითში გვხვდება. კომპლექსთა ბოლო ანუ მესამე წევრად ასევე რ სონორი გვაქვს, ამ შემთხვევაშიც მისი რაობა ნათელია – იგი მასდარის მაწარმოებელი სუფიქსის ნაწილია.

სადა და ლაბიალიზებულ სპირანტთა გვერდით იმავე პოზიციაში პალატ-ლიზებული და ინტენსიური სპირანტებიც გვხვდება.

მაგალითები:

(AD ³ A):	ა-რ-ხ-ო-რ-ა	„ტკენინება, ტკივილის მიუენება“
	ა-ჩგ-რ-ხ-ო-რ-ა	„გაგრილება“

ორივე შემთხვევაში ერთი და იგივე კომპლექსი გვაქვს – რხ-რ.

(AD ⁴ A):	ა-ც-გ-ა-რ-შ-ო-რ-ა	„ბოროტმოქმედება, უკეთურება“
	ა-რ-შ-ო-რ-ა	„ტიფი“
	ა-ძგ-რ-შ-ლ-ა	„ამჟავებული რძე“
	ა-მშ-ნგ-ჟ-ო-ა	„დღესასწაული“ (ა-მშ „დღე“ ა-ნგ-ჟ-ო-ა „დღესასწაული“)

გ) სამწევრა კომპლექსებში მეორე კომპონენტად C^1 , C^2 და C^3 ჯგუფების თანხმოვნებიც არის რეალიზებული:

AC ¹ A:	ა-ც°გ-რ-წ-რა	„გამოჩენა“
	ა-გ°პ-მ-წ-რა	„შეწუხება, ნერვიულობა“
	ა-რ-გ°ა-მ-წ-რა	„ვინმეს მიერ ვისიმე შეწუხება, განერვიულება“
	ა-რ-თგნჩ-რა	„დამშვიდება“
	ა-რ-ჩ-რა	„გაბერვა“
	ა-ჩპ-რ-ძ-რა	„პურის ცხობა“
	ა-ჩგ-რ-ჩ-რა	„გაბღენდა, მედიდურობა“
	ა-ჩგ-რ-თგნჩ-რა	„თავის დამშვიდება“
	ა-ფგ-რ-წ-რა	„ჩამოშორება“
	ა-თა-რ-ჩ-რა	„გაბერვა“ (კაუზ.)
	ა-ლ-წ-რა	„ტყიდან გამოსვლა“
	ა-კპ-რ-ჩ-რა	„კვამლის აბოლქვება“
	ა-ლა-რ-ჩ-რა	„მიშვება“
	ა-მ-წ-რა	„მოგლეჭა, მოხევა“
	ა-ხ-თგ-ლ-წ-რა	„შობა, მშობიარობა“
	ა-წა-რ-ჩ-რა	„ბოლის, კვამლის გამოშვება“
	ა-ჩპ-პ-გა-რ-ძ-რა	„დამალვა, მიმალვა“
	ა-გგრძ-ნგჰა	„ბნედიანისთვის შელოცვა“
	ა-პაფშა-რ-ძ-რა	„სამეთუნეო სახელოსნო“
	ა-ჭარამ-წლა	„ჭერმის ხე“ (შდრ. ქართ. ჭერამი)
	ა-ხერწლად	„სარჩული“ (უძის აგებულება ბუნდოვანია)
	ა-ბგრჭმან	„ეპალა“ (შდრ. მეგრ. ბურჭუმელი „ეპალა“)
	ა-ჩგნჩლაბია	„ჩენჩოიანი ლობიო“ (ლობიოს ჯიშია, სახელი ნასესხებია ქართულიდან. იხ.: გვანცელაძე 1997, 60)
	ა-მჩ-რა	„ძალაუფლება“
	ა-ნჯნგრ	„ინუინერი“
	ა-თგრჯმან	„თარჯიმანი“
	ა-ფსლგმ-ძრა	„ქვიშრობი“

ამ სიტყვათა ერთი ნაწილი კაუზატიური ზმნებია (რ- პრეფიქსით), სხვები კი არსებითი სახელები (მათ შორის ნასესხები ლექსიკაცაა).

განხილული მაგალითების მიხედვით სამწევრა კომპლექსებში მეორე წევრად შემდეგი აფრიკატებია რეალიზებული: წ, ჩ, ძ, ჭ. მათგან მეტი სიხშირით წ, ჩ და ძ აფრიკატები გვხვდება, ჭ მხოლოდ ერთ ნასესხებ მაგალითშია რეალიზებული – აბგრჭმან. რაც შეეხება ჯ თანხმოვანს, იგი ორ სიტყვაში გვხვდება და ორივე მათგანი ნასესხებია:

ათგრჯმან (თურქულიდან), ანჯნერ (რუსულიდან).

ანჯნერ სიტყვას, რომელიც რუსულის მეშვეობითაა ნასესხები (инженер), აფხაზურმა ჩამოაცილა თავკიდური ი ხმოვანი, ჟ თანხმოვანი შეცვალა ჯ აფრიკატით, რომლის მომდევნო ე ხმოვანი, რომელიც რუსულში ი ხმოვნად გამოითქმის, საერთოდ ამოაგდო, ხოლო ბოლო ე ხმოვანს ჩაენაცვლა ნეიტრალური ხმოვანი. ასე წარმოიქმნა სამი თანხმოვნისაგან შემდგარი კომპლექსი.

სამწევრა კომპლექსის პირველ პოზიციაში ოთხივე სონორია რეალიზებული, მათგან მეტი სიხშირით რ-ს გამოყენების შემთხვევები ფიქსირდება. ბოლო წევრადაც ოთხივე სონორი გვხვდება, მათგან ბ ორ ნასესხებ სიტყვაში: ათგრჯმან, აბგრჭმან; ნ ასევე ორ სიტყვაში: ანჯნერ (ნასესხებია. იხ. ზემოთ), აგგრძნება; ლ კი სამ მაგალითში: აჩნჩლაბია (ნასესხებია), ახერწლაღ, აჭარამწლა (პიბრიდული, ქართულ-აფხაზური კომპოზიტია).

ცალკე გამოიყოფა ისეთი თანხმოვანთკომპლექსები, რომელთა მეორე კომპონენტად ლაბიალიზებული (C^2) და პალატიალიზებული (C^3) აფრიკატები გვხვდება. ასეთებია:

AC ² A:	ა-თა-რ-ც°-რა	„დაცლა, დაცარიელება“ (კაუზ. შდრ. ა-თა-ც° „ცარიელი“, არაკაუზ. ა-თა-ც°-რა „დაცლა, დაცარიელება“)
	ა-რ-წ°-რა	„დამწნილება“ (კაუზ. შდრ. არაკაუზ. ა-წ°-რა „დამწილება“)
	ა-ც°გრც°მა	„თაფლით ან ქონით შეზავებული ღომი“ (ფუძის აგებულება ბუნდოვანია)
	ა-წგნწ°ლაღ	„ფრინველთა კუჭი“ (ფუძის აგებულება ბუნდოვანია)

ლაბიალიზებულ აფრიკატაგან ც° და წ° თანხმოვნებია რეალიზებული, სონორთაგან ოთხივე: რ ლ მ 6.

AC ³ A:	ა-პ-რ-ჭ-რა	„ჩაწვნა“ (კაუზ.)
	ა-ხ-ა-რ-ჩ-რა	„გადაპევა“ (კაუზ.)
	ა-ხგ-რ-ჩ-რა	„მობრუნება“ (კაუზ.)
	ა-მჭ-ლგ-ხ	„ხის ნაკეთობა“

პალატალიზებულ აფრიკატაგან მეორე კომპონენტად გვხვდება ჭ და ჩა თანხმოვნები. სონორთაგან – რ, ლ, მ. რ ბოლოკიდური სონორი აქაც, ისევე როგორც ზემოთ განხილულ მაგალითებში, მასდარის მაწარმოებელი სუფიქსია.

§ 4. უსონორო სამწევრა თანხმოვანთკომპლექსები

აფხაზურში დასტურდება არცოუ ისე მცირე რაოდენობა სიტყვებისა, რომლებიც სამწევრა თანხმოვანთკომპლექსებს შეიცავენ, მაგრამ ზემოთ განხილული კომპლექსებისგან განსხვავებით მათში სონორი არ ფიგურირებს. ამ მხრივ აფხაზური განსხვავდება დაღესტნურ ენათაგან. მაგალითად, თაბასარანულში სამწევრა კომპლექსში სონორის არსებობა გარდაუვალია, იგი აუცილებლად შეიცავს სონორს, ზოგჯერ – ორსაც (ბარამიძე 2003, 89). აფხაზური ამ მხრივ სხვაობას გვიჩვენებს ქართველური სისტემებისგანაც. მაგალითად, პროფ. ნ. ქუთელიას გამოკვლევით, ლაზურ დიალექტში სამწევრიან კომპლექსთა სამი კლასი გამოიყოფა: ა. დეცესიური ჰარმონიული კომპლექსები მწნ ნაზალური სონანტით წოზიციაში; ბ. ჰომორგანული და დეცესიური ნაზალური ჯგუფები ვ თანხმოვნით მომდევნო პოზიციაში; გ. დეცესიური ჰარმონიული კომპლექსები ვ თანხმოვნით მომდევნო პოზიციაში (ქუთელია, 2005, 242).

განსახილველი აფხაზური მაგალითები დავყავით სხვადასხვა ჯგუფის თანხმოვანთა პირებელ კომპონენტად დისტრიბუციის მიხედვით. პირებელ რიგში მოვიყვანთ სახელებს, ხოლო შემდეგ კი – სხვა მეტყველების ნაწილებსა და ზმნებს, რადგან ამ მხრივ განსხვავებული გითარება გვაქვს.

D ¹ B ¹ D ¹ :	ა-გ-ე-ლ-ი-ს-ბ-ე	„გულისცემა“
	ა-უ-ს-ფ-შ-ა	„წმინდა საქმე“ (ა-უ-ს „საქმე“, ა-ფ-შ-ა „წმინდა“)
	აბაზ-ფ-ს-ა	„აბაზად დირებული“ (აბაზ „აბაზი“, ა-ფ-ს-ა „ფასი“)

ზმინისართებში:

აბ-ს-ო-ხ-ა	„ახლოს,,
ნა-ს-ო-ხ-ა ნა-ს-კ-ა	„მოშორებით,,

ამ მაგალითებში სადა თანხმოვანთა შემდეგი კომბინაციები გვხვდება: სბჟ, სფშ, ზფს, სთხ, ანუ სადა სპირანტთაგან პირველ პოზიციაში რეალიზებულია ს და ზ, ხოლო მესამე პოზიციაში კი – ჟ, შ, ს, ხ ფონემები. სადა ხშულთაგან ამ ჯგუფის კომპლექსების მეორე წევრად ბ, ფ, ო თანხმოვნები დასტურდება.

D ¹ B ¹ D ² :	ა-ხ-ო-პ-ა-ა	„მოგონილი“
D ¹ B ¹ D ⁴ :	ა-ხ-ფ-შ-ა	„ძლიერი ტალღა“

ამ ჯგუფის კომპლექსთა მხოლოდ თითო მაგალითი გვაქვს. ორივე შემთხვევაში პირველი წევრი სადა სპირანტებიდან არის ხ.

ასევე დასტურდება ისეთი სამწევრა თანხმოვანთკომპლექსი, რომლის სამივე წევრი სადა სპირანტია – D¹D¹D¹:

ა-გზვრდ 1. „ოცეული“; 2. „ჩახმახის ფეხი“ (სიტყვა ნასესხებია რუსულიდან – взвод, აფხაზურში დაერთო ზოგადობის ა- პრეფიქსი).

ამ ჯგუფის თანხმოვანთკომპლექსის შემცველი საკუთრივ აფხაზური სიტყვა ჩვენ მიერ მოპოვებულ მასალაში არ შეგვხდა, თუმცა გამოიყო მესამე კომპონენტად D² ჯგუფის თანხმოვნის შემცველი კომპლექსი D¹D¹D²: ა-უ-შპათა „ოეთრი ყურძნის ჯიში“, რომელშიც პირველი კომპონენტი ყურძნის აღმნიშვნელი ა-უ სიტყვის ძირია, დანარჩენი ნაწილის/ნაწილების რაობა საკვლევია.

D¹B¹B¹: ა-უჩატკა „ნაკვეთი“ – რუსულიდან შესული სიტყვაა – участок, რომელიც არ შეიცავს სამწევრა კომპლექსს, მაგრამ აფხაზურში ფუძემ ცვლილებები განიცადა და წარმოიქმნა სამწევრა კომპლექსი.

ა-უ-ს-ფ-ყ-ა „დადგენილება“ (ა-უ-ს „საქმე“, ა-ფ-ყ-ა „მოჭრილი, მოწყვეტილი, გადაწყვეტილი“).

ამ ჯგუფის კომპლექსებში პირველ კომპონენტად სადა სპირანტთაგან ორი-ვე მაგალითში ს გვხვდება, ხოლო სადა ხშული თანხმოვნები კი ტკ, ფუ თანმიმდევრობით არის განლაგებული. აკად. ქ. ლომთათიძე ბაგისმიურ თავკიდურიან კომპლექსებს აფხაზურ-აბაზურში ე. წ. „მტკიცე“ კომპლექსებს უწოდებს და განსაკუთრებით გამოყოფს ფ თავკიდურიანს, მაგრამ მის მეზობლობაში უმთავრუსად სპირანტები, ხოლო ხშულთაგან კი მხოლოდ სამი: ჩ, თ და წ გვხვდება (ლომთათიძე 1976, 243).

ფუ კომპლექსი, რომელიც „აუსფერა“ სიტყვაში გვხვდება, მეორეულია, რადგან კომპოზიტის შემადგენელ წევრთა საზღვარზეა.

მასალის შესწავლისას გამოიყო ისეთი ჯგუფები თანხმოვნებისა, რომლებშიც ორი სადა სპირანტი და ერთი სადა ხშულია:

D¹D¹B¹: ა-ჭ-ბ-ს-თა „იარა“

სს თანმიმდევრობა აფხაზურისათვის ბუნებრივია და არანაირი სირთულე ამასთან დაკავშირებით არ გვხვდება (ლომთათიძე 1976, 244), თუმცა აქ იგი მორფებითა ზღვარზეა შექმნილი.

D¹B¹B³: ახოუ „გავარდნილი ტყვია“ (ახგ – ტყვია, ა-ოუ ა-რა „გავარდნა“)

ხო კომპლექსი აფხაზურისათვის ასევე ბუნებრივია, მაგრამ ისიც მეორეულია და მორფებითა ზღვარზე მდებარეობს:

D¹B¹C³: ა-ბ-ფ-ჩგ-გა „თავსატები“ (ა-ბგ „თავი“, ა-ფ-ჩგ-გა „სატები, სამტკრევი იარალი“)

D¹D³C¹: ა-ნგ-ჭ-ბ-ჩა „მენაგე“ (ა-ნგ შ „ნაგი“, ა-ბ-ჩა „მწყემსი; მცველი“)
ა-ყგ-ბ-ბ-ჩა „მებატე“ (ა-ყგ ბ „ბატი“, ა-ბ-ჩა „მწყემსი; მცველი“)

D¹B¹D¹: ა-ყგ-ბ-ბჟ „ყიყინი“ (ბატებისა) (ა-ყგ ბ „ბატი“, ა-ბჟ „ბმა“)

D¹B²B¹: ა-ყგ-ბ-კოტ-ალ „ბატის კვერცხი“ (ა-ყგ ბ „ბატი“, ა-კოტ-ალ „კვერცხი“)

ბოლო სამი სიტყვა კომპოზიტია და მათი პირველი შემადგენელი ნაწილი არის თურქულიდან ნასესხები ა-ყზ „ბატი“.

შედარებით უფრო მეტია რაოდენობა ისეთი სამწევრა თანხმოვანთკომპლექსებისა, რომელთა პირველი წევრიც ლაბიალიზებული სპირანტია, მის მოძღვნოდ კი D^1 , D^2 , D^3 , B^1 , B^2 , C^1 , C^3 თანხმოვნები სხვადასხვა კომბინაციებითაა რეალიზებული. განვიხილოთ თანმიმდევრობით.

$D^2D^1D^2$: ა-უა-გ-ბ-ჟა „უხეში, უკმეხი“ (ა-უა-გ „ადამიანი“, ა-ბ-ჟა „თავაწყვეტილი“)

$D^2D^4B^1$: უა-ჟ-შ-თა „აწ, ამიერიდან“ (არსებობს ამოსავალი უა-ჟ-გ-შ-თა ვარიანტიც, რომელშიც სამის ნაცვლად ორი თანხმოვნის შემცველი კომპლექსია).

ამ მაგალითში პირველ კომპონენტად ხოდა ულაბიალიზებული სპირანტები გვხვდება, ხოლო მათ მომდევნოდ კი შთ კომპლექსი, რომელსაც აკად.ქ. ლომთათიძე „მტკიცე“ კომპლექსს უწოდებს (ლომთათიძე 1976, 244).

$D^2D^1C^1$: ა-ბ-შგჯ-ზ-ცარა „აზრი, ფიქრი; მოსაზრება“

$D^2D^3C^1$: ა-გ-ძ-შ-ბ-ბა „დარაჯი“ (ა-გ-ძ-შ „ჭიშკარი“, ა-ბ-ბა „მწყემსი; მცველი“)
ა-ჟ-ბ-ბა „ძროხების მწყემსი“ (ა-ჟ „ძროხა“, ა-ბ-ბა „მწყემსი; მცველი“)

$D^2B^1C^3$: ა-შ-თ-ჭა-პ-ა-რა „თაიგული“ (ა-შ-თ „ყვავილი“, ა-ჭა-პ-ა-რა „შეკვრა“)

$D^2D^3C^1$: ა-შ-ბ-ბა „მეკარე“ (ზედმიწა: ქარის მცველი)

სამი მაგალითი გვაქვს, რომლებშიც სამწევრა კომპლექსის პირველი კომპონენტი პალატალიზებული სპირანტია;

$D^3B^1D^1$: ა-ბ-ფშა „ზარდახშა“ (ფუძის აგებულება ბუნდოვანია)

$D^3C^1B^1$: ა-ბ-ჩფაფგრ „პეპელა“ (ფუძის აგებულება ბუნდოვანია)

$D^3D^1B^2$: ა-ლაბ-შ-გ-ა-გ-ა „ბედნიერი“ (ზედმიწა: თეთრი შუბლი)

სამივე კომპლექსში ხ' სპირანგია რეალიზებული, არა გვაქვს და-ს გამოყენების შემთხვევები, მომდევნო კომპლექსებს კი ფშ და ჩვ თანმიმდევრობა წარმოადგენს, ორივე მათგანი აფხაზურ-აბაზურში ბუნებრივი კომპლექსებია (ლომთათიძე 1976, 243).

ჩვენ მიერ შესწავლიდ მასალაში მხოლოდ ერთი მაგალითი გამოიყო, რომელშიაც სამწევრა კომპლექსის პირველი კომპონენტი ინტენსიური შა სპირანგია; $D^4D^1B^2$: ა-ნებაშ „კოდოების გუნდი“ (ფუძის აგებულება ბუნდოვანია).

უმეტეს შემთხვევაში, სახელების სამწევრა კომპლექსებში თანხმოვანთა სხვადასხვაგვარი დისტრიბუცია მხოლოდ თითო მაგალითით შემოიფარგლება. მაგრამ ეს თითო მაგალითი სრულიად საკმარისია იმის დასადგენად, რომ აფხაზურისთვის ამგვარი დისტრიბუცია თანხმოვნებისა დასაშვებია და ენა არ იყენებს გ ხმოვანს მათ გასათიშად.

ცალკე ჯგუფს ქმნიან ისეთი თანხმოვანთკომპლექსები, რომელთა პირველი წევრი სადა ხშული თანხმოვანია (B^1), მომდევნო ორი კი B^1 , B^2 , B^3 , D^2 , D^4 , C^1 , C^2 ჯგუფების თანხმოვნები. მაგ.:

$B^1B^1D^1$ ა-საათ-ბჟა-კ „ნახევარი საათი“ (კომპოზიტია, შედგება ორი სიტყვისაგან: ა-საათ „საათი“, ა-ბჟა „ნახევარი“, -კ – განუსაზღვრელობის გამომხატველი სუფიქსი) (აფხაზურში გავრცელებულია განუსაზღვრელობის გამოხატვის ისეთი ხერხი, როცა ა-პრეფიქსის გარეშე წარმოდგენილ ფუძეს დაერთვის „ერთი“ რიცხვითი სახელის აკვ ფუძისგან მომდინარე -კ სუფიქსი (გვანცელაძე 2003, 41).

ა-მაათ-ფსა	„მანეთის ღირებულებისა“ (ა-მაათ „მანეთი“, ა-ფსა „ფასი“)
ა-ჭავ-თ-ბჟ	„ბმა“ (ზედმიწა: ძახილის ბმა)
ა-თა-ფხე-ჭ-რა	„პასუხისმგებლობა“
ა-ფსებ-გა	„ცოცხი“
ა-ფს-ხე-ბ-რა	„სულის ამოხდა“
ა-ლა-ფშა-ხე-რ-ფა-გა	„ჯადოსნური საგანი (ზედმიწა: მზერის ამცილებელი)
ა-გო-ფს-შა	„ჩუმი, წყნარი“

ამ ოთხ მაგალითში რეალიზებულია ფსს, ფსხ, ფშახ და ფსშ კომპლექსები, ანუ ბაგისმიერ თავკიდურიანები. სადა სპირანტებიდან გვხვდება ს, ჲ და ჸ თანხმოვნები.

გამოიყოფა რამდენიმე მაგალითი, რომლებშიც ლაბიალიზებული სპირანტის წინა პოზიციაში B^1D^1 ჯგუფის თანხმოვანი გვხვდება. მაგ.:

$B^1D^1D^2:$	ა-ფსპგს-თ-რა	„სირსველი“ (ფუძის მთავარი კომპონენტის რაობა ბუნდოვანია)
	ფშ-პგ-პ	„ოთხი“ (ადამიანი, კლასის ნიშანი – პგ, ნივთის კატეგორიის ფორმა იქნება ფშ-ბა);
	ა-ლაფშპაბა	„პორიზონტი“ (ზედმიწა: მზერის საზღვარი, თვალ-საწილი)

ამ ჯგუფის კომპლექსთა პირველ წევრად ბაგისმიერი თანხმოვნები გვხვდება, კერძოდ, ჸ და ბ, სადა სპირანტებიდან ს, ჲ, ჸ, ხოლო ლაბიალიზებულ სპირანტთაგან კი – ჸ, ჲ, შ თანხმოვნები.

$B^1D^2D^2:$	ა-თშუშაბა	„მუქი“
$B^1D^1D^3:$	შგ-ბჟ-ხ-პ	„სადილი“

შედარებით მეტია რაოდენობა ისეთი თანხმოვანთკომპლექსებისა, რომელთა პირველი და მესამე წევრი სადა ხშული თანხმოვანია, ხოლო მეორე კი – სადა სპირანტი. მაგ.:

$B^1D^1B^1:$	ა-ხა-ფშ-გა-რა	„თვითშემოქმედება“
	ა-ნა-პ-ხ-გ-რა	„ხელმძღვანელობა“
	ზ-ევ-ფშ-ეა-მ-ლ-ც	„უჩვეულო“ (ზედმიწა: რისი მსგავსიც ჯერ არ ყოფილა)
	ა-ფხოვ	„მუნი, ქეცი“ (ფუძის აგებულება ბუნდოვანია)
	ა-ჩაგ-ფხო	„მუნიანი, ქეციანი ცხენი“ (ა-ჩაგ „ცხენი“, ა-ფხო „მუნი, ქეცი“)

ა-გ°გ-ფხთ	„ფეოქებადი, ფიცხი“ (ზედმიწა: ქეციანი გული)
ა-ფსთა	„ტყვია“
ა-ფს-თა	„ხეობა“
ა-ფს-თა-ბ	„აზოტი“ (ნეოლიტის მინა. ზედმიწა: რასაც სული არ უდგას)
ა-ფს-თა-ცა-გა	„სასიცოცხლო“
ა-ფს-თგ-რ	„მრავალრიცხოვანი ჯარი“ (ზედმიწა: ხეობის ჯარი)
ა-ფსყე	„საჭე“
ფშ-ბა	„ოთხი“ (ნივთის კლასისა)
ა-ფშ-გა-რა	„ინიციატივა“
აფშ-პაქ	„თიხის გამოსაწვავი დუმელი, სამეთუნეო დუმელი“
ა-დიფსთა	„თამბაქოს ფოთლები“
ა-გ°გ-ფშქა	„გულჩვილი, ლმობიერი“ (ზედმიწა: ჩვილი გული)

როგორც ვხედავთ, ამ ჯგუფის თანხმოვანთკომპლექსები სხვა ჯგუფებთან შედარებით უფრო მეტად არიან რეალიზებული. ამასთან, ერთგვარ „მყარ“ კომბინაციებს ქმნიან შემდეგი ჯგუფები: ფხთ, ფსთ, ყველა კომპლექსის პირველ კომპონენტს ბაგისმიერი ფ ფონემა წარმოადგენს, მხოლოდ ერთი შემთხვევა გვაქვს პ-ს არსებობისა სიტყვაში – ანაპეგარა, იგი ანაპე „ხელი“ ფუძის ბოლო-კიდური თანმხმოვანია. მესამე წევრად სადა ხშულთაგან ამ ჯგუფის კომპლექსებში შემდეგი თანხმოვნებია რეალიზებული: გ, ყ, თ, ბ, ჰ, თანხმოვნები ჸ და ჟ მხოლოდ თითო მაგალითში გვხვდება.

ამგვარ კომპლექსებში მესამე წევრად ლაბიალიზებული ხშულის დისტრიბუციის რამდენიმე მაგალითი გვაქვს:

B¹D¹B²:

ა-ფს-გ°პ-შა-რა	„მწუხარება, ურვა, სიმწარე“;
ა-ფს-ტ°გ	„ცხოველი“ (ძუძუმწოვარი)

შესაძლო კომბინაციიდან შემდეგი ვარიანტები გვხვდება: ფსგ°, ფსტ°; აქაც თავკიდურად ფ ფონემა გვევლინება.

ცალკე გამოიყოფა ისეთი შემთხვევები, როცა სადა და ლაბიალიზებულ ხშულ თანხმოვნებს შორის ინტენსიური სპირანტია რეალიზებული. მაგ., $B^1D^4B^2$:

ა-ფშ-ტ°გ	ა-ფშ-შ°გ	„ფერი“ (ზედმიწ.: ხედვისა); აქედან კომპოზიტები:
ა-კაპტა-ფშ-ტ°გ		„ყავისფერი“ (ა-კაპტა „ყავა“, ა-ფშ-ტ°გ „ფერი“)
ა-ხ°ა-ფშ-ტ°გ-ლა		„ნაცრისფერი“ (ა-ხ°ა „ნაცარი“)
ა-ხ°ა-ფშ-ტ°გ-ლა		„წაბლისფერი“ (ა-ხ°ა „წაბლი“)
(ა-)ნასგფ-შა-ქ°აქ°ა		„ბედნიერი“ (ზედმიწ.: თეთრი ბედი)

რეალურად მხოლოდ ორი კომპლექსი გვაქვს: ფშტ° და ფშქ°. ფშ კომბინაციას აკად. ქ. ლომთათიძე „პირვანდელ“ კომპლექსებს უწოდებს. თვითონ სიტყვა აფშტ°გ-ში „ფერი“ შემავალი კომპლექსი მეორეულია, შდრ. ა-ფშ-რა „ცქერა“ + დანიშნულების სახელთა მაწარმოებელი -ტ°(გ) სუფიქსი.

აფხაზურში სახელების ამ კუთხით შესწავლისას გამოიყოფა შემდეგი ქვეჯ-გუფები:

$B^1D^4D^2$:	ა-ფშ-ჟგ	„მკითხავი“ (ზედმიწ.: მაცქერალი, მმზირალი;
	-ჟგ	მოქმედის აღმნიშ. სუფიქსია)
$B^1C^1B^1$:	მშ-აფ-ჩ-გა-რა	„დიდმარხვა“ (ზედმიწ.: აღდგომის მარხვა)
$B^1C^2B^2$:	ა-ნასგფ-ც°გ°ა ა-ნასგფ-და	„ბედნიერი“ (ზედმიწ.: ცუდი ბედი უბედო)
		„დიდმარხვა“ (ზედმიწ.: აღდგომის მარხვა)
$B^1D^1C^2$:	ა-ფს-ც°ა-ჰა	„სიკვდილის ღვთაება“ (ზედმიწ.: მკვდართა ბატონი)
	ა-უაფსწ°გ	„პეშვი, მუჭა“ (ფუძის აგებულება ბუნდოვანია)
$B^1D^1C^3$:	ა-ფს-ჭგ-ჩ-გა	„მხსნელი“
$B^1D^4C^1$:	ა-ფშ-ძა	„ლამაზი“
	ა-ფშ-ძა-რა	„სილამაზე“

ა-ფშ-ძა	„კვერნა“ (ტაბუირებული სახელია, მოდის აფშაბა
	„ლამაზი“ სიტყვისაგან)
B ¹ D ¹ C ¹ : ა-ფხ-ძგ	„ოფლი“
ა-ფხ-ძა-შა	„მძიმე სამუშაო (ზედმიწა: „მლაშე, მწარე ოფლი“)

განხილული მასალის მიხედვით აფხაზურში აღნიშნული ტიპის შემდეგი სამწევრა კომპლექსები ვლინდება: ფშაბ, ფჩბ, ფცებ, ფსცი, პსწი, ფსჭა, ფშბ, ფხბ. ეველა შემთხვევაში თავკიდურად კვლავ ფ ფონემა გვაქვს.

ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ უსონორო სამწევრა თანხმოვანთკომპლექსებში ბაგისმიერ თანხმოვანთაგან თავკიდურ პოზიციაში ოდენ ფ თანხმოვანი დასტურდება.

რაც შეეხება თავკიდურად ლაბიალიზებული ხშული თანხმოვნის არსებობას, ამგვარი კომპლექსები საერთოდ არ გამოვლინდა. არ დასტურდება აგრეთვე თავკიდურ პოზიციაში პალატალიზებული ხშული თანხმოვნის არსებობის არც ერთი მაგალითი.

საერთოდ, აფხაზურში კომპლექსთა პირველ წევრად პალატალიზებულ ხშულთა და სპირანტთა, ასევე ინტენსიურ სპირანტთა და აფრიკატთა რეალიზების შემთხვევები ძალზე მცირეა.

სამწევრა კომპლექსთა პირველ წევრად სადა და ლაბიალიზებული აფრიკატებიც გვხვდება. მაგ:

C ¹ C ¹ D ² : ა-კგც-ძ-ჯ	„მექოთნე, მეკეცე, მეჭურჭლე“ (ა-კგც-ძ-რა „მექოთნეობა“, -ჯ – მოქმედის აღმნიშ. სუფიქსია);
C ¹ B ¹ D ¹ : ა-ც-ფსგ-კ-რა	„ერთსულოვნება“
C ² D ¹ D ² : ა-ც°-შ-ხ°ა	„კავი (მარხილისა)“ (ზედმიწა: ხარის ქუსლი)
C ² D ¹ B ² : ა-ც°-შ-ტ°ა	„შესაწირავი ხარი“
C ² B ¹ D ⁴ : ა-ც°-კ-შა	„მარქენალი ხარი“

როგორც ვხედავთ, გამოიყოფა შემდეგი თანხმოვანთკომპლექსები: ცძბ, ცფს, ც°შხ°, ც°შტ°, ც°კშა. როგორც სადა, ასევე ლაბიალიზებულ აფრიკატთაგან ამ ტიპის კომპლექსების პირველ კომონენტად ც და ც° თანხმოვნები გვხვდება. აკად. ქ. ლომთათიძის „პირველადი“ ანუ „მტკიცე“ კომპლექსების ცხრილის მი-

ხედვით ცვ სწორედ ამგვარი კომპლექსია, ანუ ენისთვის უფრო ბუნებრივი და მისაღები. საერთოდ, ყოველ ენაში ორწევრა კომპლექსები უფრო სრულად ავლენენ თანხმოვანთა ურთიერთმეზობლობის შესაძლებლობებს და მათ საფუძველზე შესაძლებელი ხდება უფრო გრძელი მიმდევრობის აგება (ტრუბეციო 1961, 282). ამ პრინციპს ემყარება კომპლექსთა დაყოვა „პირვანდელ“ და „მეორეულ“ კომპლექსებად. ეს თეორია ამყარებს მოსაზრებას იმის შესახებ, რომ მეტწევრიანი კომპლექსები აფხაზურში მეორეულია და მათი აბსოლუტური უმრავლესობა მორფემათა ზღვარზე გვხვდება. კომპოზიტებსა და სადერივაციო აფიქსებით ნაწარმოებ სიტყვებში კომპლექსთა მეორეული წარმომავლობა თვალსაჩინოა, მაგრამ რიგ შემთხვევებში ამის გარკვევა ჭირს. ამიტომ შეიძლებოდა გვეფიქრა, რომ ისინი აღარ ექვემდებარებიან ძირ-სუფიქსთა CV ტიპის ნორმებს და სხვაგვარი წარმომავლობა აქვთო, მაგრამ ეს უნდა აიხსნებოდეს იმ ფაქტით, რომ აღნიშნული ტიპის კომპლექსები (როგორც ორწევრა CC, ასევე სამწევრა CCC) აფხაზურაბაზურში მეტად ბუნებრივი და ადვილად შესაგუებელი გამოდგა, ამიტომაც მათი ამოსავალი ხმოვნიანი ვარიანტები ენას აღარ შემორჩა კომპლექსის ბუნებრივობის გამო (ლომთათიძე 1976, 245).

ზემოთ განვიხილეთ სამწევრა თანხმოვანთკომპლექსები სახელებში, რაც შეეხება ზმნებს, აქ გამოვყავით და ცალ-ცალკე დაგაჯგუფეთ ისეთი სამწევრა თანხმოვანთკომპლექსები, რომლებშიც შემავალი სამი თანხმოვნიდან ორი ერთი და იმავე ჯგუფის (ჰომორგანული) თანხმოვანია. განვიხილოთ თანმიმდევრობით. მაგ:

B ¹ D ¹ D ¹ :	ა-ფს-შა-რა	„დასვენება“
	ა-ც-რგ-ფსსა-რა	„დაშვება, ჩამოკიდება, ჩამოწევა“
	ა-ხ-აფსსა-რა	„დარბილება“
	ა-გ-გ-დ-ზა-ლა-რა	„მივარდნა“, „ცემა“
	ა-დ-ხ-ხგ-ლა-რა	„მირბენა“
	ა-ც-გ-ფსსა-რა	„თლა, გათლა“

ამ ჯგუფში შემდეგი თანხმოვანთკომპლექსები გამოიკვეთა: ფსს, ფსშ, დზზ, დხხ. სადა ხშულ თანხმოვანთაგან პირველ წევრად ფ და დ ფონემებია რეალიზებული, სადა სპირანტოაგან კი ს, შ, ზ და ხ, ამასთან ს, ზ და ხ გაორმაგებული სახით გვევლინება.

B ¹ D ² D ² :	ა-დ-ღ-ღ-ა-ლა-რა	„მიკვრა, ჩახუტება, ჩაკონება“
	ა-თ-ხ-ხ-ა-რა	„გამოჩენა“
	ა-გ-გ-დ-ც-ც-ა-ლა-რა	„გადასხმა“
	ა-დ-შ-შ-ა-ლა-რა	„რაიმესთვის მსუბუქად სულის შებერვა“
	ა-გ-გ-დ-პ-პ-ა-ლა-რა	„მოხვევა“
	ა-დ-შ-შ-ა-რა	„ჩამოყრა, დაბნევა, დაფანტვა“

როგორც მაგალითებიდან ჩანს, რეალიზებულია შემდეგი თანხმოვანთკომპლექსები: დღილი, დშაში, დპაპი, დცცი, თხის. პირველ წევრად სადა ხშულთაგან მხოლოდ და თ თანხმოვნები გვხვდება, ამასთან, თ მხოლოდ ერთ მაგალითში – ათხისარა. ლაბიალიზებულ სპირანტთაგან კი რედუპლიცირებული სახით – დი, ში, ხი და პი თანხმოვნები.

აქვე, ორი შემთხვევა გვაქვს, როცა გაორმაგებულ ლაბიალიზებულ სპირანტებს თავში ასევე ლაბიალიზებული ხშული მოუდის:

B ² D ² D ² :	ა-ქ-ჟ-ჟ-ა-რა	„ვინმესთვის შეყვირება“
	ა-ქ-შ-შ-ა-რა	„დენა, ჩამოდენა“

ორივე მაგალითში პირველ კომპონენტს ლაბიალიზებული ქვერმოადგენს, რომელიც ფუძე-წინდებულია (ქვე „ზედ, ზევით, ზემო“). მას შენარჩუნებული აქვს გარკვეული კონკრეტული შინაარსი და ამავე დროს ადგილ-მიმართულების გამოხატვაც ეკისრება. ეს ფუძე-წინდებული (ასევე სხვებიც) აფხაზურში მეტი კონკრეტულობის გამოსახატავად გამოიყენება (ლომთათიძე 1953, 85). საყურადღებოა, რომ არსებობს ორივე სიტყვის ა-ქვე-პაპ-ა-რა და ა-ქ-გ-შ-შ-ა-რა ვარიანტებიც, რომლებშიც დაცულია ორი თანხმოვნის წესი.

შემდეგი ჯგუფი სადა ხშულისა და ინტენსიური სპირანტის გაორმაგებით არის მიღებული. მაგ:

B ¹ D ⁴ D ⁴ :	ა-ფშშა-რა	„გამოშრობა“
	ა-ხ-თგ-ფშშა	„დაბნეული“

ორივე კომპლექსში გაორმაგებული შა სპირანტი გვევლინება, მის წინა პოზიციაში სადა ხშულთაგან ფ თანხმოვანია რეალიზებული.

ცალკე გამოიყო ისეთი სამწევრა კომპლექსები, რომელთა პირველი ორი წევრი სადა ხშული თანხმოვანია, მესამე კი სადა სპირანტი. მაგ.:

$B^1B^1D^1:$	ა-დ-ფშგ-ლა-რა	„რაღაცაზე შეხედვა“
	ა-გ°გ-დ-ფსა-ლა-რა	„მოყრა“
	ა-გ°გ-დ-ქშა-ლა-რა	„დაგდება“
	ა-ნა-დ-ქშა-ლა-რა	„შეხება“

ამ ტიპის კომპლექსებში პირველ კომპონენტად სადა ხშულთაგან გვხვდება ოდენ დ ფონემა, მის მეზობლად – ასევე ხშული ფ, ქ, კ თანხმოვნები, ხოლო მესამე წევრად კი – ჟ და ს სადა სპირანტები, მათგან ს მხოლოდ ერთ კომპლექსში გვხვდება – აგ°გ-დფსალარა.

სამწევრა კომპლექსებში პირველ წევრად სადა, ლაბიალიზებული და პალატოლიზებული სპირანტებიც გვხვდება. მის მეზობლობაში კი ორი ერთი და იმავე ჯგუფის თანხმოვანი. განვიხილოთ თანმიმდევრობით. მაგ.:

$D^1D^2D^2:$	ა-ხ-ჭიჭა-რა	„ზევიდან აღება“
$D^2B^1B^1:$	ა-ჭით-თი-რა	„ყვავილების გაყიდვა“
$D^3D^1D^1:$	ა-ხ-ს-ს-რა	„დაშვება, ჩამოკიდება, ჩამოწევა“ (ფუძის აგებულება ბუნდოვანია)
$D^3B^2B^2:$	ა-ხ-კიკა-რა	„ჩამოდენა“ (ფუძის აგებულება ბუნდოვანია)

ამ ტიპის თანხმოვანთკომპლექსებში პირველ კომპონენტად სადა, ლაბიალიზებული და ინტენსიური აფრიკატებიც გვხვდება. მაგ.:

$C^1B^2B^2:$	ა-წ-გ°გ°ა-რა	„ძლივ-ძლივობით წამოდგომა“
$C^1D^2D^2:$	ა-წ-ჭიჭა-რა	„გამოხვეტა, გამოწმენდა“
$C^1D^1D^1:$	ა-ხიგ-წ-შშ-აა-რა	„მოხვეტა, მონიჩბვა“
$C^3D^2D^2:$	ა-ჭ-ჭიჭა-რა	„აშვერა, ამოშვერა“
$C^3B^1B^1:$	ა-ჩ-ფ-ყა-რა	„თავის დაჭრა, საკუთარი თავისთვის ზიანის მიყენება“

როდესაც აფხაზური ენის ზმნაში შემავალ სამწევრა (უსონორო) თანხმოვანთკომპლექსებზე ვსაუბრობთ, აუცილებლად უნდა გავითვალისწინოთ აკად.ქ. ლომთათიძის ნაშრომი „როულფუძიან ზმნათა აგებულება აფხაზურში“. ამ ნაშრომში ჩვენთვის არსებითი შემდეგი დასკვნებია წარმოდგენილი:

აფხაზურ ენაში არსებობს ადგილ-მიმართულების გამომხატველი წინდებულები, რომლებსაც შენარჩუნებული აქვთ გარკვეული კონკრეტული შინაარსი, სტატიკურ ზმნებში ისინი ფუძის როლში გვევლინებიან, დინამიკურში კი წინდებულებს უახლოვდებიან და აშკარაა მათი (ზმნების) კომპოზიტური აგებულება.

აფხაზურში ამგვარი ფუძე-წინდებულების არსებობა გამოწვეულია მეტი კონკრეტულობის გამოხატვის აუცილებლობით, ამიტომ რიგ შემთხვევებში ზმნის ფუძე სათანადო სახელებსაც შეიცავს. ზოგჯერ ეს სახელები დღესაც არსებობს ენაში მისი ძირითადი მნიშვნელობით, ზოგჯერ კი საგნობრივი მნიშვნელობა დაწრდილულია (ლომთათიძე 1953, 85).

ჩვენ მიერ განხილულ მაგალითებში ნათლად ჩანს ამგვარი ფუძე-წინდებულებით „გართულებული“ ზმნური ძირები. აქედან, შეიძლება შემდეგი დასკვნის გამოტანა: მასდარებში არსებული სამწევრა კომპლექსები მეორეულია, კომპლექსის თავკიდური წევრი ფუძე-წინდებულების თანხმოვნურ ელემენტს წარმოადგენს და მათი ფუნქცია მოქმედების ადგილისა და მიმართულების კონკრეტიზაციაა.

§ 5. ოთხწევრა და ხუთწევრა თანხმოვანთკომპლექსები აფხაზურში

აფხაზურ ენაში, მიუხედავად ძირთა და აფიქსთა ამოსავალი CV ტიპის არსებობისა, დასტურდება სამზე მეტანხმოვნიანი, კერძოდ, ოთხი და ხუთი თანხმოვნისაგან შემდგარი კომპლექსებიც. მათი რაოდენობა აფხაზურში ას ორმოცამდე ლექსიკურ ერთეულს შეადგენს, მათგან ხუთწევრა მხოლოდ ათია. ამგვარი კომპლექსები (ისევე როგორც სამწევრები) ყველა პოზიციაში მეორეულია და მათი უმრავლესობა შეიცავს სონორს, ზოგჯერ – ორსაც. ეს სონორი უმეტეს შემთხვევაში არის რ, ზოგ მაგალითში როგორც კაუზატივის ნიშანი, ზოგში კი – როგორც მასდარისა და აბსტრაქტულ სახელთა მაწარმოებელი სუფიქსის ნაწილი.

გეხვდება აგრეთვე მ, ნ და ლ სონორების შემცველი კომპლექსებიც. მაგალითების სიმრავლის გამო აქ მხოლოდ ტიპური ნიმუშების წარმოდგენით შემოვიყარგლებით.

ა) აფხაზურში დასტურდება ისეთი ოთხწევრა თანხმოვანთკომპლექსები, რომლებშიც სონორი საერთოდ არ შედის. მაგ.:

ბტფჰ: ა-ბტ-ფჰ	, „სიმყრალე“
ჭფჸქ: ა-ბგა-ხ-ჯ-ფ-ჭქა	, „პატარა მელა“ (ზედმიწა: ჩვილი მელა)
ძფჸშ: ა-ძ-ფ-შ-შ-ლა	, „წყლისფერი“
ფშხებ: ა-ლა-ფ-შ-ხბა	, „ჩვენება“
ფშცოგ: ა-ლა-ფ-შ-ც-ოგა	, „ავი თვალი“
ფშშეყ: ა-ლა-ფ-შ-შ-ეყგ	, „ავგაროზი ავი თვალისგან დასაცავად“
ხჩაბ-ჩ: ა-მა-ხჩა-ბ-ჩა	, „აქლემის მწყემსი“
ფშგო: ა-ნგ-შ-აფ-შ-გ-ოაკ-ო	, „ოეთრი თიხა“
ფსობ: ა-ფ-ს-ობა-რა	, „უეცარი სიკვდილი“
ფშხებ: ზ-ევ-ფ-შ-ხ-პ-უ-თახ-უ ზ-ევ-ფ-შ-უ-თახ-უ „ნებისმიერი“	(ზედმიწა: როგორიც გინდა)
ფსოპ: ა-ფ-ს-ო-პ-ო	1. „დრუბელი“; 2. „ბურუსი“

როგორც ვხედავთ, მოყვანილი მაგალითების აბსოლუტურ უმრავლესობაში ოთხწევრა კომპლექსების პირველ ან მეორე წევრად ბაგისმიერი თანხმოვანია რეალიზებული, ერთ შემთხვევაში ეს არის ბ, ხოლო დანარჩენ შემთხვევაში – ც თანხმოვანი, უფრო მეტიც, იგი ე. წ. „პირველადი“, ანუ „მტკიცე“ ფშ, ფშა, ფს კომპლექსების სახით არის წარმოდგენილი (ლომთათიძე 1976, 242). მნიშვნელოვანია ისიც, რომ ყველა კომპლექსი მორფემათა ზღვარზეა წარმოდგენილი.

აფხაზურში მცირე ჯგუფს შეადგენენ უსონორო ხუთწევრა თანხმოვანთკომპლექსები. მაგ.:

ა-ფპ-ფ-შ-ტ-ლა	, „ჩალისფერი, დია ყვითელი ფერი“
ა-ხ-ო-ფ-შ-შა	, „სულელი, დაბნეული“

ბ) ოთხწევრა კომპლექსებს (ისევე როგორც სამწევრებს) რედუქლიცირებული ძირებიც ქმნიან. მაგ.:

რპყქ:	ა-ძ-ქ-ა-ქ-შ-გ-რ-პ-ყ-ყ-ა-რ-ა	„ხანმოკლე თავსხმა წვიმა“
მფფრ:	ა-ღ-მ-ფფ-რ-ა	„წვრილ ნაწილებად დაშლა, დაპობა (იტყვიან შეშაზე)“
ლპპრ:	ა-გ-ღ-ლ-პ-პ-რ-ა	„გადმოყრა“
რფშშ:	ა-უ-რ-ფ-შ-შ-ა	„ოდნავ შებოლილი ხორცი“
ლქქრ:	ა-ლ-ქ-ქ-რ-ა	„ქონგა“
წფსს:	ა-ლ-უ-წ-ფ-ს-ს-ა	„ფქვილი, რომელიც გროვდება დოლაბის ირგვლივ“
მშშშ:	ა-მ-შ-ო-შ-შ-ა	„დათვის ქონი“

ზემოთ წარმოდგენილი თითოეული სიტყვა რთული აგებულებისაა, სირთულეს ქმნის გემინირებული თანხმოვნები და მორფოლოგიური მარკერები, ასევე კომპოზიტები. მაგ.: ამშშშა „დათვის ქონი“ ორი სიტყვისაგან შედგება: ა-მშ „დათვი“, ა-შშა „ქონი“.

გემინირებული თანხმოვანი გვხვდება არა მხოლოდ ოთხ, არამედ ხუთწევრა კომპლექსშიც. მაგ.:

ა-მ-ფ-ჩჩ-რ-ა „მოსხლეტა“ (შდრ. ა-მ-ფ-ჩ-რ-ა)

გ) დასტურდება ისეთი ოთხწევრა თანხმოვანთკლექსები, რომლებშიც თითო სონორი გვხვდება. მაგ.:

ხ-თშრ:	ა-რგ-ხ-თ-შ-რ-ა	„ციება“
ზფშშრ:	ა-ღ-ზ-ფშ-რ-ა	„ერთმანეთის მოცდა, დალოდება“
ჟიტირ:	ა-რგ-ჟ-ტ-ტ-ჟ-რ-ა	„სპირტიანი სასმელის სმა“ (ა-რგ-ჟ-ტ- „სპირტიანი სასმელი“ (ზედმიწ.: დასალევინებელი), ა-ჟ-რ-ა „დალევა“)
შთფრ:	ა-ნგ-შ-თ-ფრ-აა-რ-ა	„სწრაფად აფრენა“
ბშთრ:	ა-ბ-შ-თ-რ-ა	„მამის ნათესაობა“ (ზედმიწ.: „მამის კვალი“)
ბრსკ:	ა-ბრსკ-გლ	„აბრსკილი“ (აფხაზური ეპოსის გმირი. ფუძის აგებულება სარგევია)
რფბქ:	ა-გ-ა-რფ-ბქ-რ	„უსახლკარო“

პირველ ოთხ მაგალითში და მასდარის მაწარმოებელი - რა სუფიქსის თანხმოვნური ელემენტია, აბშორა-ში – კრებითობის მაწარმოებელი სუფიქსი, აბრსკ-ტლ-ს შემთხვევაში – ფუძეში შემავალი თანხმოვანი.

ბ სონორის შემცველი ოთხწევრა კომპლექსები. მაგ.:

ტმჟხ:	ა-დაუ-მჟ-ხა ა-დაუ-მგჟ-ხა	„შვიდთავა გოლიათი“ (შდრ.: ა-დაუგ „დევი“, ბ(გ)ჟ-ბა „შვიდი“, *ა-ხა → ა-ხ „თავი“)
მჩვწ:	ა-ყამჩ-ფ-წა-წა	„მათრახის ენა“
მსოხ:	ა-მსო-ხია-გა ← ა-ბგსთა-ხია-გა	„დომის მოსარევი და ამოსაგები ჩოგანი“
მწოდ:	ა-მწ-ფიპ	„არასასიამოვნო სუნი“
მჭვე:	ა-მჭ-ფ-ყა-რა	„შეშის ჭრა“
მშხო:	ა-მშ-ხ-თგ-ს	„დღის მოვლენა“

აფხაზურში გვხვდება ა-მშ „დღე“ ფუძისაგან ნაწარმოები, ოთხწევრა კომპლექსების შემცველი რამდენიმე სიტყვა. მათ გვერდით არსებობს ერთი სხვა კომპოზიტიც, რომელიც ოთხწევრა და მ თავკიდურიან კომპლექსს შეიცავს. მაგ.:

მშცოგ:	ა-მშ-ციგ-ა	1. „ცუდი დღე“; 2. „ავდარი“
მშწოც:	ა-მშ-წიც-ა	„ნათელი დღე“
მშწოშ:	ა-მშ-წი-შე	„მოდრუბლული ამინდი“
მშხიდ:	ა-მშ-ხიდგ-შა	„დათვის ჯიში“ (ზედმიწ.: თეთრკისერა დათვი)

დადასტურდა ერთადერთი ხუთწევრა კომპლექსი, რომელსაც თავკიდურად **ბ** სონორი მოუდის:

ა-მშ-ფშ-ტიგ-ლა „რუხი“ (ზედმიწ.: დათვისფერი)

ც სონორის შემცველი ოთხწევრა კომპლექსები; მაგ.:

ლფშა: ა-გ°ილ-ფშ-შ°გ „გარდისფერი“ (ა-გ°ილ „გარდი“ ფუძე ნასესხებია თურქულიდან)

ფშელ: ა-ზ-ევ-ფშ-ელა-რ-ტ „საერთო სახალხო“ (ა-ზ-ევ-ფშ „საერთო“, ა-ელა-რ „ხალხი“)

არსებობს 5 სონორის შემცველი ოთხწევრა კომპლექსების შემცველი ოროდე სიტყვა:

ფშანხ: ა-ზ-ევ-ფშ-ნ-ხა-რ-თა „საერთო საცხოვრებელი“ (ა-ზ-ევ-ფშ „საერთო“ ა-ნ-ხა-რ-თა „საცხოვრებელი ადგილი“)

ნოფს: ა-ნ-თ-ფს-აა-რა „ძალიან შეშინება“

დ) ჩვენ მიერ მოპოვებულ მასალაში ცალკე ჯგუფს ქმნიან ისეთი ოთხწევრა თანხმოვანთკომპლექსები, რომელთა შემადგენლობაშიც ორი სონორი თანხმოვანი შედის. მაგ:

რფშრ: ა-რ-ფშ-რა „გამომჟღავნება, ჩვენება“, „გამოხატულება“

რფსრ: ა-ბა-რ-ფს-რა „ერთმანეთის მოკვლა“

რფშრ: ა-ჭ-რ-ფშ-რა „შედარება“

რშათრ: ა-გ°-ხა-რ-შათ-რა „გართობა“

რმჩრ: ა-რ-მჩ-რა „გამკაცრება, გაუარესება“

ACCA ტიპის ამ კომპლექსებში რ სონორი თავკიდურად და ბოლოკიდურად გვევლინება. ბოლოკიდური რ მასდარის მაწარმოებელი –რა სუფიქსის თანხმოვნური ელემენტია, თავკიდურა კი – კაუზატივის ფორმანტია. რაც შევხება ფშ, ფს, შათ კომპლექსებს, ისინი „პირველადი“ კომპლექსების რიცხვს განეკუთვნებიან (ლომთათიძე 1976, 244).

გამოიყოფა ორი სონორის შემცველი ხუთწევრა თანხმოვანთკომპლექსებიც. მაგ:

ა-ბა-რ-ფხთ-რა „ერთმანეთის დამუნიანება, ერთმანეთისთვის მუნის გადადება“ (აქაც წარმოდგენილია კაუზატივისა და მასდარის მაწარმოებელი რ თანხმოვანი)

ა-ხგ-ლ-წ-შ-თ-რა 1. „ტომი“; 2. „თაობა“; 3. „წარმოშობა“

CACA მიმდევრობა:

- ლრკრ: ა-დამგ-ღ-რ-კ-რა „დაღის დასმა“
შორკრ: ა-ფაშ-ღ-რ-კ-რა „ფესვის გადგმა“

AACC მიმდევრობა:

- ნმჩხ: ა-ზინ-მჩ-ხა-რა „სრული ძალაუფლება“

გამოვლინდა ისეთი ოთხწლევრა თანხმოვანთკომპლექსები, რომელთა შემადგენლობაშიც სამი სონორი თანხმოვანი შედის.

AACA მიმდევრობა:

- ნრკრ: ა-კათრან-რ-კ-რა „გზის მოფისვა“ (ა-კათრან ნასესხებია რუსულიდან. შდრ. გუდრონ „გუდრონი“. ყურადღებას იპყრობს ის ფაქტი, რომ სესხებისას აფხაზურში რუსული ფონემებიდან ყველა შეიცვალა, გარდა 6 თანხმოვნისა)

ACAA მიმდევრობა:

- რკრრ: ა-ლბაა-რ-კრ-რა „დაჯახება“ (რაიმე დიდ საგანზე)
ა-თგ-რ-კრ-რა „გადმოყრა“

ჩვენი ნაშრომის ამ ნაწილში განხილული მასალა ცხადად გვიჩვენებს ერთ არსებით ფაქტს: აფხაზურ ენაში არ დასტურდება არცერთი შემთხვევა სამზე მეტოანხმოვნიანი კომპლექსების რეალიზებისა ერთი მორფემის ფარგლებში, რაც კიდევ ერთი საბუთია იმისა, რომ სრულიად უეჭველია აკად. ქ. ლომთათიძის მიერ მდიდარი ფაქტობრივი მასალის საფუძველზე ნავარაუდევი ძირთა და აფიქსთა ამოსავალი CV მოდელის არამცოუ ისტორიულად, არამედ ამჟამად არსებობა. ეს მოდელი დღესაც ახდენს გავლენას ფუძეთა ფონემატურ სტრუქტურაზე და ხელს უშლის აფხაზურ ენაში თანხმოვანთა დიდი რაოდენობის თავმოყრას როგორც ძირებსა და აფიქსებში, ისე მორფემათა ზღვარზეც კი.

§ 6. ინტერნაციონალიზმების ფონეტიკური ადაპტაციის თავისებურებანი აფხაზურში

ისევე როგორც ყველა ენაში, აფხაზურშიც არის ნასესხები ლექსიკა, მათ შორის მრავლადაა საერთაშორისო ლექსიკური ერთეულები ანუ ინტერნაციონალიზმები. ზოგი ასეთი სიტყვა აფხაზურში ზუსტად ისეთივე ფონემატური სტრუქტურისაა, როგორც ეს გამსესხებელ ენაში გვაქვს, მაგრამ ზოგის ფონეტიკური ადაპტაცია გარკვეულ თავისებურებებს ამჟღავნებს აფხაზურში გამსესხებელი ენის შესაბამისი ფონემისა თუ თანხმოვანთკომპლექსის არარსებობის გამო.

როგორც ცნობილია, აფხაზური ენის დამწერლობამ 1862 წლიდან XX საუკუნის 50-იან წლების მეორე ნახევრამდე არაერთი ცვლილება განიცადა. კერძოდ, 1862 წელს პ. უსლარმა რუსული გრაფიკის საფუძველზე შექმნა დამწერლობა, ხოლო პირველი საანბანო წიგნი, რომელიც ასევე რუსული გრაფიკის საფუძველზე იქმ შედგენილი, 1865 წელს გამოიცა თბილისში. 1926-1938 წლებში გამოიყენებოდა აკად. ნ. მარის მიერ შედგენილი ე. წ. ანალიზური ანბანი ლათინური ანბანის საფუძველზე, შემდეგ ნ. იაკოვლევის მიერ ლათინურ გრაფიკაზევე დაფუძნებული ანბანი, ხოლო 1954 წლიდან მოყოლებული დღემდე კვლავ რუსულ გრაფიკაზე შექმნილი ანბანი გამოიყენება (გვანცელაძე, 2003, 19). ამასთან დაკავშირებით უნდა აღინიშნოს, რომ აფხაზური ენის ფონოლოგიურ სისტემას რუსულზე მეტად ქართული გრაფიკა შეესაბამება. ამის ნათელი მაგალითია ის ფაქტი, რომ ბევრი საერთაშორისო სიტყვა, რომლებიც რუსული ენიდან არის შესული, ისევე გამოითქმის, როგორც ეს ქართულ ენაში გვაქვს, მაგრამ XX საუკუნის 90-იან წლებამდე იწერებოდა ზუსტად ისე, როგორც რუსულად, 90-იანი წლებიდან კი იწერება რეალური აფხაზური გამოთქმის შესაბამისად. ეს შეეხება კთ, კს, კც, ც სიტყვისათვის) არაბუნებრივია და მისი გამოთქმა ჭირს. ეს კომპლექსები სწორედ ამგვარად, რუსულისათვის დამახასიათებელი ფორმითაა წარმოდგენილი 1986-1987 წლებში გამოცემულ პ. შაყრილის, პ. კონჯარიასა და ლ. ჭავაძეს ორტომულ „აფხაზური ენის ლექსიკონში“ (პ. შაყრილი, პ. კონჯარია, 1986; პ. შაყრილი, პ. კონჯარია, ლ. ჭავაძე, 1987). განსხვავებული ვითარება გვაქვს 2005 წელს გამოცემულ პ. კასლანძიას ასევე ორტომულ „აფხაზურ-რუსულ ლექსიკონში“, რომელშიც მკვეთრი კი და თ თანხმოვნები ყრუ ფშვინვიერი კთ ი თანხმოვნებით

არის გადმოცემული. მაგალითად, რუსული კთ კომპლექსის შემცველი სიტყვაბი ასეა ფიქსირებული ამ ლექსიკონებში (პირველად დასახელებული ვარიანტები კ-შავრილის, ვ. კონჯარიასა და ლ. ჭკადუას ლექსიკონიდანაა, მათ შემდეგ კი ვ-კასლანძის წიგნიდან. აღებული მასალა მოგვყავს):

აფხ. აქт || აქტ (შდრ. რუს. აქტ, ქართ. აქტი); აფხ. აктив || აქტივ (შდრ. რუს. აктив, ქართ. აქტივი); აფხ. ანтарქтика || ანтарктика (შდრ. რუს. ანтарктика, ქართ. ანტარქტიკა); აფხ. ანტრაქტ || ანტრაქტ (შდრ. რუს. ანтракт, ქართ. ანტრაქტი); აფხ. აдиალექტ || ადиალექტ (შდრ. რუს. диалект, ქართ. დიალექტი); აფხ. ადидაქტიკა || ადидაქტიკა (შდრ. რუს. дидактика, ქართ. დიდაქტიკა); აფხ. აдиктор || აдиктор (შდრ. რუს. диктор, ქართ. დიქტორი); აფხ. აдирექტორ || ადирექტორ (შდრ. რუს. директор, ქართ. დირექტორი); აფხ. აинтеллექტ || აინტელექტ (შდრ. რუს. интеллект, ქართ. ინტელექტი) და სხვ.

ყველა ეს სიტყვა ინტერნაციონალიზმია და, ბუნებრივია, ისინი ქართულშიც გვაქვს, მაგრამ, როგორც მაგალითებიდან დასტურდება, აფხაზურში ჯერ მკვეთრი კ (კ) იწერებოდა, ახლა კი ქ (ქ) გვაქვს. აკად. ქ. ლომთათიძეს თავის მონოგრაფიაში „აფხაზური და აბაზური ენების ისტორიულ-შედარებითი ანალიზი“ აღნიშნული აქვს, რომ აფხაზურის უკანაენისმიერ ხშულთა სამეული გრ. ბგერობრივად შეესაბამება ქართული ენის შესაბამის სამეულს. უნდა აღინიშნოს ასევე, რომ როგორც კ, ასევე კ ფორმები სიტყვის ძირებში იშვიათად გვხვდება, სამაგიეროდ კ როგორც ერთეულის გამომხატველი და „ჭერა“ ზმნის ძირი ერთვის არა-ერთ ზმნურ ფუძეს და აწარმოებს რთულ ფორმებს. რაც შეეხება თანხმოვანთკომპლექსებში მკვეთრი კ-ს არსებობას, იგი ძირითადად სონორების მეზობლობაში გვხვდება. მაგალითად; აკრა „ჭერა“ (კომპლექსი მეორეული წარმოშობისაა, რადგან რა მასდარის მაწარმოებელია და შესაბამისად თანხმოვანთშეჯრა მორფემათა ზღვარზე გვაქვს) (ლომთათიძე, 1976).

რუსული ენის კც და კც კომპლექსები უცვლელად გადმოიცემოდა აფხაზურ ენაში XX საუკუნის 90-იან წლებამდე, ამჟამად კი მათ ფშვინვიერი კ (ქ) თანხმოვნით წერენ. მაგალითად:

აფხ. აკცენტ || აკცენტ (შდრ. რუს. акцент, ქართ. აქცენტი);

აფხ. აკცია || აკცია (შდრ. რუს. акция, ქართ. აქცია);

აფხ. აკციზ || აკციზ (შდრ. რუს. акциз, ქართ. აქციზი);

აფხ. აკციონერ || აკციონერ (შდრ. რუს. аукционер, ქართ. აქციონერი);

- აფხ. აბოქс || აბოქс (შდრ. რუს. абокс, ქართ. აბოქსი);
 აფხ. აკოდექს || აკოდექს (შდრ. რუს. кодекс, ქართ. კოდექსი);
 აფხ. ატაკსი || ატაკსი (შდრ. რუს. такси, ქართ. ტაქსი);
 აფხ. ატექსტ || ატექსტ (შდრ. რუს. текст, ქართ. ტექსტი) და სხვ.

ცალკე უნდა გამოვყოთ ისეთი შემთხვევები, როდესაც ფუძის აბსოლუტურ ბოლოში მდგარი მკვეთრი თანხმოვანი აფხაზურში ფშვინგიერით არის გადმოცემული და ეს მაშინ, როცა გვაქვს არა თანხმოვანთკომპლექსი, არამედ ოდენ თანხმოვანი წინამავალი ხმოვნით (VC). მაგალითები.

- აფხ. აგაზეთ (შდრ. რუს. газет, ქართ. გაზეთი);
 აფხ. ასალათ (შდრ. რუს. салат, ქართ. სალათი);
 აფხ. აბიბლიოთეკა (შდრ. რუს. библиотека, ქართ. ბიბლიოთეკა);
 აფხ. აკამფეთ (შდრ. რუს. камфет, ქართ. კამფეტი);

ამგვარი დაწერილობა გავრცელებული იყო XX საუკუნის 90-იან წლებამდეც და არც ამჟამად შეცვლილა. ვფიქრობთ, ეს სიტყვები ნასესხები უნდა იყოს არა რუსული ენის, არამედ ქართულის შუამავლობით.

ერთადერთი სიტყვა, რომელშიც ბოლოკიდური მკვეთრი თ თანხმოვანი უცვლელად არის დაცული ვ. კასლანძიას ლექსიკონში, არის "анеолит", ქართულში იგივე სიტყვა თ (თ) ფონემით არის გადმოცემული: „ნეოლითი“. შესაძლოა, ამ შემთხვევაში ბეჭდვის შეცდომასთან გვქონდეს საქმე.

საგანგებოდ უნდა აღვნიშნოთ ის, თუ როგორ იყო და ამჟამად როგორ არის წარმოდგენილი აფხაზურში რუსული ფონემების ჯ. ე. იუ, ე-ს შემცველი სიტყვები. ეს ხმოვნები და დიფთონგები უცხოა აფხაზურისთვის. მათ გადმოსაცემად ენა ალტერნატიულ გზას მიმართავს. ასე, მაგალითად: ეს გადმოიცემა როგორც ია, რომელიც გამოითქმის ვა-ს სახით და ეს ბუნებრივიცაა, ვინაიდან აფხაზურ ანბანში რუსული ი გრაფემა უდრის ვა-ს:

- აფხ. ავария (ავარია) (შდრ. რუს. авария, ქართ. ავარია);
 აფხ. აвиაცია (ავიაცია) (შდრ. რუს. авиация, ქართ. ავიაცია);
 აფხ. აзия (აზია) (შდრ. რუს. азия, ქართ. აზია);
 აფხ. აქცია (აქცია) (შდრ. რუს. акция, ქართ. აქცია);

ეს მაგალითები გვიჩვენებს, რომ სამწერლობო ენაში რუსული ი გრაფემის უქონლობამ ხელი შეუწყო ინტერნაციონალიზმების „გააფხაზურებას“ და ამ გზით რუსულის წამლეკავი გავლენისაგან ამ მცირე უბნის დაცვას.

ანალოგიურია რუსული იუს გადმოცემის წესიც: იწერებოდა და იწერება იუ, გამოითქმის ვუ:

აფხ. авантиура (ავანტიურა) (შდრ. რუს. авантюра, ქართ. ავანტიურა);

აფხ. биуро (აბიურა) (შდრ. რუს. бюро, ქართ. ბიურო);

აფხ. абицет (აბიცეტ) (შდრ. რუს. бюджет, ქართ. აბიცეტი);

აფხ. агравиура (აგრავიურა) (შდრ. რუს. гравюра, ქართ. გრავიურა) და სხვ.

იგივე ითქმის რუსული ე ხმოვნის გადმოცემაზეც: ქართულის მსგავსად აფხაზურშიც მას სადა ე (ე) ხმოვანი ენაცვლება. ასე იყო XX ს. 90-იან წლება-მდე და ასეა ამჟამადაც. მაგალითები:

აფხ. аэробус (შდრ. რუს. аэробус, ქართ. აერობუსი);

აფხ. емиграция (შდრ. რუს. эмиграция, ქართ. ემიგრაცია);

აფხ. аекватор (შდრ. რუს. экватор, ქართ. ეკვატორი);

აფხ. аекран (შდრ. რუს. экран, ქართ. ეკრანი);

რუსულ ეს ადრეც და ახლაც შეესაბამება იო, რომელიც წარმოთქმის მხრივ ახლოსაა რუსულთან:

აფხ. аликиор (შდრ. რუს. ликёр, ქართ. ლიქიორი);

აფხ. маниовр (შდრ. რუს. манёвр, ქართ. მანევრი);

ასეთი მაგალითები არც თუ ისე ცოტაა, აქ მხოლოდ ნაწილის წარმოდგე-ნით შემოვიფარგლებით.

როდესაც რუსულიდან შემოსულ ნასესხობებზე ვსაუბრობთ, აუცილებლად უნდა განვიხილოთ რუსული და ევროპული ენების გაორმაგებული თანხმოვნების გადმოცემის შემთხვევები აფხაზურში.

რუსულ ენაში ევროპულ ენათა მსგავსად არის მთელი რიგი სიტყვებისა, რომლებშიც ფუძისეული თანხმოვანი გაორმაგებულია, რაც აფხაზურშიც ანა-ლოგიურად აისახება. მაგალითები:

აფხ. агрессия (შდრ. რუს. агрессия, ქართ. აგრესია);

აფხ. антенна (შდრ. რუს. антенна, ქართ. ანტენა);

აფხ. артиллерия (შდრ. რუს. артиллериya, ქართ. არტილერია);

აფხ. ассистент (შდრ. რუს. ассистент, ქართ. ასისტენტი);

აფხ. аграмм (შდრ. რუს. грамм, ქართ. გრამი) და სხვ.

ნასესხებ ლექსიკაში არის სიტყვათა ჯგუფი, რომლებშიც სამწევრა თან-ხმოვანთკომპლექსები გვხვდება. მაგალითები:

- აფხ. апамфлет (შდრ. რუს. памфлет, ქართ. პამფლეტი);
- აფხ. аландшафт (შდრ. რუს. ландшафт, ქართ. ლანდშაფტი);
- აფხ. алингвистика (შდრ. რუს. лингвистика, ქართ. ლინგвистიკა);
- აფხ. амаршрут (შდრ. რუს. маршрут, ქართ. მარშრუტი);
- აფხ. амасштаб (შდრ. რუს. масштаб, ქართ. მაშტაბი) და სხვ.

განხილულ მასალასთან დაკავშირებით წამოიჭრება საკითხები: რითაა გამოწვეული ის ფაქტი, რომ XX ს. 90-იანი წლებამდე აფხაზურ სამწიგნობრო ენაში ინტერნაციონალიზმების წერის ერთი წესი მოქმედებდა, ამჟამად კი სხვა წესი მოქმედებს? რომელი წესი უფრო მიესადაგება აფხაზური ენის ბუნებასა და მის ეკოლოგიას? ამ კითხვებზე პასუხის გაცემა შეუძლებელია, თუ არ გავითვალისწინებო საბჭოთა კავშირის რუსიფიკატორული ენობრივი პოლიტიკის ისტორიას.

XX ს. 90-იანი წლების II ნახევარში რუსულიდან ნასესხები სიტყვების, სოვეტიზმებისა და ინტერნაციონალიზმების წერის წესები შემოღებულ იქნა იმ ხალხთა ენებში, რომლებიც გადაიყვანეს ლათინიზებული გრაფიკიდან რუსულ გრაფიკაზე („კირილიცაზე“). მათი მიზანი იყო ამ ენათა ლექსიკაში რუსიზმების მომრავლება და საარტიკულაციო ბაზისის მოშლა. ეს წესები შემდეგს გულისხმობდა:

1. აუცილებლად უნდა გამოყენებულიყო რუსული ანბანის ყველა ასო-ნიშანი, მიუხედავად იმისა, პქონდათ თუ არა ამ ენებს შესაბამისი ბგერები. ამ გზით აღნიშნულ ენებში დაინერგა სრულიად უცხო ბგერები და შეირყა მათი საარტიკულაციო ბაზისი.

2. არარუსული ენებისათვის დამახასიათებელ და რუსულში არარსებულ სპეციფიკურ ბგერათა გადმოსაცემად გამოყენება მრავალი ორ და სამასოიანი კომპლექსი და ერთადერთი დამატებითი ნიშანი, რაც ანბანს არაეკონომიკურს ხდის.

3. კატეგორიულად აიკრძალა რუსული ენის მეშვეობით ნასესხები რუსიზმების, სოვეტიზმებისა და ინტერნაციონალიზმების წერა და წარმოთქმა რუსული ენისაგან განსხვავებული ფორმით. ამ გზითაც არარუსულ ენებს თავს მოახვიეს რუსული მართლწერისა და მართლმეტყველების წესები და ხელი შეუწყეს ამ ენათა საარტიკულაციო ბაზისის გადაგვარებას.

საბოლოოდ ამ წესების შედეგად ჩრდილო-კავკასიის ხალხთა ამჟამინდელი თაობების მეტყველება გადაგვარდა და დაუახლოვდა რუსულ გამოთქმას, რაც რეალურ საფრთხეს უქმნის ენების მომავალს.

რაც შეეხება აფხაზურს, მისთვის 1938 წელს საგანგებოდ შემოღებულ იქნა ქართულ გრაფიკაზე დაფუძნებული დამწერლობა. აფხაზური ენისათვის ყველაზე მეტად შესაფერისი სწორედ ქართული საანაბნო სისტემაა, ვინაიდან აფხაზური და ქართული ენები ერთმანეთის მონათესავე ენებია და ბგერითი შემადგენლობაც მსგავსი აქვთ. მაგრამ რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, 1938 წლიდან 1954 წლამდე აფხაზური ენა ვითარდებოდა ბუნებრივად, ყოველგვარი ძალდატანების გარეშე. ქართული ენიდან შესული სიტყვები იწერებოდა და წარმოითქმებოდა აფხაზური ენის ნორმების შესაბამისად. ამ მიზეზთა გამო აფხაზურ ენაში 16 წლის განმავლობაში მინიმალური რაოდენობით შევიდა რუსიზმები, სოვეტიზმები და ინტერნაციონალიზმები, ხოლო ქართველიზმები ძალზე მცირე რაოდენობით იქნა ნასესხები. ამგვარად, 1938-1954 წლები აფხაზური ენის ეკოლოგიური იერსახის შენარჩუნების პერიოდი იყო (გვანცელაძე, 2000, 91-92; სერდიუჩენკო, 1955, 92).

დასკვნა

წინამდებარე ნაშრომში განხილული ენობრივი მასალა შემდეგი ძირითადი დასკვნების გამოტანის საშუალებას გვაძლევს:

1) მართალია, ისტორიულად აფხაზურ-აბაზურ ენობრივ ერთობას ახასიათებდა ძირთა და აფიქსთა მარტივი სტრუქტურა – CV ტიპი და ხშირ შემთხვევაში იგი ამჟამადაც შენარჩუნებულია (ქ. ლომთათიძე), მაგრამ აფხაზურ ენაში დღეისათვის უცხო ადარ არის თანხმოვანთა კომპლექსების არსებობა. ენაში ამჟამინდელ ეტაპზე რეალიზების სიხშირის მიხედვით თანხმოვანთა კომპლექსებიდან ყველაზე გავრცელებულია თანხმოვანთა ორწევრა კომპლექსები, მეორე ადგილი უჭირავთ სამთანხმოვნიან ჯგუფებს, ხოლო ოთხ- და ხუთწევრიანი კომპლექსები საკმაოდ იშვიათია. რაც შეეხება ხუთზე მეტი წევრისაგან შემდგარ კომპლექსებს, ისინი საერთოდ არ დასტურდება.

2) თანხმოვანთა კომპლექსების ჩამოყალიბებაში წამყვან როლს თამაშობენ: მახვილის ზემოქმედება, ახალ სიტყვათა შექმნაში კომპოზიციის ხერხის წამყვანი ადგილი, ძირეულ ელემენტთა რედუქციის სიხშირე, ენის მიღრეკილება მრავალმარცვლოვან სიტყვათა სიგრძის რეგულირებისაკენ და მათი თანმდევი ფონეტიკური ცვლილებანი. არსებითია ისიც, რომ ტიპოლოგიური თვალსაზრისით სხვა მონათესავე იძერიულ-კავკასიურ ენათაგან აფხაზურ ენას (აბაზურთან ერთად) გამოარჩევს სახელთა შედარებითი სიმარტივე და ზმნური სისტემის განსაკუთრებული სირთულე, რაც იწვევს ზმნაში ისეთ სიტყვათწარმოებით და ფორმათმაწარმოებელ ელემენტთა ჩართვას, რომლებსაც ეკისრებათ სხვა ენათა სისტემებში სახელური სიტყვათ- და ფორმათწარმოების საშუალებათა ფუნქციების შესრულება. ამ ელემენტთა უმრავლესობა აფხაზურში ან ოდენ თანხმოვნებია, ან შეიცავენ თანხმოვნებს. ეს განაპირობებს თანხმოვანთა კომპლექსების დიდი რაოდენობით წარმოქმნას სწორედ ზმნურ ან ნაზმნარ ფორმებში, თანაც მორფემათა ზღვარზე.

3) აფხაზური ენის ორწევრა კომპლექსებში ხშულ თანხმოვანთა პირველ კომპონენტად დისტრიბუციის მიხედვით შემდეგი ტიპის ორწევრა თანხმოვანთკომპლექსები გამოვლინდა: B^1B^1 , B^1B^3 , B^3B^1 , B^3B^3 , B^1D^1 , B^1D^3 , B^1D^4 , B^1C^1 , B^1C^3 . ამ ჯგუფის კომპლექსებში პირველ წევრად რეალიზებულია როგორც სადა, ასევე პალატალიზებული ხშული თანხმოვნები.

სადა ხშულ ფონემათაგან ზემოთ ჩამოთვლილ თანხმოვანთჯგუფებში შემ-

დეგი თანხმოვნები დასტურდება: ბ, ფ, პ, დ, ო, ტ, ჟ, კ, გ. არ გამოვლინდა პირველ წევრად ქ ფონემის გამოყენების შემთხვევები.

პალატალიზებულ ხშულთაგან დასტურდება ყ გ ფონემები. სადა სპირანტთაგან მეორე წევრად გვხვდება: ზ ს ჟ შ დ ხ ვ ჰ თანხმოვნები; შეინიშნება ღ ხ ჟ შ პალატალიზებული და ინტენსიური სპირანტების ორწევრა კომპლექსი დისტრიბუციის შემთხვევები; სადა აფრიკატთაგან მეორე წევრად გვხვდება: ძ ც წ ჩ ჸ; ინტენსიურ აფრიკატთაგან – ჩა და ჭა. ზოგადად, ძალზე მცირეა ჯ და ჯა ფონემების როგორც ორ, ასევე ორზე მეტწევრა კომპლექსებში დისტრიბუციის შემთხვევები.

აფხაზურისათვის დამახასიათებელია როგორც პომოგენური და პეტეროგენული, ასევე პომორგანული და პეტერორგანული კომპლექსები (იხ. დანართი).

4) აფხაზურში ორწევრა თანხმოვანთკომპლექსების პირველ წევრად სპირანტების დისტრიბუციის მიხედვით შემდეგი ჯგუფები გამოიყო: D^1D^1 , D^3D^3 , D^4D^4 , D^3D^1 , D^4D^1 , D^1B^1 , D^1B^3 , D^1C^1 , D^1C^3 , D^3B^1 , D^4B^1 , D^3C^1 , D^3C^3 , D^1D^1 . ჯგუფში შეინიშნება როგორც სხვადასხვა სპირანტისაგან შემდგარი, ასევე გემინირებული თანხმოვნები. გემინირებულ ძირთა რაოდენობა გაცილებით მეტია. ინტენსიურ სპირანტთაგან როგორც მეორე, ასევე პირველ წევრად ოდენ შა ფონემა გვხვდება. პალატალიზებულ სპირანტთაგან – ღ. სადა სპირანტთაგან სადა ხშულების პირველ პოზიციაში არ არის რეალიზებული ჟ, ღ, და ჰ. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ჯ აფრიკატი ხ სპირანტის მეზობლობაში დასტურდება.

5) ორწევრა კომპლექსებს სადა და ინტენსიური აფრიკატებიც ქმნიან. გამოვლინდა შემდეგი ჯგუფები: C^1C^1 , C^1C^3 , C^3C^1 , C^3C^3 , C^1B^1 , C^1B^3 , C^1D^1 , C^1D^3 , C^3B^1 , C^3D^1 , C^1C^1 ჯგუფში ერთიანდება როგორც სხვადასხვა სადა აფრიკატისაგან შემდგარი, ასევე გემინირებული თანხმოვნები. ამ ჯგუფში არ შეინიშნება ჯ და ჩ ფონემების გამოყენების შემთხვევები; ინტენსიურ აფრიკატთაგან გვაქს – ჭა და ჩა როგორც კომპლექსის პირველ, ასევე მეორე წევრად. უნდა აღინიშნოს, რომ ჯ ფონემა ბ, ფ და გ სადა ხშულებისა და ხ, ჟ სადა სპირანტების წინ დასტურდება.

6) ორწევრა კომპლექსებში სონორის გამოყენების შემთხვევები აფხაზურში სიმრავლით გამოირჩევა. ერთმანეთისგან უნდა გავმიჯნოთ სონორთავკიდურიანი და სონორბოლოკიდურიანი კომპლექსები. სონორი თავკიდურად გვხვდება B^1 , B^3 , D^1 , D^3 , C^1 , C^3 ჯგუფების თანხმოვნებთან. B^1 , B^3 , D^1 , C^1 , C^3 ჯგუფების თანხმოვნების წინ დასტურდება ოთხივე სონორი, D^3 ჯგუფის თანხმოვანთა წინა პოზიციაში არ შეინიშნება ლ ფონემა, ხოლო D^4 ჯგუფის წინა პოზიციაში კი – ნ. იმ კომპლექსებში, რომლებშიც ოთხივე სონორია რეალიზებული, მეტი სიხშირით რ-ს გამოყენების შემთხვევები გამოვლინდა.

7) CA მიმდევრობის, ანუ სონორბოლოკიდურიანი კომპლექსების აბსოლუტური უმრავლესობა (თუ მასში რ სონორია) მეორეულია, რადგან -რ მასდარისეული სუფიქსის თანხმოვნური ელემენტია, მაგრამ აფხაზურში ამგვარი კომპლექსები გვხვდება არა მხოლოდ ერთი მორფემის შიგნით, არამედ მორფემათა ზღვარზეც და მათში ოთხივე სონორია რეალიზებული. უნდა აღინიშნოს, რომ მათი აბსოლუტური უმრავლესობა ნასესხებია სხვა ენიდან (უმთავრესად რუსულიდან) და შესაბამისად, კომპლექსებიც უცვლელად გამოვლინდა. მაგრამ ერთი მორფემის შიგნით არსებული CA მიმდევრობა საკუთრივ აფხაზურ ლექსიკაშიც გვხვდება, კერძოდ, სახელებში (მცირე რაოდენობით).

8) ორწევრა კომპლექსების მეორე წევრად ლაბიალიზებული თანხმოვნებიც დასტურდება. მათ წინა პოზიციაში რეალიზებულია ხშული, სპირანტი და აფრიკატი ფონემები. ხშულთაგან ლაბიალიზებული სამეულების წინა პოზიციაში არ გვხვდება გ და ქ. ლაბიალიზებული სპირანტების წინ – ჲ, დ, ტ, ქ, კ, ყ; ჸ ფონემის წინ – ფ, ტ, ბ, კ, ყ თანხმოვნები; აფრიკატთაგან ლაბიალიზებული სპირანტების წინ არ დასტურდება ძ, ჰ, ჩ ფონემები, ჸ თანხმოვნის წინ არ გვხვდება ჵ, ფ, ლაბიალიზებულ სპირანტთებთან – ჵ, ფ, ჸ, ლ თანხმოვნები. ლაბიალიზებულ თანხმოვანთა პირველ კომპონენტად ოთხივე სონორი დასტურდება.

9) აფხაზურში ხშირია გემინირებული თანმხოვნებისაგან შემდგარი ორწევრა კომპლექსები, მაგრამ ისინი სამ- და მეტწევრა კომპლექსებსაც ქმნიან. გემინირებული სახით გვხვდება როგორც სადა, ასევე ლაბიალიზებული, პალატალიზებული და ინტენსიური თანხმოვნებიც.

გაორკეცებული თანხმოვნის შემთხვევაში რაიმე თავისებური გემინირებული თანხმოვნები კი არა გვაქვს, არამედ სახელისა თუ ზმნის ფუძის ნაწილის გაორკეცება სიმრავლე-სიხშირე-ინტენსივობის გამოხატვის ფუნქციით, რაც ხშირად ხმოვნის რედუქციის წყალობით თავს უყრის ორ ერთგვაროვან თანხმოვანს (ქ. ლომთათიძე).

10) სონორთავკიდურიან სამწევრა კომპლექსებში გამოვლინდა შემდეგი მიმდევრობები: AB^1B^1 , AB^1D^1 , AB^1D^4 , AD^1B^1 , AD^1D^1 , AB^2B^2 , AC^1C^1 , AB^1C^1 , AB^1B^2 , AB^1D^3 , AD^1C^1 , AD^1D^2 , AD^2B^2 , AD^3C^1 , AD^4D^4 , AD^4B^1 , AD^4D^2 , AC^1B^1 , AC^1B^2 , AC^1D^2 , AC^1B^3 , AC^2D^2 , AC^2C^1 , AC^3D^1 , AC^3B^1 , AC^3D^2 , AC^3D^1 , AB^2D^2 , AB^2C^3 , AB^3D^2 . ამგვარ თანხმოვან-თკომპლექსთა შემცველი ლექსიკური ერთეულები რთული აგებულებისაა და ამოსავალ ვითარებას არ ასახავს. სირთულეს ქმნის გემინირებულ ძირებზე კაუზატივის ნიშნის დართვა, კომპოზიცია. ამასთან, ბევრი სიტყვა ნასესხებია და შესაბამისად კომპლექსიც გადმოჰყვა. ამგვარ კომპლექსთა თავკიდურად სიტყვათა აბსოლუტურ უმრავლესობაში რ სონორი დასტურდება, რომელიც კაუზატივის მაწარმოებელი პრეფიქსია. დანარჩენ სონორთა რეალიზების თითო-ოროლა მაგალითი გვხვდება.

11) სონორბოლოკიდურიანი სამწევრა კომპლექსების აბსოლუტურ უმრავლესობაში (თითო-ოროლა შემთხვევის გარდა) ბოლოკიდურ სონორს რ ფონემა წარმოადგენს, როგორც მასდარის, აბსტრაქტულ სახელთა და კრებითობის მაწარმოებელი სუფიქსი. სამწევრა კომპლექსებში იგი მიერთვის როგორც გემინირებულ ძირებს, ასევე სხვადასხვა თანხმოვნისაგან შემდგარ კომპლექსებს. გამოიყო შემდეგი ჯგუფები: B^1B^1A , B^2B^1A , D^1D^1A , B^1D^1A , D^1B^1A , D^2B^1A , D^2D^1A , B^2D^1A , D^2B^2A , C^2D^2A , C^2B^2A , B^2B^2A , D^2D^2A , B^2D^2A , C^1D^1A , C^1B^1A , C^1C^1A , C^3B^1A , C^3D^1A , C^2D^1A , B^1D^4A , B^1C^3A , B^1C^1A , D^1C^1A .

12) აფხაზურისათვის დამახასიათებელია სამწევრა თანხმოვანთკომპლექსის CAC ტიპი. ამგვარ კომპლექსებში თანხმოვანთა დისტრიბუცია საკმაოდ შეზღუდულია. კერძოდ, პირველ კომპონენტად საერთოდ არ გვხვდება B^1 , B^2 , B^3 , D^3 , C^2 , C^3 ჯგუფის თანხმოვნები. CAC ტიპის კომპლექსთა შემცველი სიტყვები კომპოზიტები და ნეოლოგიზმებია.

13) აფხაზურში გამოიყოფა ისეთი სამწევრა თანხმოვანთკომპლექსებიც, რომლებშიც სონორი თანხმოვანი ერთდროულად კომპლექსის პირველ და მესამე წევრად გვხვდება, ხოლო მათ შორის ხშული, სპირანტი და აფრიკატი თანხმოვნებია წარმოდგენილი. ACA ტიპის კომპლექსებში პირველ და ბოლო წევრებად ოთხივე სონორია რეალიზებული, მაგრამ მათი დისტრიბუცია შეზღუდულია.

14) ცალკე ჯგუფს ქმნიან უსონორო სამწევრა თანხმოვანთკომპლექსები. გამოიყო შემდეგი ჯგუფები: $D^1B^1D^1$, $D^1B^1D^2$, $D^1B^1D^4$, $D^1D^1D^1$, $D^1B^1B^1$, $D^1D^1B^1$, $D^1B^1B^3$, $D^1B^1C^3$, $D^1D^3C^1$, $D^1B^1D^1$, $D^1B^2B^1$, $D^2D^1D^2$, $D^2D^4B^1$, $D^2D^2B^1$, $D^2D^1C^1$, $D^2D^3C^1$, $D^2B^1C^3$, $D^2D^3C^1$, $D^3B^1D^1$, $D^3C^1B^1$, $D^3D^1B^1$, $B^1B^1D^1$, $B^1D^1D^1$, $B^1D^1D^2$, $B^1D^2D^2$, $B^1D^1D^3$, $B^1D^1B^1$, $B^1D^4D^2$, $B^1C^1B^1$, $B^1C^2B^2$, $B^1D^1C^2$, $B^1D^1C^3$, $B^1D^4C^1$, $B^1D^1C^1$, $C^1C^1D^2$, $C^1B^1D^1$, $C^2D^1D^2$, $C^2D^1B^2$, $C^2B^1D^4$. ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ უსონორო სამწევრა თანხმოვანთკომპლექსებში ბაგისმიერ თანხმოვანთაგან თავკიდურ პოზიციაში ოდენ ც თანხმოვანი დასტურდება. რაც შეეხება თავკიდურად ლაბიალიზებული ხშული თანხმოვნის არსებობას, ამგვარი კომპლექსები საერთოდ არ გამოვლინდა. არ დასტურდება აგრეთვე თავკიდურ პოზიციაში პალატალიზებული ხშული თანხმოვნის არსებობის არც ერთი შემთხვევა.

15) აფხაზურში, მიუხედავად პირთა ამოსავალი CV ტიპისა, დასტურდება ოთხ- და ხუთწევრა თანხმოვანთკომპლექსებიც. მათ შემცველ სიტყვათა რაოდენობა ას ორმოცამდე ლექსიკურ ერთეულს შეადგენს, მათგან ხუთწევრა კომპლექსის შემცველი მხოლოდ ათი სიტყვაა. ამგვარი კომპლექსები ყველა პოზიციაში მეორეულია და მათი უმრავლესობა შეიცავს ერთ ან ორ სონორს, თუმცა გამოვლინდა უსონორო კომპლექსთა შემცველი მაგალითებიც. სონორიან ოთხწევრა და ხუთწევრა თანხმოვანთკომპლექსებში შემდეგი ჯგუფები გამოიყო: CCCA, ACCC, ACCA, CACA, AACCA, AACCA, ACACAA.

16) ისევე როგორც ქართულში, აფხაზურშიც არსებობს ჰარმონიული კომპლექსები, მაგრამ მათი რაოდენობა რამდენადმე შეზღუდულია.

ქართულში განარჩევენ ჰარმონიულ კომპლექსთა A და B სისტემებს:

A სისტემა:

ბგ ~ ვქ ~ პქ
დგ ~ ოქ ~ ოპ
ძგ ~ ცქ ~ წქ
ჯგ ~ ჩქ ~ ჭქ

B სისტემა:

ბღ ~ ფხ ~ პყ
დღ ~ ოხ ~ ოყ
ძღ ~ ცხ ~ წყ
ჯღ ~ ჩხ ~ ჭყ

A სისტემი ლაბიალურ და დენტალურ, ასევე აფრიკატთა სამეულების მომდევნო პოზიციაში ნეიტრალიზებულია გ ~ ქ ~ კ დაპირისპირებები.

B სისტემი ლაბიალურ და დენტალურ, ასევე აფრიკატთა სამეულების მომდევნო პოზიციაში ნეიტრალიზებულია დ ~ ხ ~ ყ დაპირისპირებები (გამკრელობები, კიკნაძე, შადური, შენგელაია, 2003, 142)

აფხაზურში ამ პარმონიულ კომპლექსთაგან დასტურდება შემდეგი ბგერათ-შერთებები: ბგ, პგ, დგ, ოპ, ჯგ, ჩქ, ბღ, პყ, ოხ, ოყ, ძღ, ცხ, წყ, ჩხ. ამასთან აღსანიშნავია, რომ ოყ კომპლექსი მხოლოდ ნასესხებ ლექსიკაში გვხვდება.

დანართი

ერთი მორფემის შიგნით არსებული ორწევრა კომპლექსები

ბ: ბგ, ბტ, ბქ, ბზ, ბღ, ბღ~, ბჟ, ბწ, ბჭ, ბჩ, ბრ, ბნ, ბლ, ბთ, ბჳ°

გ: გბ, გვ

გ: გდ, გძ, გჭ ~, გრ, გლ, გბ

გ~:

ბ°: ბ° ბ°

ღ : ღრ, ღნ, ღლ, ღღ

ღ~ : ღ~ ღ~

ღ°: ღ° ღ°

ღ : ღრ, ღღ

ღ°: -

ჸ : -

ჸ : ჸჸ

ჸ°: ჸ° ჸ°, ჸ° ლ, ჸ° ტ°, ჸ° ც°, ჸ° ჟ°

ზ : ზე, ზე, ზე, ზე, ზე, ზე, ზე, ზე

ძ : ძე, ძღ, ძნ, ძღ, ძგ°, ძძ

ძ°: ძ° ძ°

ძ : ძმა, ძვ, ძრ, ძლ, ძბ

ძ~: -

ძ : ძტ, ძრ, ძძ

ჸ : ჸლ

ჸ : -

ჸ : -

ჸ: ჸლ, ჸე

ჸ : ჸე

ჸ : ჸრ, ჸძ

ლ : ლ ტ

ლ : ლტ, ლღ, ლო, ლგ , ლს, ლჳ, ლ

չ : չb, չb̄, չb̄̄

չd : -

չ : չd, չd̄, չb, չd̄, չx, չd̄̄

ԹԵՐԳՅԵՄԱԾԱ ԿԸՆԿԵՐՆԵՐԻ ԱՐՏԵԺՈՒԾՈ ԹՐՄԵՎՐԱ ՀՐԱՄԱՆԵՐԸ

ծ : ծy°, ծv̄, ծլ, ծր, ծժ, ծb°, ծb̄, ծԾ°, ծչ

ժ : ժյ̄

զ : զր, զb, զd, զլ, զժ, զԾ

զ~ : զյ̄, զլ

զ° : զ°ր, զ°Ճ, զ°ն

զ : զժ, զչ

զ~ : զ~յ̄, զ~b, զ~ր, զ~ժ, զ~Ծ, զ~Ծ°

զ° : զ°Ծ°

զ : զլ, զօ, զյ̄, զզ, զb, զժ, զb̄, զv̄, զd, զԾ, զժ, զի, զն, զյ̄, զո°, զԾ°,
զժ°, զv̄°, զՊ°, զյ̄°, զչ°

զ° : զ°Յ°

զ : զՅ

յ : յր, յb, յլ, յԾ°, յv̄°, յԺ°

յ° : յ°ը, յ°լ, յ°Ծ°, յ°Յ°, յ°Ճ°, յ°Շ°, յ°Յ°

ն: նն, նբ, նը, նո, նլ, նժ, նv̄, նԾ, նԺ, նԺ, նԾ, նՅ, նՅ°, նԾ°, նԺ°,
նԾ°, նՊ°, նԾ°, նv̄°, նb°, նհ

մ : մր, մն, մլ, մԺ, մյ̄, մՑ, մԺ, մԺ, մՅ̄, մv̄°, մԺ°, մյ̄°, մՑ°, մԺ°

մ° :=

մ : մԺ, մԾ, մն, մր, մՅ̄, մԺ, մb̄, մv̄°

մ~ : -

մ° : -

մ : մՅ̄

մ : մՅ̄

մ° : մv̄, մԾ°, մԺ°, մՅ̄°, մԾ°, մՊ°, մԺ°, մՅ̄°, մb°

յ : յչ, յդ

$\tilde{g} : \tilde{g}^v, \tilde{g}^b$

յ՝ յյ, յ՛՜

ლ : լb, լց, լՑ, լh, լծ, լԾ, լԸ, լԾ, լԸ, լԸ

ڙ : ڙڻ, ڙڳ, ڙڻ, ڙڳ, ڙڻ, ڙٻ, ڙٻ, ڙٻ, ڙٻ, ڙٻ, ڙٻ

ଓ : ওৱ, ওৰ, ওঁৱ, ওঁৰ, ওঁৱ, ওঁৰ, ওঁুৰ, ওঁুৱ, ওঁুৰ, ওঁুৱ

რ : რგ, რრ, რც, რთ, რლ, რბ, რფ, რტ°, რყ°, რკ, რდ, რბ, რს, რჸ, რშ°,
რლ, რზ, რძ, რწ°, რჯ, რჩ, რჭ, რკ, რმ, რყ, რწ, რტ, რთ°, რდ°, რძ°,

რც°, რჰ°, რხ°, რჟ°, რლ°, რგ~, რკ~, რჟ~, რქ~, რხ~, რხ~, რლ~

ს : სრ, სგ, სბ, სძ, სნ, სო, სს, სბ, სქ, სჟ, სჸ, სჟ, სჸ, სჟ, სჸ, სჟ, სჸ

13

ଓ : রং, ঘৰ, ঘঁ

$\theta^\circ : \theta^\circ m, \theta^\circ b$

$\sigma : \sigma\ddot{\sigma}, \sigma\ddot{\gamma}, \sigma\ddot{b}, \sigma\ddot{\delta}, \sigma\ddot{\phi}, \sigma\ddot{\theta}, \sigma\ddot{b}, \sigma\ddot{\beta}, \sigma\ddot{h}, \sigma\ddot{b}, \sigma\ddot{\delta}, \sigma\ddot{\theta}, \sigma\ddot{\gamma}, \sigma\ddot{\phi}$,

τρ, τρ,

$90^\circ : 90^\circ 3^\circ$

Φ : -

\tilde{b} : $\tilde{b}g$, $\tilde{b}q$, $\tilde{b}d$, $\tilde{b}\ddot{g}$, $\tilde{b}\ddot{g}$, $\tilde{b}\ddot{q}$, $\tilde{b}\ddot{d}$, $\tilde{b}\ddot{g}$, $\tilde{b}\ddot{q}$

$b^\circ : b^\circ\theta, b^\circ\beta^\circ, b^\circ\beta^\circ$

Cw : -

$\text{अ}^{\circ} : \text{अ}^{\circ} \text{ फ}^{\circ}$

ଓঁ : ওঁର, ওঁବ, ওঁଲ, ওঁଙ, ওঁଧ, ওঁଜ, ওঁଢ, ওঁଗ, ওঁଝ

∇^o : $\nabla^o 3^o$, $\nabla^o 3^o$

б : бԸ, бԬ, бԈ, бԾ

ક્ષ : ક્ષબ, ક્ષર, ક્ષદ, ક્ષગ, ક્ષસ, ક્ષધ, ક્ષઘ, ક્ષઘ°, ક્ષધ°

ହେ: ହେତୁ, ହେନ୍ଦ, ହେଦ, ହେଳ୍, ହେଳ୍ପ, ହେଜ୍, ହେଗ୍, ହେବ୍, ହେଗ୍ମ, ହେଗ୍ମ୍, ହେଡ୍, ହେଜ୍ୟୁ, ହେଗ୍ୟୁ

કોણ: કોણ(૩), કોણી, કોણીય, કોણીત, કોણીબ, કોણીસ, કોણીર, કોણીન, કોણીય°, કોણી૩°, કોણી૦°

ঢ়ু; ঢ়ুৰ, ঢ়ুৰ, ঢ়ুৰ, ঢ়ুৰ, ঢ়ুৰ, ঢ়ুৰ, ঢ়ুৰ, ঢ়ুৰ, ঢ়ুৰ

ঘ : ঘৰ, ঘও, ঘৱ, ঘৰ্জ, ঘৰ্ব°, ঘৰ্জ°, ঘৰ্গ°

$$8^\circ : 8^\circ 2^\circ$$

չ : չչ, չ՞, չ՞՞, չ՞՞՞, չ՞՞՞՞, չ՞՞՞՞՞, չ՞՞՞՞՞՞, չ՞՞՞՞՞՞՞, չ՞՞՞՞՞՞՞՞, չ՞՞՞՞՞՞՞՞՞,

$\chi_8 =$

$\mathcal{X} : \mathcal{X}\mathcal{R}, \mathcal{R}\mathcal{Y}, \mathcal{X}\mathcal{B}, \mathcal{B}\mathcal{D}, \mathcal{X}\mathcal{G}$

ერთი მორფების შიგნით არსებული სამწევრა კომპლექსები

ბ: ბრს

đ° : đ°đ°đ°, đ°đ°đ°, đ°đ°đ°

ঢ : ঢঃঃঃ, ঢঃঃ, ঢঃঃ, ঢঃঃ, ঢঃঃ, ঢঃঃ

ნ : ნსთ, ნოხ°, ნძლ°, ნგრ, ნჩლ, ნჯნ, ნვ°ლ

ڙ : ڙڪڻ، ڙڪڻ، ڙڪڙ، ڙڙڻ، ڙڪڻ، ڙڪڻ، ڙڪڻ، ڙڪڻ، ڙڪڻ، ڙڙڻ، ڙڙڻ

৩৬৮°, ৩৩৩

რ : რთს, რსტ, რბწ, რკჯ, რწკ, რძგ, რთლ, რთმ, რწლ, რჭმ,

რჯგ, რცგ, რწკ, რგლ

$\omega : \omega \overline{d}^{\circ} \overline{d}^{\circ}$

b : bɔŋ̚

$b^{\sim} : b^{\sim}\Omega^{\circ}$

(3 : 3^b9

ჩა: ჩაფნ

მორფემათა ზღვარზე არსებული სამწევრა კომპლექსები

ბ : ბკრ, ბბრ, ბურ, ბებ~

გ : გხრ, გხრ, გწრ

გ : გბრ

გ~ : –

გ° : გ°ჩხრ

ღ : ღღრ, ღზრ, ღკრ

ღ~ : ღ~თრ, ღ~ტ°რ

ღ° : ღ°ხრ

ღ : ღღრ, ღხრ, ღელ, ღწრ, ღზბ, ღხხ, ღღ°ღ°, ღც°ც°, ღშ°შ°,
ღჰ°ჰ°, ღფჸ, ღფს, ღქჳ, ღქჳ

ღ : –

ჭ: ჭთრ

ქ : ქქრ, ქქრ, ქცრ, ქრჯ

ქ° : ქ°თრ, ქ°ხრ, ქ°შთ, ქ°ხ~ხ

ზ : ზკრ, ზთრ, ზფს, ზხ~ხ, ზბჟ, ზპ°ტ

ძ : ძთრ, ძბრ, ძპრ

ძ° : ძ°თრ

ձ : ձջხ

ձ~ : –

ձ° : ձ°ձ°რ

ჯ : –

ჯ~ : –

ჯ° : ჯ°ბლ, ჯ°სრ, ჯ°ქრ, ჯ°ხრ, ჯ°წრ, ჯ°შშ

ყ : ყყრ

ყ~ : ყ~ცრ

ყ° : –

ლ : ლძჰ, ლხრ, ლწრ, ლფე~, ლფჴ, ლფჸ, ლგხ, ლბჴ, ლფწ, ლხჰ,
ლფხ, ლმჳ, ლმხ, ლკრ, ლტრ, ლდრ, ლსრ, ლჟრ, ლშრ, ლგ°გ°,

ლღწწ°, ლც°ც°, ლჳჳ°, ლწწ°, ლე°შ, ლგ°რ, ლგ°რ

ა : მხდ, მბზ, მფხ, მშთ, მხო, მშხ, მღხ, მცხ, მჩხ, მქჳ, მკრ, მსრ,
მხრ, მღრ, მხნ, მჩრ, მძრ, მწრ, მწლ, მშგ, მშან, მჩხ, მჭლ,

მხშ, მჭყ, მძ°ძ°, მშ°ე°, მცჳ°, მხექ°, მგ°რ

ნ : ნტრ, ნსყ, ნხუ, ნხგ, ნხხ, ნფწ, ნჭჭ, ნრგ, ნნშ, ნთრ, ნკრ,
ნდრ, ნჩრ, ნშრ, ნკტ°, ნსჳ°, ნდე°, ნტ°რ, ნჳ°რ, ნხ°რ, ნხშ, ნხხ

პ : პკრ, პხგ

ფ : ფსნ, ფპრ, ფფრ, ფთრ, ფშრ, ფხრ, ფსლ, ფსმ, ფსხ, ფსშ,
ფშგ, ფსთ, ფშბ, ფშჳ, ფსტ°, ფჩგ, ფხბ, ფშაბ, ფსჭ, ფშეყ, გშხ,

გ : გპრ, გთრ

გ : -

თ : თშრ, თბჳ, თფს

თ° : -

ჭ : ჭკრ

ხ° : ხ°თრ

ხ~ : ხ~ხ°რ, ხ~შაჳ°

ხ : ხხრ, ხშრ, ხკრ, ხჩნ, ხსთ, ხჩრ, ხფშ, ხფხ, ხთჳ°, ხჳ°ჳ°

ჰ : -

ჰ° : ჰ°ტ°რ

Ը : Ծեր, Ծյլ, Ծմր, Ծնե, Ծրծ, Ծղե, Ծժ

Ծ° : Ծ°յ°ր, Ծ°Ծ°ր, Ծ°՛նե°, Ծ°՛մր°, Ծ°յԺ

Վ : Վեր, Վեր, Վմր, Վզր, ՎՎր, Վջ°օ°, Վչ°չ°, ՎՊ°Պ°

Վ° : -

Ի : Իյ°ր

Ջ : Ջջր

Խ : Խտր, Խյն, Խմր, Խոյյ

ՋԽ : Ջխոր, Ջխմր, Ջխշ°ջ°

ՋՑ : Ջցոլ, ՋցԾր, Ջց՛շ°Ց°

Ջ : Ջմր, Ջյլ, Ջտլ, Ջե՞ի

Ջ : Ջ°Ծ°ր, Ջ°տր, Ջ°մր, Ջ°՛մր, Ջ°րշ°, Ջ°րչ, Ջ°ե՞ի, Ջ°տկչ, Ջ°տտ

Յ : ՅԾ°ր, ՅնՅ, Յ՛րր, Յեյ°, ՅեՅ

ՅՅ : -

Յ : -

Թռողյատա ზլցարնե արևեծալու ռոեվիշը գոմէլյէսեծո

Ծ : ԾԾֆՅ, Ծ՛տր

Ը : ԸՐԿՐ

Ջ : Ջ°Ծ°Ջ°Ր

Ց : ՑՈՒՄ

Ձ : ՁՅ՛ՖՁ

Լ : ԼԱՅՐ, ԼԵՔՑ, ԼԱՎՐ

Ձ : ՁԳՅՐ, ՁՄ՛ՇՁ, ՁԳԽԵԽ, ՁԽՈՎ, ՁԵՏԵ°, ՁՎՓՅ, ՁՔՈԳ, ՁԹԵԹ, ՁԹԵՑ°Ձ~, ՁԹԵՎ°Յ, ՁԹԵՎ°Յ

ՁՁ : ՁՁՁՁ

Ե : ԵԹԵՏ, ԵԹԵԽ, ԵՐԿՐ

Զ : ԶՄԵԵՁ, ԶՄԵԵՑ°Ձ~, ԶՄԵԵՑ°Յ, ԶՄԵԵՑ°Յ, ԶՄԵԵՑ°Յ, ԶՄԵԵՑ°Յ, ԶՄԵԵՑ°Յ

Ր : ՐՅԵՔ, ՐԿԿԿ, ՐՅԵՑ, ՐՅԵՑ, ՐՅԵՏՐ, ՐՄԵՐ, ՐՅՐՐ, ՐԿՐՐ, ՐԿՐՐ

Շ : ՇՄԵՅ

b : bħħ b~ħ

b~ : b~otħiri

v̄ : v̄oġġis

ḡ : ḡoġġi

ḡ : ḡotġir

ḡ° : ḡ°riġi

Minn iż-żgħix minn tħalli 7-żgħiex kien minn tħalli

l : l-ħiġja

ħ : ħad-ding, ħad-dibbi, ħad-dibbi

r : r-riċċa

g : għad-ding, għad-dibbi

b : b-taġġibba

ლ ი ტ ე რ ა ტ უ რ ა

1. აბაევი, 1973 – В. И. Абаев, О вариативности сонантов. *Folia Linguistica*, VI, 1-2, 1973.
2. აბზიანიძე, 1984 – თ. აბზიანიძე, ფშვინგიერი თანხმოვანი ხშესლები თანხმოვანთა მეზობელ პოზიციაში. საენათმეცნიერო კრებული, I. თბ., 1984
3. აებ, 1968 – Грамматика Абхазского языка. Фонетика и морфология. Сухуми, 1968
4. ალიროვი, 1964 – И. Ю. Алироев, Геминированные согласные в чеченском языке. Сборник статей и материалов по вопросам нахского языкознания. т. V, Грозный, 1964.
5. ამიჭბა, გუბლია, 1984 – В. А. Амц-пъха, Р.К. Гублиа - ლხა, Апсуа бывшэа. Akya, 1984.
6. არდოტელი, 2002 – 6. არდოტელი, ხუნბურ-ანდიურ-დიდოურ ენათა ფონოლოგიერი სისტემის ისტორიულ-შედარებითი ანალიზი. დისერტაცია ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად. თბ., 2002
7. არსთაა, ჭკადუა, 1966 – III. K. Arstaia, L. P. Chkadua, Apсуа бывшэа, Alekciakua ркурс апрофессор K. B. Lomtatiже ллекциакуа ацырхырааны. Akya, 1966.
8. არშბა, 1979 – Н. В. Аршба, Динамическое ударение и редукция гласных в абхазском языке. Тбилиси, 1979.
9. აფხუა ლაკუქუა, 1940 – აფხუა ლაკუქუა. არედაქტორ ა. დ. ჭოჭუა, I. აყუა, 1940..
10. აფხ. ფოლქ. მას. 1967 – Апсуа фольклор аматериалкуа. Akya, 1967
11. აფხ. ფოლქ. 1967 – Апсуа фольклор. Akya, 1967
12. აფხ. ფოლქ. 1992 – Апсуа желар речьбыц речиамта, жәаға томкны, I атом. Akya, 1992.
13. ახვლედიანი, 1999 – გ. ახვლედიანი, ზოგადი ფონეტიკის საფუძვლები. თბ., 1999
14. ბაბლუანი, 1985 – ლ. ბაბლუანი, თანხმოვანთკომპლექსები სვანურ ენაში. დისერტაცია ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატის ხარის-

- ხის მოსაპოვებლად. თბ., 1985.
15. ბაბლუანი, 1985 – ლ. ბაბლუანი, სამწევრა და ოთხწევრა თანხმოვანთკომპლექსები სვანურსა და ქართულში. იქვ, XXIII. თბ., 1985.
 16. ბარამიძე, 2002 – ც. ბარამიძე, თაბასარანული ენის ფონემატური სტრუქტურა და მორფონოლოგიის საკითხები. დისერტაცია ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად. თბ., 2002.
 17. ბარნოვი, 1981 – ნ. ბარნოვი, თანხმოვანთა კომპლექსები ანდიურ ენებში. „მაცნე“, ენისა და ლიტერატურის სერია, №1. თბ., 1981.
 18. ბარნოვი, 1983 – ნ. ბარნოვი, თანხმოვანთა შეთაგსებადობის საკითხები ხუნძურ ენაში. თბ., 1983.
 19. ბუცხრიკიძე, 2002 – M. Butskhrikidze, The Consonant Phonotactics of Georgian. Utrecht, 2002 "LOT"
 20. ბლაჟბა, 1964 – X. C. Бгажба, Бзыбский диалект абхазского языка. Тб., 1964
 21. გამყრელიძე, 1968 – თ. გამყრელიძე, დეზაფრიკატიზაცია სვანურში, „გადაწერის წესები“ დიაქტონულ ფონოლოგიაში. თბ., 1968.
 22. გამყრელიძე, 2000 – თ. გამყრელიძე, ქართულ თანხმოვანთა განდასება. კრებულ „თ. გამყრელიძე, რჩეული ქართველოლოგიური შრომები“. თბ., 2000.
 23. გაფრინდაშვილი, 1955 – შ. გაფრინდაშვილი, ლაბიალიზაციის ბუნებისათვის ზოგ იბერიულ-კავკასიურ ენაში. იქვ, VII. თბ., 1955.
 24. გაფრინდაშვილი, 1962 – შ. გაფრინდაშვილი, სშელ-მსკდომ თანხმოვანთა კლასიფიკაციისათვის ქართველურ ენებში. იქვ, XIII. თბ., 1962
 25. გენკო, 1955 – А. М. Генко, Абазинский язык. Грамматический очерк наречия Тапанта. М., 1955.
 26. გვანცელაძე, 1992 – თ. გვანცელაძე, ქართველური ლექსიკა აფხაზურში. I. აჭყანდარ. ენათმეცნიერების ინსტიტუტის 50-ე სამეცნიერო სესია. მოხსენებათა თეზისები. თბ., 1992.
 27. გვანცელაძე 1997 – თ. გვანცელაძე, ქართველიზმები აფხაზურ ბოტანიკურ ტერმინოლოგიაში და აფხაზთა ისტორიული მიგრაციის მიმართულებანი. კრებ. „გიორგი როგავას“. თბ., 1997.
 28. გვანცელაძე, 2000 – თ. გვანცელაძე, მცირე აფხაზურ-ქართული ლექსიკონი. თბ., 2000.
 29. გვანცელაძე, 2000 – თ. გვანცელაძე, აფხაზური დამწერლობის ქართულ

- გრაფიკაზე გადაყვანის ისტორიისათვის, ჟურნალი „ბედია“, № 6-7
30. გვანცელაძე, 2003 – თ. გვანცელაძე, აფხაზური და ქართული ენების შემსწავლელთათვის, I. თბ., 2003.
31. გიგინიშვილი, 1971 – ბ. კ. Гигинеишвили, Предыхательные аффрикаты общедагестанского языка. Труды ТГУ, В I (138). Тбилиси, 1971
32. გიგინიშვილი, 1973 – ბ. კ. Гигинеишвили, Общедагестанский консонантизм. Автореферат докторской диссертации. Тбилиси, 1973 I. თბ., 1968.
33. გონიაშვილი, 1968 – თ. გონიაშვილი, ნახურ ენათა კონსონანტიზმიდან. იგე, XV
34. გონიაშვილი 1973 – თ. გონიაშვილი, თანხმოვანთა ზოგი კომპლექსი ნახური ჯგუფის ენებში. „მაცნე“, ენისა და ლიტერატურის სერია, I. 1973
35. გუდავა, 1956 – ტ. გუდავა, ლაბიალური კომპლექსისათვის ხუნძურ-ანდოურ-დიდოურ ენებში. იგე, VIII. თბ., 1956.
36. გუდავა, 1958 – ტ. გუდავა, ფარინგალურ თანხმოვანთა საკითხისათვის ხუნძურ-ანდიურ ენებში. იგე, ტ. IX-X. თბ., 1958.
37. გუდავა, 1970 – ტ. გუდავა, თანხმოვანთკომპლექსები ხუნძურ ენაში. იგე, ტ. XVII. თბ., 1970.
38. გუდავა, გამყრელიძე, 1981 – ტ. გუდავა, თ. გამყრელიძე, თანხმოვანთკომპლექსები მეგრულში. კრებული „აკაკი ჭანიძეს“. თბ., 1981.
39. დეშერიევი, 1963 – იუ. დ. Дешериев, Сравнительно-историческая грамматика нахских языков. Грозный, 1963
40. ერთეულიშვილი, 1980 – ფ. ერთეულიშვილი, სახელურ ფუძეთა ფონემატური სტრუქტურა და ისტორიის საკითხები ქართულში. თბ., 1980. И.
41. თარბა, 1981 – ი. ტარბა, Ифымтақуа, 3 томкны, Актәи атом. Akyra, 1981;
42. თარ-ფჰა, 1961 – ნ. ტარ-ფჰა, Бзыпъэтәи аповест. Akyra, 1961;
43. კასლანდია, 2005 – ვ. ა. Касландзия, Абхазско-русский словарь, т. I. Сухум, 2005.
44. კასლანდია, 2005 – ვ.А. Касландзия, Абхазско-русский словарь, т. II, Сухум, 2005.
45. კერაშევა, 1990 – ზ.И. Керашева, Децессивные и акцессивные комплексы и слогообразование в адыгских языках. Ежегодник ИКЯ, т. XVII. Тб., 1990.
46. კილბა, 1983 – ე. კ. Килба, Особенности речи батумских абхазов. Тбилиси, 1983

- 47. კიზირია, 1980** – ნ. კიზირია, თანხმოვანთა წყვილები ჭანურში. იგე, XXII. თბ., 1980.
- 48. კუპერსი, 1955** – Aert H. Kuipers, the North-West Caucasian Languages. Analecta Slavica, I. Amsterdam, 1955
- 49. კუპერსი, 1960** – A. M. Kuipers, Phoneme and Morpheme in Kabardian. 'S-Graevenhague, "Mouton and co", 1960
- 50. კლიჩევი, 1988** – Р. Кълывч, Асуффиксайдкви ащатакви йнарахвуа ашЫпIа превербква, 1988.
- 51. ლომთათიძე, 1940** – ქ. ლომთათიძე, რედუქციკაციის ფუნქციებისათვის აფხაზურში. ენიმკის მოამბე, ტ. V-VI. თბ., 1940
- 52. ლომთათიძე, 1942** – ქ. ლომთათიძე, ერთი ფონეტიკური კანონზომიერების შესახებ აფხაზურ-აბაზურ დიალექტებში. სმამ, ტ. 3, №8. თბ., 1942
- 53. ლომთათიძე, 1944** – ქ. ლომთათიძე, აფხაზური ენის ტაპანთური დიალექტი (ტექსტებითურ). თბ., 1944.
- 54. ლომთათიძე, 1944** – ქ. ლომთათიძე, ბულბულის სახელწოდების ფარანა-ს გამო. საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მოამბე, ტ. V, № 1. თბ., 1944
- 55. ლომთათიძე, 1947** – ქ. ლომთათიძე, ქცევის კატეგორიისათვის აფხაზურ ზმნაში. თსუ შრომები, ტ. XXX-XXXI, №1. თბ., 1947
- 56. ლომთათიძე, 1952** – ქ. ლომთათიძე, რთულფუძიან ზმნათა აგებულება აფხაზურში. იგე, ტ. IV. თბ., 1952.
- 57. ლომთათიძე, 1954** – ქ. ლომთათიძე, აშხარული დიალექტი და მისი ადგილი სხვა აფხაზურ-აბაზურ დიალექტთა შორის (ტექსტებითურ). თბ., 1954
- 58. ლომთათიძე, 1954** – ქ. ლომთათიძე, ზოგი ზმნისართის აგებულებისათვის აფხაზურ-აბაზურ დიალექტებში. იკე, ტ. VI. თბ., 1954.
- 59. ლომთათიძე, 1955** – ქ. ლომთათიძე, ბგერათა პროცესებისა და ბგერათა შესატყვისობების ზოგი საკითხი იბერიულ-კავკასიურ ენებში. სმამ, ტ. XVI, №10. თბ., 1955.
- 60. ლომთათიძე, 1968** – ქ. ლომთათიძე, ლაბიალიზაციის საკითხისათვის ქართველურ ენებში. იგე, XVI. თბ., 1968.
- 61. ლომთათიძე, 1976** – ქ. ლომთათიძე, კომპლექსთაგან მომდინარე ბილაბიალური ხშელები ქართველურ ენებში. თბ., 1984

- 62. ლომთათიძე, 1976** – ქ. ლომთათიძე, აფხაზური და აბაზური ენების ისტორიულ-შედარებითი ანალიზი, I. ფონოლოგიური სისტემა და ფონეტიკური პროცესები. თბ., 1976.
- 63. ლომთათიძე, 1979** – ქ. ლომთათიძე, ზოგი არაპროდუქტიული აბაზურაფხაზური მიმდეობა და მათი უბისურ-ადილური პარალელების საკითხი. კრებ. „არნოლდ ჩიქობავას“. თბ., 1979 ინსტიტუტის 56-ე სამეცნიერო სესიის მოხსენებათა თეზისები. თბ., 1997.
- 64. ლომთათიძე, 1997** – ქ. ლომთათიძე, აფხაზურში ნასესხებ სიტყვათა ფუძეების აუსლაუტის პური ვოკალიზაცია. არნ. ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების
- 65. ლომთათიძე, 2006** – ქ. ლომთათიძე, აბაზური ენა. თბ., 2006
- 66. ლომთაძე, 1962** – ქ. ლომთაძე, თანხმოვანთა შესატყვისობანი დიდოურ ენებსა და ხუნძურს შორის. იქნ. ტ. XIII. თბ., 1962.
- 67. მაჭავარიანი, 1965** – გ. მაჭავარიანი, საერთო ქართველური კონსონანტური სისტემა. თბ., 1965.
- 68. მაჭავარიანი, 2006** – ნ. მაჭავარიანი, მცენარეთა ლექსიკა აფხაზურში. თბ., 2006.
- 69. მელიქიშვილი, 1980** – ი. მელიქიშვილი, სონორ ფონემათა განაწილების ზოგადი კანონზომიერება და ძირის სტრუქტურა საერთო-ქართველურში. თანამედროვე ზოგადი ენათმეცნიერების საკითხები, V. თბ., 1980.
- 70. მიქაია, 1985** – ც. ი. მიკაია, Апсуа бызшәа артагатә жәар. Akya, 1985
- 71. პაპასქირი, 1977** – И. Папасқыр, Санду лажәабжыкуен егъырти. Akya. 1977
- 72. ჟღენტი, 1949** – ს. ჟღენტი, სვანური ფონეტიკის ძირითადი საკითხები. თბ., 1949.
- 73. ჟღენტი, 1953** – ს. ჟღენტი, ჭანურ-მეგრულის ფონეტიკა. თბ., 1953
- 74. რალ, 1964** – Русско-абхазский словарь, под редакцией Х. С. Бгажба. Сухуми, 1964.
- 75. როგავა, 1941** – გ. როგავა, მედერი ფარინგალური სპირანტი ადიდეურ ენებში. ენიმკის მოამბე, ტ. X. თბ., 1941.
- 76. როგავა, 1942** – გ. როგავა, შიშინა აფრიკატები ქვემო-ადილურში. ენიმკის მოამბე, ტ. XII. თბ., 1942.
- 77. როგავა, 1943** – გ. როგავა, ხშულთა ოთხეულებრივი სისტემისათვის კავკასიურ ენებში. სმამ, ტ. 8. თბ., 1943.

- 78. როგავა, 1946** – გ. როგავა, ფარინგალურ ხშულთა რიგისათვის ქართველურსა და ადიდეურ ენებში. იკვ, ტ. I. თბ., 1946.
- 79. სერდიუხხენკო, 1955** - Г. П. Сердюченко, Язык абазин (общие сведения об абазинах, их диалекты, фонетика, морфология, тексты и словарь). - Известия Академии педагогических наук РСФСР 1955.
- 80. სპრუიტი, 1986** – A. Spruitt, Abkhaz studies, geboren te Beverwijk in 1948, 1986.
- 81. ტრუბეცკო, 1961** – Н. С. Трубецкой, Основы фонологии. Москва, 1961
- 82. ტყეშელაშვილი, 2006** – ს. ტყეშელაშვილი, ოთხწევრა თანხმოვანთკომპლექსები ქართული ენის ფერეიდნულ დიალექტში. საენათმეცნიერო ძიგბანი, XXIII. თბ., 2006.
- 83. უთურგაიძე, 1971** – თ. უთურგაიძე, ჰარმონიულ კომპლექსთა დიაქრონიული ინტერპრეტაციისათვის ქართულში. „მაცნე“, ენისა და ლიტერატურის სერია, №4, 1971.
- 84. უთურგაიძე, 1976** – თ. უთურგაიძე, ქართული ენის ფონემატური სტრუქტურა. თბ., 1976.
- 85. ქობალავა, 1958** – ი. ქობალავა, აფრიკატიზაციისა და დეზაფრიკატიზაციის პროცესები იბერიულ-კავკასიურ ენებში. იკვ, ტ. IX-X. თბ., 1958.
- 86. ქობალავა, 1967** – ი. ქობალავა, CVC ტიპის ძირთა ფონემატური სტრუქტურისათვის ქართულში, I. კრებ.: თანამედროვე ზოგადი და მათემატიკური ენათმეცნიერების საკითხები, ტ. II. თბ., 1967
- 87. ქუთელია, 2005** – ნ. ქუთელია, ლაზურის ფონემატური სტრუქტურა. თბ., 2005.
- 88. შარაძენიძე, 1968** – თ. შარაძენიძე, დამატებითი დისტრიბუციის პრინციპი და მისი მნიშვნელობა ფონოლოგისა და მორფოლოგისათვის. იკვ, ტ. XVI. თბ., 1968.
- 89. შავრილი, კონჯარია, 1986** – К. С. Шакрыл, В. Х. Кончариа, Аԥсуа бызшәа ажәар, I атом. Ақыа, 1986
- 90. შავრილი, კონჯარია, ჭკადუა, 1987** – К. С. Шакрыл, В. Х. Кончариа, Л. П. Чкадуа, Аԥсуа бызшәа ажәар, II атом. Ақыа, 1987.
- 91. შორი, 1935** – Р. С. Шор, к вопросу о т. н. „геминатах“ (усиленных смычных) в яфетических языках Дагестана. Языки Северного Кавказа и Дагестана, т. I. М.-Л., 1935.

- 92.** ჩანტლაძე, 1974 – ი. ჩანტლაძე, ლაბიალიზაციის ისტორიისათვის სვანურში. „მაცნე“, ენისა და ლიტერატურის სერია, 2, 1974.
- 93.** ჩიქობავა, 1952 – არნ. ჩიქობავა, ენათმეცნიერების შესავალი, თბ., 1952.
- 94.** ჩიქობავა, 1965 – არნ. ჩიქობავა, იბერიულ-კავკასიურ ენათა შესწავლის ისტორია. თბ., 1965.
- 95.** ჩიქობავა, 1979 – არნ. ჩიქობავა, იბერიულ-კავკასიური ენეთმეცნიერების შესავალი. თბ., 1979.
- 96.** ცერცვაძე, 1953 – ი. ცერცვაძე, ანდიური ენის ფონეტიკის საკითხისათვის. იკვ, ტ. V. თბ., 1953.
- 97.** ცერცვაძე, 1958 – ი. ცერცვაძე, ბგერათცვლილებისათვის ხუნძურ-ანდიურ ენებში. იკვ, ტ. IX-X. თბ., 1958.
- 98.** ციკოლია, 1969 – გ. ციკოლია, აფხაზური ენის აბჟური დიალექტი. თბ., 1969.
- 99.** ციკოლია, 1984 – გ. ციკოლია, -ძა, -ხა აფიქსებით ნაწარმოები ფორმები აფხაზურში. იკეს წელიწდეული, ტ. XI. თბ., 1984.
- 100.** ძიძიშვილი, 1966 – გ. ძიძიშვილი, თანხმოვანთა კომპლექსისა და ფონეტიკური პროცესის ურთიერთმიმართების შესახებ ქართულ ში. იკვ, ტ. XV. თბ., 1966.
- 101.** ჭრელაშვილი, 2006 – კ. ჭრელაშვილი, ნახური ენების თანხმოვანთა სისტემის პარადიგმატული და დისტრიბუციული ანალიზი. თბ., 2006.
- 102.** ხეცია, 1986 – А. Д. Хеция, Русско-абхазский экономический словарь. Сухуми, 1986.
- 103.** ჯანაშია, 1954 – გ. ჯანაშია, აფხაზურ-ქართული ლექსიკონი. თბ., 1954.
- 104.** ჯეირანიშვილი, 1966 – ევგ. ჯეირანიშვილი, ლაბიალიზებული თანხმოვნები და მათი ცვლის ზოგი სახეობა წახურ-მუხადურსა და თვისტომ ენებში. იკვ, ტ. XV. თბ., 1966.

შინაარსი

შესავალი	2
თავი I ორწევრა თანხმოვანთკომპლექსები აფხაზურში	13
§ 1 ხშული თანხმოვნის შემცველი ორწევრა კომპლექსები აფხაზურში	13
§ 2 სპირანტის შემცველი ორწევრა კომპლექსები აფხაზურში . . .	27
§ 3 აფრიგატის შემცველი ორწევრა კომპლექსები აფხაზურში . . .	36
§ 4 სონორის შემცველი ორწევრა კომპლექსები აფხაზურში . . .	44
§ 5 ლაბიალიზებული თანხმოვნის შემცველი ორწევრა კომპლექსები აფხაზურში	71
§ 6 ორი ლაბიალიზებული თანხმოვნის შემცველი კომპლექსები აფხაზურში	81
§ 7 კ თანხმოვნის შემცველი ორწევრა კომპლექსები აფხაზურში . .	90
თავი II ორზე მეტწევრა კომპლექსები აფხაზურში	95
§ 1 სონორთაგვიდურიანი სამწევრა კომპლექსები აფხაზურში . . .	95
§ 2 სონორბოლოკიდურიანი სამწევრა კომპლექსები აფხაზურში . .	110
§ 3 ორი სონორის შემცველი სამწევრა კომპლექსები აფხაზურში .	128
§ 4 უსონორო სამწევრა კომპლექსები აფხაზურში	136
§ 5 ოთხ და ხუთწევრა თანხმოვანთკომპლექსები აფხაზურში . . .	148
§ 6 ინტერნაციონალიზმების ფონეტიკური ადაპტაციის თავისებურე- ბანი აფხაზურში	154
დასკვნა	160
დანართი	166
ლიტერატურა	175